


1933 ~ 1958



1933-1958

Министерство просвещения Грузинской ССР
Кутаисский государственный педагогический институт
имени А. Цулукидзе

Т Р У Д Ы

Кутаисского государственного педагогического
института имени А. Цулукидзе

XVIII

Посвященный к 25 - летию института

К У Т А И С И

1958



საქართველოს სსრ განათლების საბინისჯრო
 ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური
 ინსტიტუტი

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
 სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

უ რ ო გ ე ბ ი

XVIII

თბილისი ინსტიტუტის 25 წლისთავისადმი

F2135

ქუთაისი
 1958



შ ი ნ ა ა რ ს ი

- | | |
|---|---------|
| 1. ლ. ქელიძე, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 25 წლის-თავზე | 09—042 |
| 2. გ. ჩხეიძე, ვ. ი. ლენინი სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობის შესახებ | 1 — 15 |
| 3. კ. აფრიდონიძე, ქიათურის მუშების ორი გაფიცვა 1917 წელს | 17— 27 |
| 4. ი. კუბლაშვილი, თურქეთში რუსეთ-გერმანიის წინააღმდეგობათა ზოგიერთი პრობლემა | 29— 40 |
| 5. კ. მებეველია, კირილე ლორთქიფანიძის ესთეტიკური შეხედულებანი | 41— 67 |
| 6. ა. ბიბიჩაძე, გრიფიუსის „ქეთევან დედოფლის“ ისტორიულ წყაროთა შესახებ | 69— 91 |
| 7. შ. ჩხარტიშვილი, ნებისყოფის ბუნების შესახებ | 93—107 |
| 8. ი. ჯღარკავა, აღზრდა-განათლების საკითხები დ. გურამიშვილის შემოქმედებაში | 109—118 |
| 9. გ. როგავა, ვ. ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში | 119—125 |
| 10. ქ. ძოწენიძე, არქაიზმები ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში | 127—137 |
| 11. პ. ჯაჯანიძე, ნაწევარი გურულსა და ქვემოქართლში | 139—146 |
| 12. მ. ალავედიძე, ლეჩხუმური ტომონიმიკური სახელწოდებანი | 147—154 |
| 13. გ. მახარობლიძე, ბ. გ. ბელინსკის ლინგვისტიკური მოღვაწეობა | 155—176 |
| 14. გ. დევდარიანი, დ. დვალი, ჯორწყუს გამოქვაბული | 177—186 |

15. გ. კოკონაშვილი, ცოცხლადმშობელობის მოვლენა საქართველოში გავრცელებულ კლასიკური იდეებს შორის 187—194
16. ა. გოცირიძე, ძირითადი მონაცემები ტალღისებრი ტეტანუსის შესახებ 195—214
17. ნ. მანგალაძე, C ვიტამინის შემცველობა ბადრიჯნისა და წიწყის ზოგიერთი საწარმოო ჯიშის ფოთლებსა და ნაყოფებში 215—226
18. ლ. ქელიძე, ამბროლაურის რაიონის ბენტონიტური თიხები 227—236
19. ვ. სულავა, თ. ეფრემიძე, საბჭოთა ფიზიკოსების გამოკვლევები სპექტრულ ხაზთა სივანეების შესახებ 237—250
20. გ. ხაუალია, დაფარვის ერთი თეორემის შესახებ რეგულარული ფუნქციებისათვის ორადამულ არეებში 251—258
21. ნ. გაბადაძე, სამგანზომილებიან პროექციულ სივრცეში მეორე რიგის ნამდვილი მატრიცის გამოყენების შესახებ 259—269
22. თ. ახვლედიანი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომებში“ გამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია 271—328

СОДЕРЖАНИЕ

1. Л. А. Челидзе, К 25-летию Кутаисского государственного педагогического института им. А. Цулукидзе	09—042
2. Г. М. Чхеидзе, В. И. Ленин о возможности мирного развития социалистической революции	1 — 16
3. К. Г. Апридонидзе, Две забастовки чхатурских рабочих в 1917 году	17— 27
4. И. И. Кублашвили, Некоторые проблемы русско-германских противоречий в Турции	29— 40
5. К. Н. Медзвелия, Эстетические взгляды Кирилла Лордкипанидзе	41— 67
6. А. А. Бибицадзе, Об источниках трагедии Грифиуса «Королева Грузии Катерина»	69 — 91
7. Ш. Н. Чхартишвили, О природе воли	93—107
8. И. А. Джгаркава, Вопросы воспитания и просвещения в творчестве Д. Гурамишвили	109—118
9. Г. В. Рогава, К вопросу о метатезе звука з в грузинском языке	119—125
10. К. С. Дзоценидзе, Архаизмы в языке художественных произведений Ильи Чавчавадзе	127—137
11. П. П. Джаджанидзе, Артикль в гурийском и нижнеаджарском диалектах	139—146
12. М. Н. Алавидзе, Лечхумские топонимические названия	147—154
13. Г. А. Махароблидзе, Лингвистическая деятельность В. Г. Беллинского	155—176

14. Г. С. Девдарiani, Д. А. Двали, Пещера Джорцику 177—186
 15. Г. В. Кокочашвили, Явление живорождения у клаузилиид Грузии 187—194
 16. А. М. Гоциридзе, Основные данные о волнообразном тетанусе 195—214
 17. Н. Г. Мангаладзе, Содержание витамина С в листьях и плодах некоторых производственных сортов баклажана и перца 215—226
 18. Л. А. Челидзе, Бентонитовые глины Амбролаурского района 227—236
 19. В. А. Сулава, Т. И. Ефремидзе, Исследования советских физиков о ширинах спектральных линий 237—250
 20. Г. Я. Хажалия, Об одной теореме покрытия для функции регулярных в двусвязных областях 251—258
 21. Н. А. Габдадзе, О применении вещественных матриц 2-го порядка в трехмерном проективном пространстве 259—269
 22. Т. И. Ахвледиани, Библиография научных работ, опубликованных в «Трудах» Кутаисского государственного педагогического института им. А. Цулукидзе 271—328
-

ლ. ზ ე ლ ი ძ ე

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 25 წლისთავზე

(1933-1958)

საბჭოთა ხალხმა სიამაყის გრძნობით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იწყება სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა. უდიდესი მიღწევები იქნა მოპოვებული ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების საქმეში. სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, საქართველოს შრომელებიც დიდი მიღწევებით შეხვდნენ ოქტომბრის მეორე მოცი წლისთავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა დარგში. მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს სახალხო განათლების დარგშიც.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში არ არსებობდა არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი.

1918 წლის თებერვალში თბილისში გაიხსნა უმაღლესი განათლების პირველი კერა საქართველოში — სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც უნუგეშო მდგომარეობაში იყო თავისი არსებობის პირველ წლებში — მენშევიკების ბატონობის პერიოდში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნამდვილი აღორძინებისა და შეუფერხებელი განვითარების ხანა. მის კედლებში ჩაისახა და შემდეგ დამოუკიდებლად დაიწყო არსებობა საქართველოს რამდენიმე უმაღლესმა სასწავლებელმა.

ამჟამად საქართველოში 19 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 28.000-მდე სტუდენტი სწავლობს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის 15 წლისთავზე, 1933 წლის თებერვალში, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით, მას გამოეყო და ქ. ქუთაისში დაარსდა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი სწავლების 4 წლის ვადით. აღნიშნული დადგენილება ავალბდა საქართველოს სსრ განათლების კომისარიატსა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს, უზრუნველყოთ ახლად დაარსებული ინსტიტუტი საქირო კადრებითა და მატერიალური ბაზით.

სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გულთბილად მიიღო ქუთაისის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა და მოსახლეობამ. მას დაეთმო ქალაქის საუკეთესო შენობები, ამასთანავე ქალაქის საბინაო ფონდიდან პროფესორ-მასწავლებელთათვის გამოყოფილ იქნა ორი საცხოვრებელი შენობა და რამდენიმე ცალკე ბინა. ახლად დაარსებული ინსტიტუტის კათედრების უმეტესობას სათავეში ჩაუდგნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორები, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს კათედრების განმტკიცებისა და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ნორმალურად წარმართვისათვის. მათი დახმარებითა და ხელმძღვანელობით შემდეგში აღიზარდა მეცნიერ მუშაკთა ის ძირითადი კადრი, რომელიც ინსტიტუტში ამჟამად განაგრძობს მუშაობას.

თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე ინსტიტუტის კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა კვალიფიციური პედაგოგიური კადრების აღზრდისა, ადგილობრივ მეცნიერ მუშაკთა მომზადებისა და ინსტიტუტის მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელი გახდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სისტემატური მზრუნველობისა და დახმარების შედეგად.

ინსტიტუტის დირექციას ყოველდღიურ მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს პარტიული ორგანიზაცია. მისი ყურადღების ცენტრში ყოველთვის დგას სასწავლო - აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების, მეცნიერული კადრების აღზრდის, შეგნებული დისციპლინის დანერგვისა და ინსტიტუტის მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხები. ამჟამად ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ვ. ი რ ე მ ა ძ ე) ირიცხება პარტიის 130 წევრი.



სტუდენტთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში დირექციას აქტიურ დახმარებას უწევენ კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

1933 წლის თებერვალში ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის 4 განყოფილების (ისტორიულ-ლიტერატურული, ფიზიკა-მათემატიკური, საბუნებისმეტყველო და პედაგოგიური) I და II კურსზე სწავლობდა 700 სტუდენტი, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა განისაზღვრებოდა 65 კაცით, შექმნილი იყო 20 კათედრა, 2 ლაბორატორია, 5 კაბინეტი და ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი შეადგენდა 1.887.840 მანეთს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემატური მზრუნველობის შედეგად მალე ინსტიტუტის სტუდენტთა კონტინგენტი და სპეციალობანი მნიშვნელოვნად გაიზაოდა.

1937 წლისათვის ინსტიტუტს ჰქონდა 7 ფაკულტეტი (ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, ფიზკულტურისა და სპორტის და პედაგოგიკის). სტუდენტთა რაოდენობა აღწევდა 1.700 კაცამდე. პროფესორ-მასწავლებელთა შტატი განისაზღვრებოდა 100 ერთეულით. არსებობდა 21 კათედრა, 5 ლაბორატორია და 23 კაბინეტი. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი გადიდებულ იქნა 6.000.000 მანეთამდე.

1934 წლიდან ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა დაუსწრებელი სწავლების განყოფილება, რომელსაც ჰქონდა 7 სპეციალობა: ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის. დაუსწრებელი განყოფილების არსებობის 20 წლის მანძილზე სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა და საშუალო სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაცია მიიღო 1.825 კაცმა, ხოლო ინსტიტუტი სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების გარეშე დაამთავრა 3.000-ზე მეტმა მასწავლებელმა. დაუსწრებელი სწავლების განყოფილება ემსახურება საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლების უმალესი ცოდნის არმქონე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. ამჟამად განყოფილების ყველა ფაკულტეტზე ირიცხება 2.000-ზე მეტი სტუდენტი (დირექტორის მოადგილე დაუსწრებელი სწავლების დარგში გ. მჭედლიძე).

1938 წლიდან 1944 წლამდე ინსტიტუტთან არსებობდა საექს-

ტერნო განყოფილება ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის ფაკულტეტებით. ამ განყოფილების ხაზით თეორიული კურსი მოისმინა და სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა 161 კაცმა.

1941 წელს ინსტიტუტის 7 ფაკულტეტის ყველა კურსზე ირიცხებოდა 2.000-მდე სტუდენტი. პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 180 ერთეულით, არსებობდა 30 კათედრა, 5 ლაბორატორია და 25 კაბინეტი. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი გაიზარდა 9 მილიონ მანეთამდე. სტუდენტთა კონტინგენტის, მეცნიერ მუშაკთა რაოდენობისა და მატერიალური ბაზის მიხედვით 1937 წლიდან აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი შეყვანილ იქნა პირველი კატეგორიის პედაგოგიურ ინსტიტუტთა რიცხვში.

თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე ინსტიტუტმა სოციალისტურ სამშობლოს მისცა 10.000-მდე კვალიფიციური პედაგოგი (ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, ლოგიკა-ფსიქოლოგიის, უცხოური ენების, პედაგოგიკისა და ფიზკულტურის მასწავლებლები), რომლებიც წარმატებით მუშაობენ საპასუხისმგებლო უბნებზე და პირნათლად ასრულებენ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საპატრიო ამოცანას.

კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაწინაურებულია განათლების განყოფილების გამგეებად, სკოლის დირექტორებად, სასწავლო ნაწილის გამგეებად, პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე. ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ნაწილმა მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ინსტიტუტის მრავალი თანამშრომელი, სტუდენტი და კურსდამთავრებული ჩადგა საბჭოთა არმიის რიგებში და თავგანწირვით იცავდა სამშობლოს. საბრძოლო დაჯილდოებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის მრავალი მათგანი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, ხოლო ორს (კ. ტყეაბლაძესა და გ. ბახტაძეს) მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. ინსტიტუტის მთელი კოლექტივი აქტიურად მუშაობდა სამამულო ომის წლებში, რისთვისაც ბევრი მათგანი დაჯილდოებულ იქნა მედლებით.

განათლების ფრონტზე ნაყოფიერი მუშაობისათვის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაჯილდოებულია

ორდენებითა და მედლებით. ზოგიერთ მათგანს მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კათედრების უზრუნველყოფას ადგილობრივი მეცნიერი მუშაკებით, ამიტომ ინსტიტუტის დაარსების პირველი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ადგილობრივი მეცნიერული კადრების აღზრდასა და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობისათვის მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნას. ამ მიზნით სისტემატურად ეწყობოდა სამეცნიერო მივლინებები სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. წარჩინებულ კურსდამთავრებულთა ნაწილი მიღებულ იქნა ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში.

25 წლის განმავლობაში ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა 69 კაცი, მათგან ასპირანტურა დაამთავრა 57-მა, რომელთაგან სადისერტაციო შრომა დაიცვა 40-მა კურსდამთავრებულმა. გარდა ამისა ინსტიტუტის მრავალმა კურსდამთავრებულმა დაასრულა ასპირანტურა სხვადასხვა ინსტიტუტში და მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი. ისინი ამჟამად წარმატებით მუშაობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო დაწესებულებაში.

კვლევითი მუშაობის ფართოდ გაშლას საგრძნობლად შეუწყო ხელი „შრომების“ გამოცემლობის დაარსებამ ინსტიტუტში 1939 წელს. 1958 წლამდე გამოცემულია ინსტიტუტის „შრომების“ 17 ტომი, სადაც დაბეჭდილია 330-მდე გამოკვლევა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან.

ამ უკანასკნელ წლებში ინსტიტუტთან დაარსდა სტამბა, სადაც იბეჭდება როგორც სამეცნიერო ნაშრომები, ისე სხვა სასწავლო-მეთოდური მასალები.

სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის წიგნალი ფონდის ზრდას. 1938 წელს ბიბლიოთეკა ითვლიდა 18.288 წიგნს. შემდეგ წლებში ასეული ათასობით მანეთი იხარჯებოდა წიგნალი ფონდის შესავსებად. 25 წლის მანძილზე ბიბლიოთეკის წიგნალი ფონდი დიდად გაიზარდა. ამჟამად ბიბლიოთეკაში 300.000-მდე წიგნი და ყურნალი ირიცხება. ბიბლიოთეკა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თემატურ-ბიბლიოგრაფიული მასალების შედგენისა და გამოცემის მხრივ. ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა (ბიბლიოგრაფი თ. ახვლედიანი) ბიბლიოგრაფიული მასალები: „პედინსტიტუტი საბ-

ქოთა ხალხის დიდ სამამულო ომში“ (ტ. VII), „პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დისერტაციები (სადოქტორო და საკანდიდატო)“ (ტ. VIII), „პედინსტიტუტის სამეცნიერო სესიები და კონფერენციები 1938—1950 წ. წ.“ (ტ. IX), „პედინსტიტუტი 1945—1950 წ. წ.“ (ტ. XIV), „პედინსტიტუტი 1951—1955 წ. წ.“ (ტ. XV და XVI).

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება-დამუშავების მხრივ ნაყოფიერად მუშაობენ: ა. აფხაიძე, კ. რამიშვილი, ქ. ახობაძე და სხვები.

ჩატარებული მუშაობის შედეგად ადგილობრივ მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადების საკითხი დადებითად იქნა გადაჭრილი. ინსტიტუტის არსებობის 25 წლის მანძილზე მეცნიერების დოქტორისა და კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომა დაიცვა ინსტიტუტის 90-ზე მეტმა მეცნიერმა მუშაკმა. მათი უმრავლესობა ნაყოფიერად მუშაობს ჩვენს ინსტიტუტში, ნაწილი კი — რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში აქ მოღვაწეობენ პროფესორები: ა. ბოჭორიშვილი და გ. როგავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (ფიზიოლოგი) ალ. გოცირიძე; დოცენტები: გ. კოკოჩაშვილი, ლ. ქელიძე, გრ. ხაყალია, კ. მეძველია, ა. კორძაძე, ქ. სანიკიძე, ნ. გაბადაძე; უფროსი მასწავლებლები: ლ. დარჩია, ი. ხათრიძე, ა. სულავა და დ. ინოზემცევი; ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალიდან კანცელარიის უფროსი — საქმეთა მმართველი კ. ქარხალაშვილი და ბიბლიოთეკარი ქ. ახობაძე.

ინსტიტუტის არსებობის 25 წლის მანძილზე სხვადასხვა დროს იცვლებოდა ფაკულტეტებისა და სპეციალობათა რაოდენობა. დაარსებიდან დღემდე ინსტიტუტს უცვლელად ჰქონდა შემდეგი სპეციალობანი: ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ფიზიკა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და გეოგრაფია.

1934 წლიდან 1944 წლამდე არსებობდა პედაგოგიკის ფაკულტეტი, 1937 წლიდან 1941 წლამდე კი — ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი, რომელმაც მუშაობა შეწყვიტა ომის პერიოდში და განაახლა 1946 წელს. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტთან 1937 წლიდან 1940 წლამდე არსებობდა უცხოური ენების განყოფილება, ხოლო 1940 წლიდან 1945 წლამდე უცხოურ ენათა ორ-

წლიანი კურსები ინგლისური, ფრანგული და გერმანული განყოფილებებით. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტთან 1947—1956 წ. წ. არსებობდა **ლოგიკა-ფსიქოლოგიის** განყოფილება.

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნება დაერთო 1956-57 სასწავლო წელს შემოეღო პედაგოგიურ ინსტიტუტებში გაფართოებული პროფილები და ამასთან დაკავშირებით სწავლების ვადა გახდა ხუთი წელი. ამჟამად ინსტიტუტში მასწავლებელთა მომზადება წარმოებს შემდეგ სპეციალობებში: 1. ქართული ენა-ლიტერატურა და ისტორია, 2. ქართული ენა-ლიტერატურა და გერმანული ენა, 3. ქართული ენა-ლიტერატურა და ინგლისური ენა, 4. რუსული ენა-ლიტერატურა და ისტორია, 5. რუსული ენა-ლიტერატურა და ფრანგული ენა, 6. რუსული ენა-ლიტერატურა და ინგლისური ენა, 7. მათემატიკა და ფიზიკა, 8. დიზიკა და წარმოების საფუძვლები, 9. ბიოლოგია, ქიმია და სოფლის მეურნეობის საფუძვლები, 10. ბიოლოგია და გეოგრაფია, 11. დაწყებითი სკოლა (ქართული და რუსული განყოფილებით) სწავლების 4 წლის ვადით.

გაფართოებული პროფილებით მასწავლებელთა მომზადება საშუალებას იძლევა უფრო სრული დატვირთვით იქნან გამოყენებული ინსტიტუტის კურსდამთავრებულები.

სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების შესახებ აკკბ XX ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ინსტიტუტის სასწავლო გეგმებში. სალექციო კურსებში შეიტანილია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკული საკითხები. სასწავლო გეგმებში სპეციალობის მიხედვით შეიტანილია ახალი სასწავლო დისციპლინები, გაზრდილია ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობის საათები.

სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ინსტიტუტის ფაკულტეტებმა და კათედრებმა, ამიტომ მოკლედ მაინც უნდა აღინიშნოს მუშაობა, რომელიც კათედრებმა ჩაატარეს ახალგაზრდა პედაგოგთა კადრების აღზრდისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლის მხრივ განვლილი 25 წლის განმავლობაში. პირველ ყოვლისა, ვინვიხილავთ საინსტიტუტო კათედრების მუშაობას.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე 1938 წელს შეიქმნა **მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების** კათედრა. კათედრაზე იმ დროს მუშაობდნენ: გ. სვანიძე (კათედრის გამგე), ს. კარსანიძე, შ. სიამაშვილი, ვ. ბახტაძე და გ. ჩხეიძე.

1940 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრას გამოეყო პოლიტიკური ეკონომიის კათედრა (გამგე დოც. ს. კარსანიძე), რომელმაც იარსება 1954 წლამდე. 1952 წლიდან 1954 წლამდე არსებობდა ფილოსოფიის კათედრა (გამგე დოც. შ. კაკულია). 1954 წლიდან პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის კათედრა გაერთიანდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრასთან. ამჟამად მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა, რომელსაც განაგებს დოც. ა. ებრაელიძე, აერთიანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის დისციპლინებს.

კათედრაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ პროფესორები: კ. ბაქრაძე და მ. გოგიბერიძე; დოცენტები: დ. გვაზავა, ა. პაპავა, დ. დოლიძე, პ. გუჯაბიძე, ტ. ქართველიშვილი, რ. მელაძე, ა. პანიანი, პ. ცქიტიშვილი, დ. კოპალიანი, კ. წერეთელი, ვ. ბენიძე და უფროსი მასწავლებელი რ. ჯინჯოლია.

ამჟამად კათედრაზე მუშაობენ დოცენტები: ა. ებრაელიძე (კათედრის გამგე), გ. ჩხეიძე, დ. მარგოლინი, გ. ცხაკაია, ნ. ჩიქობავა, შ. გვენეტაძე, შ. კაკულია, ბ. ურიდია, გ. ჩხაიძე; მასწავლებლები: ვ. ირემაძე, შ. დათუსანი, გ. ბერიშვილი, გ. სანაძე, გ. სანიკიანი, გ. გურუშიძე; კაბინეტის გამგე ო. აბუთიძე და ლაბორანტები: ვ. ჩხაიძე და ნ. ჯაჯანიძე.

დაარსების დღიდან კათედრა დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს, რაც კათედრის მუშაობაში მთავარ ამოცანას წარმოადგენს. კათედრას აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტი, რომელიც მომსახურებას უწევს როგორც სტუდენტებს, ისე ლექტორ-მასწავლებლებსა და ქალაქის წარმოება-დაწესებულებებს. კაბინეტში სისტემატურად ეწყობა სტუდენტთა თეორიული და სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები დიდ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. კათედრის წევრების მიერ წაკითხულია მრავალი ლექცია-მოხსენება როგორც ინსტიტუტში, ისე მის გარეთ.

კათედრას მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს ჩატარებული მის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. კათედრის დაარსებიდან დღემდე სადისერტაციო შრომები სხვადასხვა დროს დაიცვეს ს. კარსანიძემ, გ. ჩხეიძემ, ს. ხურცილავამ, ს. ნუცუბიძემ, გ. ჩხაიძემ, ნ. ჩიქობავამ, ბ. ური-

1940 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრას გამოეყო პოლიტიკური ეკონომიის კათედრა (გამგე დოც. ს. კარსანიძე), რომელმაც იარსება 1954 წლამდე. 1952 წლიდან 1954 წლამდე არსებობდა ფილოსოფიის კათედრა (გამგე დოც. შ. კაკულია). 1954 წლიდან პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის კათედრა გაერთიანდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრასთან. ამჟამად მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა, რომელსაც განაგებს დოც. ა. ებრაელიძე, აერთიანებს საბჭოთა კავშირის კონუნისტური პარტიის ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის დისციპლინებს.

კათედრაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ პროფესორები: კ. ბაქრაძე და მ. გოგიბერიძე; დოცენტები: დ. გვაზავა, ა. პაპავა, დ. დოლიძე, პ. გუჯაბიძე, ტ. ქართველიშვილი, რ. მელაძე, ა. პანიანი, პ. ცქიტიშვილი, დ. კობალიანი, კ. წერეთელი, ვ. ბენიძე და უფროსი მასწავლებელი რ. ჭინჯოლია.

ამჟამად კათედრაზე მუშაობენ დოცენტები: ა. ებრაელიძე (კათედრის გამგე), გ. ჩხეიძე, დ. მარგოლინი, გ. ცხაკაია, ნ. ჩიქოზავა, შ. გვენეტაძე, შ. კაკულია, ბ. ურიდია, გ. ჩხაიძე; მასწავლებლები: ვ. ირემიძე, შ. დათუსანი, გ. ბერიშვილი, გ. სანაძე, გ. სანიკიანი, გ. გურეშიძე; კაბინეტის გამგე ო. აბუთიძე და ლაბორანტები: ვ. ჩხაიძე და ნ. ჯაჯანიძე.

დაარსების დღიდან კათედრა დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს, რაც კათედრის მუშაობაში მთავარ ამოცანას წარმოადგენს. კათედრას აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტი, რომელიც მომსახურებას უწევს როგორც სტუდენტებს, ისე ლექტორ-მასწავლებლებსა და ქალაქის წარმოება-დაწესებულებებს. კაბინეტში სისტემატურად ეწყობა სტუდენტთა თეორიული და სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები დიდ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. კათედრის წევრების მიერ წაკითხულია მრავალი ლექცია-მობხსენება როგორც ინსტიტუტში, ისე მის გარეთ.

კათედრას მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს ჩატარებული მის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. კათედრის დაარსებიდან დღემდე სადისერტაციო შრომები სხვადასხვა დროს დაიცვეს ს. კარსანიძემ, გ. ჩხეიძემ, ს. ხურცილავამ, ს. ნუცუბიძემ, გ. ჩხაიძემ, ნ. ჩიქოზავამ, ბ. ური-

დიამ, შ. გვენეტაძემ, ვ. გულუამ, ხოლო გ. ბერიშვილი, ვ. ირემაძე, გ. სანაძე, შ. დათუსანი, ო. აბუთიძე, გ. გურეშიძე ამჟამად მუშაობენ სადისერტაციო თემებზე. საკანდიდატო მინიმუმს აბარებენ გ. სანიკიანი და ვ. ჩხაიძე. კათედრის წევრთა მიერ გამოქვეყნებულია მრავალი შრომა პარტიის ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის აქტუალურ საკითხებზე.

პედაგოგიისა და ფსიქოლოგიის კათედრები შეიქმნა ინსტიტუტის დაარსებისთანავე. ფსიქოლოგიის კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. დ. უზნაძე, ხოლო პედაგოგიის კათედრის გამგედ — დოც. შ. სიხარულაძე, პედაგოგიის განყოფილების გამგედ — დოც. ალ. ფრანგიშვილი. შემდეგ სხვადასხვა დროს პედაგოგიის კათედრას განაგებდნენ: დოც. კ. ქუასელი, პროფ. გ. თავაშვილი და დოცენტები: ნ. მექვაბიშვილი, დ. ყიფშიძე და ი. ჯღარკავა. კათედრაზე მუშაობდნენ დოცენტები: ვ. კილაძე, ზ. კიკნაძე, ვ. ქაჯაია, ს. ხარშილაძე; უფროსი მასწავლებელი ტ. ყურაშვილი, ასისტენტი ლ. ტოროშელიძე და სხვები.

პროფ. დ. უზნაძის უშუალო ხელმძღვანელობით დამტკიცდა ფსიქოლოგიის კათედრის შტატი, მოეწყო ფსიქოლოგიის ლაბორატორია და შეიქმნა სპეციალური ბიბლიოთეკა. დაარსების პირველ წელს კათედრას ჰყავდა ერთი პროფესორი (დ. უზნაძე), ორი დოცენტი (ა. ბოჭორიშვილი, გ. ბაქრაძე) და ერთი ასისტენტი (ნ. ნინუა). შემდეგ წლებში სხვადასხვა დროს კათედრაზე მუშაობდნენ დოცენტები: რ. ნათაძე (ამჟამად პროფესორი), ალ. ფრანგიშვილი, ალ. მოსიავა, შ. ხაჭაპურიძე, ნ. ადამაშვილი, ე. აბაშიძე, ა. კინწურაშვილი, ა. ავალიშვილი; ლექტორები: ელ. ნორაკიძე (ამჟამად პროფესორი), ზ. ხოჯავა (ამჟამად პროფესორი), გ. დევიდარიანი, გ. სხირტლაძე, გ. ბოჭორიშვილი.

ამჟამად კათედრაზე მუშაობენ დოცენტები: შ. ჩხარტიშვილი (კათედრის გამგე), მ. ზარქუა, ი. ჯღარკავა, პ. გულუა; უფრ. მასწავლებლები: ა. მიშველაძე, ფ. მეგრელიშვილი, ელ. ქარცივაძე, ვ. კაკაბაძე; ასისტენტები: ნ. ჩხარტიშვილი, შ. იმედაძე, თ. მდივნიშვილი, პ. ბუხრაშვილი, ვ. ქელბაქიანი; ლაბორანტები: ნ. ჯიმშელეიშვილი, მ. ჯაფარიძე, ზ. წერეთელი და კ. კოვზანაძე.

პროფ. დ. უზნაძის შემდეგ (1939 წ.) კათედრის გამგედ არჩეულ იქნა პროფ. ა. ბოჭორიშვილი, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ ასპირანტები: შ. ჩხარტიშვილი, მ. ზარქუა, თ. ტაბიძე, პ. გულუა, ა. მიშველაძე, ვ. გულუა, მ. ზარანდია, პ. სირბილაძე, ვ. კაკაბაძე.

შ. ჩხარტიშვილმა წარმატებით დაიცვა ჯერ საკანდიდატო (1941 წ.), ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაცია (1956 წ.). მ. ზარქუამ, თ. ტაბიძემ, პ. გულუამ, ვ. გულუამ მოიპოვეს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და დოცენტის წოდება. ვ. კაკაბაძეს, ა. მიშველაძეს, მ. ზარანდიასა და პ. სირბილაძეს მზად აქვთ საკანდიდატო დისერტაციები. დოც. შ. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით სადისერტაციო შრომა წარადგინა მისმა ასპირანტმა გ. ბოჭორიშვილმა.

ოცი წლის მანძილზე ფსიქოლოგიის კათედრამ მოამზადა ორი დოქტორი და მ მეცნიერების კანდიდატი.

ფსიქოლოგიის კათედრა სერიოზულ მეცნიერულ კვლევა-ძიებას აწარმოებს. პროფ. ა. ბოჭორიშვილმა შეასრულა რამდენიმე მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა ფსიქოლოგიის საგნისა და მეთოდის პრობლემების გარშემო. ამ გამოკვლევების პირველი ტომი — „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები“ — გამოიცა ცალკე წიგნად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1957 წელს. პროფ. ა. ბოჭორიშვილისა და დოც. შ. ჩხარტიშვილის ავტორობით შედგენილ და 1950 წელს გამოქვეყნებულ იქნა ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო.

დოც. შ. ჩხარტიშვილმა დაწერა მონოგრაფია ნებისყოფის პრობლემებზე და ამ მიმართულებით მუშაობს ამჟამადაც. ფსიქოლოგიის ისტორიის საკითხებზე მუშაობს დოც. მ. ზარქუა. ამავე პრობლემებიდანაა აღებული ვ. კაკაბაძისა და გ. ბოჭორიშვილის საკანდიდატო შრომები.

1955 წელს გაერთიანებულ იქნა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრები პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის სახელწოდებით, რომლის გამგედ დამტკიცებულ იქნა პროფ. ა. ბოჭორიშვილი. ამავე წელს პროფ. ა. ბოჭორიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ, ხოლო 1957 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

ამასთან დაკავშირებით იგი, თავისი განცხადების საფუძველზე, განთავისუფლებულ იქნა კათედრის გამგის მოვალეობისაგან და 1957 წლის სექტემბერში კათედრის გამგედ არჩეულ იქნა დოც. შ. ჩხარტიშვილი.

კათედრის წევრებს—ა. მიშველაძეს, ელ. ქარცივაძეს, ფ. მეგრელიშვილსა და თ. მდივნიშვილს დამთავრებული აქვთ ასპირანტურა პედაგოგიკის სპეციალობაში. მათგან ა. მიშველაძეს და ფ. მეგრელიშვილს წარდგენილი აქვთ საკანდიდატო დისერტაციები, ხოლო ელ. ქარცივაძე და თ. მდივნიშვილი ამთავრებენ სადისერტაციო შრომებს.

დოც. ი. ჯღარკავა მუშაობს ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიის საკითხებზე, ხოლო დოც. პ. გულუა იკვლევს ავტორიტეტის როლს აღზრდის საქმეში. დღემდე კათედრის წევრების მიერ გამოქვეყნებულია 78 სხვადასხვა ხასიათის შრომა 128 ფორმის მოცულობით.

წლების მანძილზე კათედრასთან მუშაობს სპეციალური სემინარი ესთეტიკისა და ფსიქოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე.

რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრა შეიქმნა ინსტიტუტის დაარსების წელსვე. კათედრამ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისა და ზოგიერთი სასწავლო-მეთოდური საკითხის დამუშავების მხრივ.

კათედრაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: დოც. ს. ვაჩნაძე, ნ. მისაბიშვილი, პ. პაიქაძე, ე. მაქავარიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, ს. ჩხიკვაძე, დ. გაფრინდაშვილი.

რუსული ენის კათედრა ცალკე გამოიყო 1938 წლიდან და მას ხელმძღვანელობდა დოც. ქ. კვანტრე. კათედრამ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა კათედრის წევრთა მეცნიერული და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. კათედრის წევრთაგან სადისერტაციო შრომები დაიცვეს: ქ. კვანტრემ, მ. სოვეტოვმა, რ. პევნაიამ. ამჟამად სადისერტაციო შრომებზე მუშაობენ კათედრის წევრები: რ. მაკლერი, ჯ. ჯანუაშვილი, გ. ქვანია, ელ. გიორგაძე და ნ. ანთაძე. კათედრას ამჟამად განაგებს დოც. გ. მახაროზიძე. კათედრაზე მუშაობენ უფროსი მასწავლებლები: მ. კანდელაკი, ლ. აბესაძე, ნ. ანთაძე, გ. ქვანია, რ. მაკლერი, ელ. გიორგაძე, ჯ. ჯანუაშვილი, თ. ბოჭორიშვილი და ლაბორანტი მ. მი-

ქაძე. კათედრის წევრები სისტემატურად მონაწილეობენ ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებში. გ. მახარობლიძის, ქ. კვანტრეს, ლ. აბესაძის, მ. სოვეტოვის, ნ. ქუთათელაძის სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ინსტიტუტის შრომებში, ისე სხვა გამოცემებში.

კათედრასთან არსებული რუსული ენის კაბინეტი სისტემატურ დახმარებას უწევს სტუდენტებს რუსული ენის დაუფლების საქმეში. კათედრის შემადგენლობიდან სხვადასხვა დროს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭათ ზ. ჩიკვაიძეს, ა. სულავასა და მ. კანდელაკს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა შეიქმნა 1938 წელს (გამგე პ. ჯაფარიძე). მან მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში. ამჟამად კათედრას განაგებს უფროსი მასწავლებელი ს. ლორთქიფანიძე.

თავისი არსებობის მანძილზე კათედრის მიერ მომზადებულია მშთ I საფეხურის ნიშნოსნები 4.000 კაცამდე, II საფეხურის—3.000-ზე მეტი; სპორტის ოსტატები: შ. ჩაჩიანი, შ. მესხი, ლ. ახვლედიანი, ზ. ახვლედიანი, ი. ბობოხიძე, ვ. გიგიაძე, ს. თორთლაძე, ჯ. რუსაძე, ლ. არღანაშვილი და ნ. თორთლაძე, I თანრიგოსანი მომზადებულია 1.000, II — 2.000-ზე მეტი და III — 2.500-ზე მეტი. კათედრა სისტემატურად ხელმძღვანელობს სხვადასხვა სექციას და სპორტის რიგ სახეებში მიღებული აქვს მრავალი სიგელი. ტურისტულ-ალპინისტური მუშაობის გაშლის საქმეში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის სპორტის ოსტატ ალ. ნემსიწვერიძეს, რომლის ხელმძღვანელობით მოეწყო რამდენიმე ექსპედიცია.

ამჟამად კათედრაზე მუშაობენ უფრ. მასწავლებლები: ს. ლორთქიფანიძე (კათედრის გამგე), პ. ჯაფარიძე, ნ. რამიშვილი, ნ. წერეთელი, დ. გიგიაძე, ა. კოვზირიძე, გ. ყავცელაშვილი, ვ. აფრიდონიძე, ს. ბასილაძე, ნ. კორძაძე, ნ. გიორგაძე და ბ. ჯანჯალია; ლაბორანტები: დ. იაშვილი და გ. სვანიძე.

კათედრის წევრები ჩაბმული არიან სასწავლო-მეთოდურ მუშაობაში და შესრულებული აქვთ მეთოდური ხასიათის შრომები. კათედრის წევრს ვ. აფრიდონიძეს შესრულებული აქვს შრომები: „მთავსვლელობის ისტორიის საკითხისათვის“, „ფიზკულტურულ“

ნაგებობანი ძველ საქართველოში“, „მძლეოსნობის ისტორიის საკითხისათვის“, რომლებიც გამოქვეყნებულია ინსტიტუტის „შრომებში“, უფრ. მასწ. ნ. წერეთლის შრომა „სპორტთამაშობებში შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაცია“ გამოიცა ცალკე ბროშურის სახით. კათედრის წევრებმა— ვ. აფრიდონიძე და ნ. რამიშვილი — ჩააბარეს საკანდიდატო მინიმუმის საგნები და ამჟამად მუშაობენ სადისერტაციო თემებზე ფიზკულტურის ისტორიისა და მეთოდის ხაზით.

1943 წლიდან 1947 წლამდე ინსტიტუტთან არსებობდა ფიზკულტურის მასწავლებელთა მოსამზადებელი ორწლიანი ფაკულტეტური კურსები, რომელმაც ასამდე დაწყებითი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი მოამზადა.

25 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ ჩატარებული ცალკე ფაკულტეტებსა და მათ კათედრებს კვალიფიციურ პედაგოგთა კადრების აღზრდისა და სამეცნიერო მუშაობის გაშლის საქმეში..

ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტმა დღემდე გამოუმუშავა სხვადასხვა სპეციალობის (ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ლოგიკა-ფსიქოლოგია და ქართული ენა) 2.000-მდე პედაგოგი. ფაკულტეტზე დიდი ყურადღება ექცეოდა მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას დაარსების პირველ წლებში სელმძღვანელობდა პროფ. კ. კეკელიძე (ამჟამად საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი), 1935 წლიდან 1942 წლამდე — პროფ. ალ. ბარამიძე, მის შემდეგ კი კათედრას განაგებს დოც. კ. მეძველია. კათედრას ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული საშუალო სკოლების კვალიფიციურ პედაგოგთა აღზრდის, მეცნიერული კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის მხრივ. კათედრის წევრები სისტემატურად მუშაობენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად. კათედრის წევრებმა — კ. მეძველიამ, გ. ჯიბლაძემ (ამჟამად პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი), გ. სამხარაძემ, ქ. სანიკიძემ, დ. ბრეგაძემ, მ. მახათაძემ, ნ. მაისურაძემ და ო. გიორგაძემ მოიპოვეს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და დოცენტის წოდება. კათედრის წევრს თ. ნიქარაძეს წარუდგენილი აქვს სადისერტაციო შრომა.

სხვადასხვა დროს კათედრაზე მუშაობდნენ: პროფ. მ. ზანდუ-
 ქელი, დოც. ვ. კოტეტიშვილი, დ. ჩხეიძე (დია ჩიანე-
 ლი), დოც. გ. ჯაკობია, ბ. ჟღენტი, დ. ჩხეიძე, მ. აბრა-
 მიშვილი.

კათედრაზე ამჟამად მუშაობენ დოცენტები: კ. მეძველია (კა-
 თედრის გამგე), ქ. სანიკიძე, გ. სამხარაძე, დ. ბრეგაძე,
 მ. მახათაძე და ო. გიორგაძე; უფრ. მასწ. თ. ნიჟარაძე
 და ლაბორანტი დ. ცინცაძე.

დოც. კ. მეძველია ამთავრებს სადოქტორო დისერტაციას
 „თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონ-
 ნერი მოღვაწეები“, რომელშიაც ფართოდაა განხილული ქართველი
 და რუსი ხალხების კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის
 საკითხები.

კათედრის წევრები სისტემატურად ამუშავებენ საკვლევ-სამეც-
 ნიერო თემებს. მათ გამოქვეყნებული აქვთ საყურადღებო შრომე-
 ბი. დოც. კ. მეძველიას შრომებიდან აღსანიშნავია: „დასვების სა-
 კითხისათვის XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, „პეტერ-
 ბურგის უნივერსიტეტი 60-იან წლებში და ქართველი სტუდენტე-
 ბი“, „კირილე ლორთქიფანიძე“ და სხვა.

დოც. გ. სამხარაძის შრომებიდან საყურადღებოა: „ლერმონ-
 ტოვი და რუსული პოეტური ფოლკლორი“, „ილია ჭავჭავაძის ესთე-
 ტიკის ფოლკლორული წყაროები“, „ლენინის სახე ქართულ ხალხურ
 პოეზიაში“ და სხვა. მას გამოქვეყნებული აქვს ლექსების რამდენიმე
 კრებული.

დოც. დ. ბრეგაძე მუშაობს რუსი და ქართველი მწერლების
 ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე. გამოქვეყნებული
 აქვს შრომები: „ონანა მდიენის ვინაობისათვის“, „დიმიტრი ვასილის-
 ძე სააკაძე“, „ვახტანგ ვახუშტის-ძე ორბელიანი“ და სხვ. იბეჭდება
 მისი წიგნი „ქართველი მწერლები რუსეთში“.

დოც. მ. მახათაძე მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებზე.
 მან გამოაქვეყნა რიგი საინტერესო გამოკვლევებისა, როგორცაა:
 „პატრიოტული მოტივი „ვეფხისტყაოსანში“, „სამხედრო ხელოვ-
 ნება „ვეფხისტყაოსანში“, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა-
 თვის სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით“ და სხვა.

დოც. ქ. სანიკიძე მუშაობს ძველი ქართული ლიტერატურის
 საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს რიგი შრომებისა, მაგალითად,
 „თელავის სემინარია და დავით რექტორი“, „ახალი მასალები ზესი-
 კის შესახებ“ და სხვა.



ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატ ო. გიორგაძეს გამოქვეყნებული აქვს შრომები: „გრიგოლ ორბელიანი და სალიტერატურო ენის საკითხები“, „ილია ჭავჭავაძის პირველი საპოლემიკო სტატიის მნიშვნელობა“ და სხვ.

კათედრის წევრთა შრომების უმრავლესობა დაბეჭდილია ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში.

კათედრასთან ნაყოფიერად მუშაობს ქართული ლიტერატურის კაბინეტი.

ქართული ენის კათედრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაფუძნებისთანავე ჩამოყალიბდა ისევე, როგორც **ენათმეცნიერების** კათედრა, რომელიც 1933—1937 წლებში დამოუკიდებელი კათედრის სახით არსებობდა და მას პროფ. გ. ახვლედიანი (ამჟამად საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი) განაგებდა. ამავე დროს იგი ხელმძღვანელობდა ახლად დაარსებული ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო დარგს და ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას.

ქართული ენის კათედრას მისი მუშაობის დასაწყისში, 1933 წლის თებერვლიდან 1933 წლის სექტემბრამდე, პროფ. არნ. ჩიქობავა (ამჟამად საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი) ხელმძღვანელობდა, ხოლო 1933 წლის სექტემბრიდან 1938 წლამდე—პროფ. ვ. თოფურია (ამჟამად საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი). დაარსების დღიდანვე ამ კათედრაზე მუშაობდა გ. როგავა.

1935-36 წლებში კათედრაზე მუშაობდა პროფ. ა. შანიძე (ამჟამად საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი).

1938 წლიდან 1941 წლამდე კათედრის გამგედ ითვლებოდა დოც. ს. ქლენტო (ამჟამად პროფესორი), ხოლო კათედრის დოცენტებად გ. როგავა და კ. გუგუშვილი, ასისტენტად—მ. ალავიძე.

1939 წელს კათედრას შეემატა ლ. კიკვიძე, რომელიც აქ მუშაობდა 1956 წლამდე.

1941 წლიდან კათედრას ხელმძღვანელობს პროფ. გ. როგავა.

რამდენიმე ხნის განმავლობაში კათედრაზე მუშაობდნენ ამავე ინსტიტუტის კურსდამთავრებული დოც. ა. კიზირია და კ. გიგინეიშვილი.

კათედრაზე ამჟამად მუშაობენ: პროფ. გ. როგავა (კათედრის გამგე), დოცენტები: ქ. ძოწენიძე, პ. ჯაჯანიძე, დ. მაჭავარიანი, მ. ალავიძე, დ. გეწაძე და ლაბორანტი ლ. კვანტალიანი.

ქართული ენის კათედრას აქვს კვლევითი-სამეცნიერო მუშაობის კარგი ტრადიცია. წარსულში, როცა ამ კათედრის მუშაობას ხელმძღვანელობდა პროფ. არნ. ჩიქობავა, შემდეგში, წლების მანძილზე, პროფ. ვ. თოფურია, ის გამოირჩეოდა მთელს ინსტიტუტში თავისი სასწავლო-სამეცნიერო მუშაობით. წარსულში შექმნილი ტრადიციის საფუძველზე მეტად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს კათედრა ამჟამადაც.

კათედრის წევრთაგან ერთმა (გ. როგავამ) მოიპოვა ჯერ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, შემდეგ დოქტორის ხარისხი, ხოლო ხუთმა — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. გ. როგავას სადოქტორო შრომა „სახელის ფუძის აგებულებისა და გრამატიკული კლას-კატეგორიის საკითხისათვის ადილურ (ჩერქეზულ) ენებში“ (გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1956 წელს) სახელის ფუძის აგებულების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ადასტურებს ამ ენათა მორფოლოგიურ სისტემაში ისტორიულად გრამატიკული კლას-კატეგორიების მქონეობას და ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენებთან ადილური ენების გენეტიურ-ისტორიული ურთიერთობის რკვევის საქმეში.

ქ. ძოწენიძის, პ. ჯაჯანიძის, დ. მაკავარიანისა და დ. გეწაძის საკანდიდატო დისერტაციები ქართული ენის ისტორიის სხვადასხვა საკითხის კვლევას ემსახურება, ხოლო მ. ალავიძის საკანდიდატო დისერტაცია დიალექტის ლექსიკური მასალის შესწავლას ემყარება. მ. ალავიძეს გამოქვეყნებული აქვს ცალკე წიგნად „ლენჩხუმური ზეპირსიტყვაობა“.

კათედრის ყოველწლიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა ითვალისწინებს საკითხებს როგორც ზოგადი ენათმეცნიერებიდან, ასევე ქართული ენის ისტორიიდან, ქართული ენის დიალექტოლოგიიდან, ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიიდან, ეტიმოლოგიიდან, ქართველური და კავკასიური ენების ფონეტიკა-გრამატიკიდან. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესიებზე ქართული ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ გამოკვლევათა დიდი ნაწილი დაბეჭდილია.

ამჟამად, როცა ენათმეცნიერების ძირითად ამოცანათა რიცხვში დგას სალიტერატურო ენებისა და დიალექტების ურთიერთმიმართების კვლევა, კათედრამ თავის პირდაპირ მოვალეობად გაიხადა ქართული ენის დასავლური კოლოების შესწავლა. მ. ალავიძის მიერ შესწავლილ იქნა ლენჩხუმური კილო, ახლა იგი ქვემოთაქულის ლექსიკას სწავლობს. ქ. ძოწენიძე სწავლობს ზემოიმერულს, ხო-

ნებ. ქიათურაში ბოლშევიკური ორგანიზაციები არ არსებობდა, ამის გამო მენშევიკების პროპაგანდას ზოგ შერთხვევაში ჰქონდა ერთგვარი გასავალი. ყოველ კრიტიკულ მომენტში მენშევიკები უდიდეს დახმარებას უწევდნენ მრეწველებს. მენშევიკებს რომ ესოდენ დიდი დახმარება არ აღმოეჩინათ მარგანეცის მრეწველებისათვის, მუშათა მღელვარება უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა.

სწორედ მენშევიკების მოქმედების კვალი აჩნდა მუშათა მოთხოვნებს, რომლებიც მათ 26 სექტემბერს წარუდგინეს მრეწველებს.

შეზღუდულ მოთხოვნებში ხელფასის მომატება კონკრეტულად ასე იყო ჩამოყალიბებული:

მალაროებში მნგრევილების ხელფასი უნდა გადიდებულიყო 5 მან. და 25 კაპიკამდე, გადამგორებლების — 5 მან., მსხვრეველების — 4 მან. და 50 კაპ., დამხარისხებლების — 4 მან. და 60 კაპიკამდე.

სარეწაო ქარხნებში დაზგის მუშების ხელფასი უნდა გადიდებულიყო მინიმალური და მაქსიმალური ხელფასის შესაბამისად 20 პროცენტიდან 100 პროცენტამდე.

მეურნეების ქირა უნდა გაზრდილიყო 60 პროცენტით¹. მუშებში პასუხს მათ მიერ წაყენებულ მოთხოვნებზე ელოდებოდნენ 28 სექტემბრისათვის.

ორი დღის განმავლობაში მუშათა დეპუტატების საბჭო, ცენტრალური კომისიების პრეზიდიუმი* და ქიათურის სამთო ინჟინერი ანდრეევი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მრეწველებთან, მაგრამ მრეწველები მტკიცე უარზე იდგნენ.

1917 წლის 4 ოქტომბერს ქიათურის მალაროების მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს და გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულებმა მოხსნეს მალაროების, ქარხნების, მალაზიების ყარაულები. მალაროებში მუშაობის შეწყვეტას თან მოჰყვა მტვირთავი მუშების გაფიცვა ვაგონების დატვირთვა შეწყდა.

რადგან საქმე ადგილზე ვერ მოგვარდა და კონფლიქტი გაფიცვაში გადაიზარდა, ქიათურის სამთო ინჟინერმა ანდრეევმა შექმნილი მდგომარეობის შესახებ თბილისს აცნობა და მოითხოვა უმაღლეს ხელისუფალთა ჩარევა.

¹ საქ. სსრ, ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 1171/723 C, საქ. 566, ფურც. 13.

* ცენტრალური კომისიების პრეზიდიუმი იგივე საქარხნო კომისიების ცენტრალური კომიტეტია. წყაროებში ხან ერთი სახელწოდებაა მოხსენებული ხან მეორე.

განსაკუთრებულმა სამმართველომ ანდრეევს დაავალა კონფლიქტის მოსაგვარებლად მოეწვია მრეწველთა თათბირი და ადგილზე გადაეწვევითა ყველა საკითხი, მაგრამ მრეწველებმა უარი განაცხადეს თათბირზე. ისინი განგებ აკიანურებდნენ საქმეს¹.

7 ოქტომბერს გაფიცვის ფარგლები კიდევ უფრო გაფართოვდა და გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

მთავრობის ორგანოები ცდილობდნენ ადგილზე მოეგვარებინათ საქმე. რადგანაც თბილისში საქმის წარმოება ვაახშიანებდა გაფიცვის ამბავს და გამოიწვევდა საერთო მღელვარებას მთელ საქართველოში, ამიტომ მთავრობის ორგანოებმა კატეგორიული წინადადება მისცეს ჭიათურის სამთო ინჟინერს, ეწარმოებინა მოლაპარაკება მრეწველებთან.

ჭიათურის სამთო ინჟინერი ანდრეევი დაუკავშირდა ცალკე მრეწველებს და დაიწყო მოლაპარაკება. 26 მრეწველი დათმობაზე წავიდა და დააკმაყოფილა მუშების ეკონომიური მოთხოვნა. მუშებისა და მრეწველების შეთანხმების შედეგად გაფიცვა შეწყდა. ოქტომბერს მუშები შეუდგნენ მუშაობას.

1917 წლის 8 ოქტომბრის შეთანხმების თანახმად, მრეწველებმა დაუთმეს მუშებს და მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.

ჭიათურის მუშების ოქტომბრის გაფიცვა თავისი ხასიათით ეკონომიური გაფიცვა იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი მნიშვნელობა ეკონომიური გაფიცვის ფარგლებს სცილდება. იგი დაიწყო სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთის პროლეტარიატი გადამწყვეტი შეტვისათვის ემზადებოდა.

ოქტომბრის გაფიცვამ ცხადყო, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია გულგრილად უყუროს მთავრობის საქმიანობას და შეეგუოს მდგომარეობას. მენშევიკების ცდების მიუხედავად, ჭიათურის მუშები ბრძოლას განაგრძობენ და წინ მიაქვთ საბრძოლო დროშა.

ჭიათურის მუშების 1917 წლის მაისისა და ოქტომბრის გაფიცვები საქართველოს მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი მომენტია. ჭიათურის მუშებმა პირველმა აღმართეს ბრძოლის დროშა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. ჭიათურის მუშების საგაფიცვო მოძრაობამ 1917 წელს გააქარწყლა

¹ საქ. სსრ, ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 1471/723 C, საქ. 566, ფურც. 11-12.

ზენშევიკების „კლასთა შერიგების“ იდეა და ცხადყო, რომ ეს იდეა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

თავისი ხასიათით ქიათურის მუშების 1917 წლის მაისისა და ოქტომბრის გაფიცვები ეკონომიური იყო, მაგრამ მათი მნიშვნელობა მეტად დიდია. ქიათურის მუშები თანდათან მალღებოდნენ ამ ბრძოლაში პოლიტიკური ბრძოლის შეგნებამდე.

1917 წლის ოქტომბრის გაფიცვის დამთავრების შემდეგ ქიათურის მუშებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. მათ თავიანთი გამოსვლები დაუკავშირეს საქართველოს მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის და ერთგვარი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში.

И. И. КУБЛАШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ПРОБЛЕМЫ РУССКО-ГЕРМАНСКИХ ПРОТИВОРЕЧИЙ В ТУРЦИИ

(Часть общего вопроса)

Накануне первой мировой империалистической войны германские империалисты действовали на Ближнем Востоке под ширмой защиты интересов Турции. Это было своеобразным маневром германской дипломатии, ибо в борьбе со странами тройственного согласия, за преимущественное влияние на Ближнем Востоке, экономическое и военное усиление Турции вполне соответствовало интересам Германии.

Помимо этого, германские государственные деятели рассматривали Турцию, как оплот в борьбе против возможной федерации славянских государств и как своего потенциально-го союзника в случае военного столкновения с Россией, Англией и Францией. В свете всех этих соображений тесное сближение с Турцией уже давно входило в программу германской внешней политики.

В первом десятилетии XX века обстоятельства сложились особенно благоприятно для достижения намеченной германскими дипломатами цели. Противодействие, оказываемое в течение многих лет Россией и Англией в вопросе о постройке Багдадской железной дороги, которая, по пропагандистским утверждениям немцев, должна была содействовать экономическому и культурному расцвету Турции, отказ Франции от размещения турецкого займа и реализация его лишь при помощи Берлина, восстания в Аравии и Албании, по утверждениям немцев, вызванные будто бы интригами Англии и России с целью ослабления Турции — все эти моменты были использованы германской дипломатией для тесного сближе-

ния с Турцией и разжигания у нее неприязни по отношению к России и Англии.

Германия действительно содействовала подъему экономической жизни и усилению военной мощи Турции. Однако, при осуществлении каких-либо экономических или военных мероприятий на Балканском полуострове немцы, понятно, отнюдь не думали о судьбе туземного населения, как об этом шумно писали пангерманские писаки,¹ а исходили прежде всего из собственных экспансионистских интересов.

Вот почему германское правительство особенно опасалось ослабления Турции. Между тем процесс разложения Оттоманской империи все чувствительнее сказывался бы на позициях Германии в Турции. Германия прекрасно сознавала, что в Турции может найти широкое применение немецкая предприимчивость. Со времени получения немцами концессии на строительство Багдадской железной дороги Германия особенно настойчиво осуществляла политику своего упрочения в Турции.

Между тем внутреннее разложение Турции, несомненно, привело бы к неизбежному разделу всей Оттоманской империи. Эта перспектива не сулила Германии ничего хорошего и была для нее наиболее опасна. В случае преждевременного раздела Оттоманской империи германские коммуникационные пути, связывавшие новые германские владения с метрополией, оказались бы проходящими по суше через славянские государства Балканского полуострова, а морем — через Гибралтар и Средиземное море, т. е. находились бы под ударами английского и французского флотов.

Кроме того, раздел Турции привел бы к тому, что часть территории последней была бы захвачена, и в результате отдаленные германские владения в Турции оказались бы в нежелательном непосредственном соседстве с великой славянской державой.

¹ Как напр., К. Helfferich, *Die deutsche Türkeipolitik*, Berlin, 1921; Н. Holborn, *Deutschland und die Türkei 1878—1890* Berlin, 1926; М. Lenz, *Deutschland im Kreis der Grossmächte 1871—1914*, Berlin, 1925; О. Tanenberg, *Gross-Deutschland, die Arbeit des XX Jahrhunderts*, Leipzig, 1911, и др.

Но, чтобы избежать раздела, надо было возродить Турцию на новых основах, всячески ее укрепить. По мнению германских империалистов, эту цель самостоятельно Турция не могла бы осуществить. Поэтому надо стремиться к возрождению ее под руководством «просвещенных немцев»¹. Чтобы осуществить эту заманчивую задачу, необходимо было, прежде всего, обезопасить Турцию со стороны ее северного соседа — России. В этом вопросе Германия не должна останавливаться перед затратами ни энергии, ни средств, ни времени². Ввиду того, что Германия рассматривала Турцию как своего естественного союзника в случае войны с Россией и Англией, она пыталась предпринять еще и другие меры. К ним относились, помимо сооружения Багдадской железной дороги, проекты строительства других железнодорожных линий, планы развития шоссейной сети, инженерной подготовки театра войны с Россией и Англией и т. д. Наряду с этим Германия стремилась создать для себя в Турции более благоприятную политическую обстановку в случае разрыва с Россией. В этом направлении Германия проводила усердную подготовку.

Известно, что в 1906 г. по специальному указанию германского правительства в Лейпциге был образован т. н. «Германский комитет Передней Азии» („Deutschen Vorderasienkomitee“). Председателем этого Комитета был назначен известный востоковед и в то же время оголтелый империалист Гуго Гроте. Ставя будто бы перед собой цель содействия хозяйственному и культурному возрождению стран Передней Азии, Комитет посылал в Турцию немецких ученых, инженеров, врачей, агрономов, педагогов и др. со специальными поручениями. Немецкие специалисты производили всестороннее изучение стран и народов Передней Азии, исследовали различные стороны хозяйственной и культурной жизни страны и публиковали материалы этих исследований в германских периодических изданиях. После тщательного изуче-

¹ Н. О n c k e n, *das Deutsche Reich und die Vorgeschichte des Weltkrieges*, Bd. II, стр. 246, Leipzig, 1923.

² Там же, стр. 252.

ния местных условий в этом районе «Германский комитет Передней Азии» в 1915 г. выпустил сборник статей, посвященный результатам исследований различных рас и народностей Османской империи.¹

Сборник этот носил не только научный, но и серьезный политический характер. Авторы отдельных статей, помещенных в этом сборнике, всячески пропагандировали мысль о преимуществе германской культуры и вообще германского порядка над другими странами Европы. Эта пропаганда была рассчитана на упрочение германского влияния в странах Ближнего Востока.²

Для ведения успешной борьбы с Россией и вытеснения ее из пределов Османской империи германское правительство стремилось уничтожить русское влияние в турецкой Армении и Курдистане.³ Как известно, турецкая Армения и Курдистан слишком далеко отстояли от сфер политического и экономического влияния Германии в Азиатской Турции. Поэтому в намерения Германии, в данном случае, не входила защита своих интересов на территории этих двух сравнительно отсталых турецких провинций. Германия руководствовалась лишь стремлением противодействовать возможному росту русского влияния в пограничных с Закавказьем районах. Для этой цели немцами использовались самые наглые средства и формы пропаганды.

Точку зрения немецких империалистов-востоковедов на армянский вопрос достаточно красноречиво изложил проф.

¹ Сборник выпущен под названием *Länder und Völker der Türkei; Schriftensammlung des Deutschen Vorderasienkomitees, Hrsg. von Hugo Grothe, Leipzig, 1915.*

² В этом отношении наиболее характерными являются статьи: *W. Blankenburg, Die Zukunftsarbeit der deutschen Schule in der Türkei; B. Hennig, Die deutschen Bahnbauten in der Türkei, ihr politischer, militärischer und wirtschaftlicher Wert*, и др.

³ В нашу задачу не входит всестороннее освещение армянской проблемы. Мы ограничимся лишь определением той роли, которую играл армянский вопрос в русско-германских отношениях в рассматриваемый нами период.



П. Рорбах¹ в своем сообщении, сделанном в Немецко-Азиатском Обществе (*Deutsch-Asiatische Gesellschaft*).²

Останавливаясь в своем докладе на общих задачах Германии в Азиатской Турции в связи с сооружением Багдадской железной дороги Рорбах высказался в том смысле, что Германии, далеко отстоящей от границ Оттоманской империи, трудно было бы добиться овладения какой-либо ее частью. Поэтому германская политика, прежде всего, должна быть направлена к тому, чтобы Турция оставалась независимым государством, чтобы противодействовать любым посягновениям других держав к расчленению турецкой империи и к присоединению к себе ее части. «Только при сохранении неприкосновенности Турции, — по заявлению Рорбаха, — Германия может найти там обширное поле для своей экономической предприимчивости и колонизации».³

Особую угрозу для неприкосновенности Турции Рорбах видел со стороны России, стремившейся захватить Армению. Последняя имела огромное значение для Турции как естественная и неприступная крепость, поскольку она, с одной стороны, граничила с Россией, а с другой — господствовала над всеми мировыми путями, шедшими через Малую Азию и соединявшими богатейшие страны и моря Азии с Европой. Поэтому «потеря турками этой естественной крепости, — указывал Рорбах, — угрожает самому политическому существо-

¹ Рорбах Пауль, по происхождению остзейский немец. Перейдя в германское подданство, он, посвятив свою деятельность изучению Ближнего Востока, совершил несколько больших путешествий в Малую Азию, Палестину, Сирию, Армению, Кавказ и другие среднеазиатские владения. В его сочинениях постоянно проглядывают враждебные нотки по отношению к России.

² Немецко-Азиатское Общество (*Deutsch-Asiatische Gesellschaft*), образованное в 1902 г., ставило своей целью укрепление и упрочение немецких интересов в Азии. Председателем Общества являлся известный участник реорганизации турецкой армии фельдмаршал фон дер Гольц.

³ P. Rohrbach, *Der deutsche Gedanke in der Welt*, Düsseldorf—Leipzig, 1912, стр. 66.

ванию Оттоманской империи. С этой точки зрения, для современной Турции даже обладание проливами не должно привлекать к себе такое внимание, как прочное удержание за собой Армении».¹

Большую опасность для Турции Рорбах видел еще и во внутренних беспорядках в Армении. Они угрожали, с одной стороны перекинуться и на другие части турецкой империи, а с другой, помимо трудностей борьбы с ними, грозили привести к неминуемому вмешательству со стороны России.²

Указывая на нежелательность массового народного восстания в Армении, Рорбах в то же время считал полное усмирение Армении не только трудным, но даже и едва ли полезным делом для турецкого правительства.

Турецкие поработители сознательно разжигали рознь между населяющими турецкую Армению двумя народностями — курдами и армянами, натравливали их друг на друга, провоцируя массовое истребление армян. Отсутствие закона и порядка в стране порождало произвол со стороны более сильного. В данном случае курды являлись более сильной стороной, и поэтому они безнаказанно грабили, насиловали и убивали армянское население.

Существование в одной из самых важных провинций Турции христианского населения доведенного до отчаяния и готового для спасения своей жизни принять русское подданство, явно было не в интересах турецкого правительства. Поэтому оно поддерживало такой порядок вещей, который вел к постепенному уничтожению армян в турецкой империи. Турция ставила перед собой задачу если не полного уничтожения, то, во всяком случае, значительного уменьшения армянского населения. Массовое убийство армян то турками, то курдами в особенности с конца XIX века, носило систематический характер.

Германские интересы в армянском вопросе полностью совпадали с турецкими. Это объяснялось тем, что, во-пер-

¹ P. Rohrbach, *Op. cit.* стр. 66.

² Там же, стр. 70.

вых, для Германии важно было упрочение турецкого владычества в турецкой Армении; во-вторых, тяжелое положение армян в этой провинции вынуждало их эмигрировать в Мессопотамию, где они являлись весьма желательными для немецкой предприимчивости элементами, так как этот район служил естественным объектом для широкой колонизации и переселения в нее избытка германского населения;¹ в-третьих, истребление турецких армян значительно ослабляло русское влияние на Ближнем Востоке. Поэтому вполне естественно, что осуществление каких-либо коренных реформ в Армении, которые могли бы привести к улучшению положения армянского населения, как этого требовала Россия, было не в интересах Германии.

Россия стремилась, как об этом выше упоминалось, путем сооружения железнодорожных линий на территории Малой Азии упрочить свое влияние в турецкой Армении. Это особенно страшило германских империалистов. «Россия тогда господствовала бы, — писал Рорбах, — над всей Передней Азией от Персидского залива до Средиземного моря... Нельзя представить себе никакой позиции, более грозной по отношению ко всей западной Азии, чем объединение Армении, Закавказья и Северной Персии в руках России. Поэтому, если нужно сохранить Турцию, то и Армения должна остаться турецкой, а так как необходимо поддерживать Турцию, пока это только возможно, то мы не можем допустить, чтобы Армения перешла в руки России».²

Исходя из приведенных выше соображений, германские империалисты поддерживали турецкую политику, направленную на уничтожение армянского населения. Об этих явно преступных действиях немецких колонизаторов открыто говорится и в докладе П. Рорбаха на заседании «Немецко-Азиатского Общества» 29 ноября 1913 г., в котором подчеркивалось, что «уничтожение армян есть один из способов к

¹ См. ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 973, л. 110.

² П. Рорбах, Война и германская политика, Перев. с немецкого, М., 1915, стр. 63—64.

водворению спокойствия в крае и более прочного обеспечения его за Турцией». Заявление Рорбаха вызвало единодушное одобрение присутствовавших на заседании германских империалистов.¹

Политика настойчивого искоренения армян в прилежащих к границам Закавказья областях Армении с конца XIX и начала XX века проводилась турецким правительством с наибольшей последовательностью.

С целью замены в этих районах ненадежного христианского населения Армении преданными Оттоманскому правительству мусульманскими элементами Турция в течение нескольких десятков лет, со времени заключения Берлинского трактата, осуществляла единую жестокую систему. В основе ее заключались следующие меры:

а) лишение всего армянского народа покровительства и защиты со стороны администрации и суда;

б) доведение армян до такого экономического положения, которое вынуждало бы их оставлять свою родину;

в) лишение крестьян земли путем насильственных захватов, поощряемых администрацией и судом;

г) периодические массовые избиения армян со всеми вытекающими отсюда последствиями: голодом, эпидемическими болезнями, ужасающей смертностью и массовым эмигрированием в другие страны;

д) переселение мусульман на армянские земли, и другие.

При осуществлении всех этих мероприятий население Армении часто восставало против турецких поработителей. Это, в свою очередь, служило для турок новым поводом для организации зверских избиений армянских жителей, при которых не щадили ни женщин, ни детей, ни стариков. По пря-

¹ Председатель Общества фельдмаршал фон дер Гольц в своем выступлении полностью солидаризировался с точкой зрения докладчика на интересы Германии в Турции и, в частности по вопросу об уничтожении армянского населения. Он поблагодарил его за правильное освещение весьма важных и интересных в то время определенных круги немецкого общества вопросов. См. ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 973, л. 112.



тому указанию германского правительства султан Абдул-Гамид II принялся за массовое истребление армян в небывалых до того масштабах, используя при этом курдов.

Самые ужасные избиения армянского населения произошли в 1894—1896 г.г., во время которых было разрушено 800 армянских деревень, убито 50 тыс. армян, нанесены тяжелые увечья до 100 тыс. человек. Без крова осталось 300 тыс. армян и 40 тысяч армян было насильственно обращено в магометанство.¹

Выполняя требования германских империалистов и действуя по принципу — «Армения без армян», турецкие ассимиляторы и в последующие годы продолжали методически вытеснять и истреблять армян. Путем насильственной высылки в Месопотамию, поджогов деревень, зверских погромов, лишь за несколько десятилетий армянское население турецкой Армении было доведено до минимальных размеров. Так, например, если в 1884 г. количество армянского населения на турецкой территории достигало 2.600.000 чел., то к 1927 г., по официальным данным, оно составляло лишь 57.599 чел.² Уцелевшие от безжалостной резни армяне эмигрировали в различные страны. До начала первой мировой войны количество беженцев армян в России составляло около 50 тыс., в Болгарии, Румынии и Египте — 30 тыс., в Америке — 25 тыс. и т. д.³

Таким образом, выступая с обширными экспансионистскими планами на Ближнем Востоке, руководители германской политики придавали исключительное значение для себя и для турок упрочению султанской власти в пограничных с

¹ См. Д. С. Завриев, К новейшей истории северно-восточных вилаетов Турции, Тбилиси, 1947, стр. 152.

² См. «Истатистик ныйлыгы», 1942—1943, XIV, стр. 47, Анкара, 1944 г; Обращение верховного патриарха, католикоса всех армян Геворка VI к главам трех Великих Держав: Газета «Коммунист» (Ереван), 2. XII. 1945, № 259; ср. Д. С. Завриев, цит. произв., стр. 156—157.

³ См. ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 618, л. 116.

Россией областях Армении и в Курдистане. Несмотря на то, что немцы сравнительно поздно обратили внимание на северо-восточный район Азиатской Турции, они успели все же достигнуть здесь значительных результатов.

Учитывая огромное влияние на население Турции иностранных просветительных учреждений, германские империалисты срочно приступили к созданию собственных опорных пунктов в Харпите, Муше и Малате. Они организовывали здесь немецкие школы, больницы, клубы и т. д.

Немцы задались также целью проникнуть дальше на Восток. С этой целью германские консулы в Трапезунде и Моссуле предприняли ряд поездок по Эрзерумскому, Битлисскому, Ванскому и Диарбекирскому вилайетам для изучения граничавшего с Закавказьем района Азиатской Турции. Вслед за тем было открыто новое германское консульство в Эрзеруме, хотя там до последней поры не было ни одного германского подданого и вообще отсутствовали какие бы то ни было германские коммерческие интересы. И поскольку Германия решила во что бы то ни стало создать и здесь свои опорные пункты то вслед за организацией консульства не замедлили сразу же появиться немецкие купцы, промышленники, миссионеры, техники, педагоги и пр.¹

По отношению к оставшемуся в Турции армянскому населению немцы стремились вести политику их примирения с младотурками и отторжения от России. В этом отношении большую агитационную и пропагандистскую работу проводили на местах германские консулы, военные и гражданские агенты и другие политические и дипломатические представители Германии.²

¹ ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 269, л. 28.

² Так, напр., германский вице-консул в Моссуле Гольштейн во время своего трехмесячного пребывания в г. Ване летом 1913 г. вошел в деятельные сношения с армянами и, прикидываясь лисой, пропагандировал среди них мысль о том, что армянам, дескать, не следует ожидать от России улучшения своего положения. Полезнее для этого постараться завязать доверчивые и сердечные отношения с младотурка-

Следовательно, перед первой мировой войной Германия быстрыми и решительными мерами осуществляла в соседних с Закавказьем районах Азиатской Турции враждебную России политику.

Россия, конечно, не могла оставаться безучастной перед лицом систематической и неуклонной враждебной политики со стороны Германии. Россия, также защищая свои колониальные интересы на Ближнем Востоке, немедленно приступила к принятию соответствующих контрмер против германских выпадов. К таким мерам, разработанным русским правительством, прежде всего относятся следующие: а) попытки осуществления реформ в управлении турецкой Армении в пределах, отвечавших ее общим политическим задачам; б) открытие новых консульств в важнейших городах Азиатской Турции; в) возложение на эти консульства обязанности совершать по примеру других иностранных консулов ежегодные поездки по своему району с целью изучения страны и поддержания связи с элементами населения, враждебно настроенными по отношению к Турции; г) создание возможно более широкой сети русских школ¹ и больниц в противовес иностранным школам и больницам; д) принятие ряда серьезных и решительных мер для завоевания местного рынка, так как, несмотря на непосредственную близость России, торговля ее в северо-восточной части Азиатской Турции имела сравнительно ничтожные размеры; е) принятие мер для

ми, которые искренне стремятся к равноправию всех поданных Османской империи.

Не менее решительно и открыто агитировал против России и другой германский консул в Эрзеруме Андерс. При посещении 28 сентября 1913 г., вместе с полковником турецкого генерального штаба Али Риза беем, казарм 21 кавалерийского полка он дошел даже до того, что обратился к солдатам с речью, в которой, между прочим, заявил: «Главные враги турок, жаждущие гибели Турции — русские». См. ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 769, л. 112.

¹ По сведению В. Бланкенберга перед войной 1914—18 г.г. в Турции существовали 600 французских, 500 американских и английских, 200 италийских, 60 русских и 25 немецких школ. См. *W. Blankenberg, Die Zukunftsarbeit der Länder und Völker der Türkei, Schriften—Sammlung des deutschen Vorderasienkomitees, Hrsg. H. Grothe Leipzig, 1915, стр. 15.*

установления непосредственной и постоянной связи с наиболее влиятельными главарями курдских аширетов в целях поддержания среди них сепаратистских стремлений по отношению к Турции и т. п.

Правда, подавляющее большинство этих мероприятий не было осуществлено, но тем не менее борьба русского царизма против германской экспансионистской политики, за утверждение собственного влияния на Ближнем Востоке, принимала все более острый характер.

კ. მ ე ძ ე ლ ი ა

კირილე ლორთქიფანიის მსთეტიკური ზენეღულებანი

ბელისკისა და ჩერნიშევსკის მატერიალისტური ფილოსოფია რუსეთში მატერიალისტური ესთეტიკის განვითარების საფუძველს წარმოადგენდა.

მანამდე გაბატონებული „წმინდა ხელოვნების“ თეორია თუ უშინაარსო და ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ხელოვნებას აიღეალებდა, მატერიალისტურმა ესთეტიკამ ხელოვნების უტილიტარული პრინციპი წამოაყენა, ადამიანის სულიერი სამყარო რეალურ ცხოვრებას დაუკავშირა და მწერლობა ხალხის სამსახურში ჩააყენა. მატერიალისტურმა ფილოსოფიამ ხელოვნებას ცხოვრების მოვლენებში ჩარევის უფლებები მიანიჭა და თავისი მოქმედებითა და შინაარსით ისეთივე ფართო და უნივერსალური გახადა, როგორც პოზიტიური მეცნიერება.

ცხოვრების შეცნობით გამდიდრებული ხელოვნება ისევე იბრძვის სამყაროს შემეცნებისა და გარდაქმნისათვის, როგორც მეცნიერება. თუმცა ისინი სხვადასხვა საშუალებით ახორციელებენ ამ მიზანდასახულებას.

ხელოვნება სახეებით აზროვნებს. მეცნიერება—ცნებებითა და ლოგიკური მსჯელობებით. იდეალისტური ფილოსოფია იდეალისტურ ესთეტიკას ასაზრდოებს თავისი ყალბი თეორიებით, ხოლო მატერიალისტური ფილოსოფია მატერიალისტურ ესთეტიკას აძლევს ცხოველმყოფელ ძალას.

ამრიგად, ესთეტიკა ფილოსოფიური აზროვნების ერთი დარგია და ხელოვნების, მშენიერების სპეციფიკურ პრობლემებს იკვლივს.

ყველაზე დიდი მატერიალისტ-ესთეტიკოსები რუსეთში იყვნენ ბელისკი და ჩერნიშევსკი, რომლებმაც ჰეგელის იდეალისტურ ესთეტიკურ კატეგორიებს ფეიერბახის მატერიალიზმი დაუპირისპირეს და ამით მატერიალისტური ესთეტიკის მძლავრი მიმართულება შექმნეს.

თერგდალეულებმა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ესთეტიკის მაღალი პრინციპები შეითვისეს და საერთო რევოლუციურ მსოფლმხედველობასთან ერთად ესეც დანერგეს ქართულ ნიადაგზე.

ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ „ცისკრის“ ფურცლებიდან დაიწყო ბრძოლა უტილიტარული ხელოვნებისათვის და ხალხისათვის სამსახური ახალგაზრდობას სამოქმედო პროგრამად დაუსახა. მან, პირველმა, მკაცრად გაილაშქრა საქართველოში „წმინდა ხელოვნების“ თეორიის წინააღმდეგ და საფუძველი ჩაუყარა მატერიალისტური ესთეტიკისა და კრიტიკული რეალიზმის იდეებს.

„ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისაო.“ — წერდა ი. ჭავჭავაძე და ამით სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა „წმინდა ხელოვნების“ თეორიის დამცველთა წინააღმდეგ.

თერგდალეულებმა „ცისკარში“ დაწყებული იდეური ბრძოლა კიდევ უფრო პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანეს „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე.

„საქართველოს მოამბის“ გამოსვლამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის ამადლების საქმეში. ახალმა ჟურნალმა გზა გაუყავდა მატერიალისტურ მსოფლმხედველობას და ახლებურად გაარკვია მეცნიერებისა და ხელოვნების პრობლემატური საკითხები.

თერგდალეულების მკაცრი გალაშქრება რევანზ ერისთავის კონსილოვის „მეშლილის“ თარგმნისა და „ცისკრის“ უფიცი თეორეტიკოსების წინააღმდეგ ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა.

„დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავისი ხალხის ცხოვრებას, — წერს ილია, — მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათაოს. ჩვენ მათთან საერთო გზა არა ვგაქვს... ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარსა და გამოსადეგსა“¹.

ილია ჭავჭავაძემ ხელოვნებასა და მეცნიერებას კონკრეტული ამოცანები დაუსახა, მას მშრომელი ხალხის სამსახური დაავალა, ცხოვრების გარდაქმნის საშუალებად და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იარაღად გამოიყენა.

¹ ი. ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, III, 1953, გვ. 68.

ილიას გაგებით, მწერალი ვალდებულია „ჩაეიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია. იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა, არც ერთის გამოხატვა არ უნდა ეშინოდეს ყურნალსა“¹.

ილია ჭავჭავაძის ეს საბრძოლო მოწოდება ჭეჭა-ჭუხილის სიმძლავრით გაისმა მაშინდელი ჩვენი ცხოვრების ჩამოლაშქვულ ჰორიზონტზე. ამან გამოაღვიძა „წუმპეში“ ჩაფლული და ბურანში მთელემარე უმოქმედო ქართველი ინტელიგენცია, რომლისთვისაც ხანგრძლივ სიბნელეში ყოფნას გონებრივი თვალთახედვის არე შეევიწროებინა და ახალი ცხოვრების მოკამკაში სინათლისათვის თვალის გასწორება საძნელო გაეხადა.

ძველი თაობისათვის მოულოდნელი იყო ანაზღვეულად ატეხილი საბრძოლო ყივიანა და, თუ პირველად მათ საქმის ვითარებაში გარკვევა გაუძნელდათ, მალე თავდაცვის იარაღი მოიმარჯვეს და ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობის ინტელიგენციის ჯგუფები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახნენ ერთმანეთს.

ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძეს მხარში ამოუდგნენ ახალი იდეებით შეიარაღებული პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები. ეს თაობა ილიას დროშის ქვეშ დაირაზმა და ახალი შებრძოლი იდეოლოგიის დანერგვის საქმეში, ილიას წინამძღოლობით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

თერგდალეულთა წრის ერთი აქტიური წევრი იყო სამოციანი წლების თვალსაჩინო მწერალი და თავისებური საზოგადო მოღვაწე კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე².

კ. ლორთქიფანიძე თერგდალეულთა შორის ყველაზე რადიკალი მოაზროვნეა. მან ათი წელი დაყო ბობოქარ ქალაქში—პეტერბურგში და ღრმად შეისრუტა რუსეთის მებრძოლი იდეები. იგი ჯერ კიდევ

1 ი. ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბეზედ“, გვ. 69.

2 კ. ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. კ. მჭედელი ილიას შრომები: კირილე ლორთქიფანიძე (ბიოგრაფიული ნარკვევი): ქუთაისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1948; სამოციანი წლების რევოლუციონერი მწერლები და კ. ლორთქიფანიძე, იქვე, XI, 1953; პეტერბურგის უნივერსიტეტი სამოციან წლებში და ქართველი სტუდენტები, იქვე, XIII, 1955; აკაკი წერეთელი და კ. ლორთქიფანიძე: ვახ. „ლიტ. საქართველო“, თებერვალი, 1940; საქართველოს მოამბე და ზანგების საკითხი: ვახ. „ლიტ. ხელოვნება“, № 34, 1951; ილია ჭავჭავაძე და კ. ლორთქიფანიძე: კრებული „რიონი“, 1957.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როდესაც, ახალი იდეებით შეიარაღებულმა, გადაწყვიტა, გვერდში ამოდგომოდა ბრძოლის ველზე მარტოდ გაჭრილ ი. ჭავჭავაძეს.

კ. ლორთქიფანიძე, სხვა თერგდალეულებთან ერთად, მკაცრად შეეებროლა „ცისკრის“ დრომოკმული იდეების წარმომადგენლებს. მართალია, მისი პირველი სტატია — „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“ ეფთვიმე წერეთლისა“ — ზემო იმერლის გორისელი ე. წერეთლის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ მან მთელი ძველი თაობისა და მათი ორგანოს „ცისკრის“ იდეური სიყალბე და უსუსურობა გამოამჟღავნა.

* * *

„ცისკარი“ არსებითად ძველი თაობის ორგანოს წარმომადგენდა. იგი ფაქტიურად ანტონ პირველისა და მისი სქოლასტიკური აზროვნების მიმდევართა ინტერესებს იცავდა და მათ უხეირო ნაწერებს აქვეყნებდა. განსაკუთრებით სუსტი იყო „ცისკარში“ თეორიული ხასიათის სტატიები და ეს უხამსი ავტორები ჰყავდა კ. ლორთქიფანიძეს მხედველობაში, როდესაც წერდა:

„ჩვენი „ცისკარი“, როგორც მოგეხსენებათ, შეიქნა ფოჩტის მაგვარი. ვისაც კი სადმე წიგნის გაგზავნა მოესურვება, „ცისკრის“ რედაქტორს თხოვს თვითონ (სტატიაში) „თქვენი მუხლის პირიმი, ეს წიგნი (ხანდხან უსტარასაც უწოდებენ) თქვენს ეურნალში დაბეჭდეთ. თუმცა ბევრი არ არის შიგ რამე, მაგრამ ამ ჩემი სიტყვით მინდა ქართულს ენას შევეწიო (სასაცილოა). უფ. კირეელიძე, უქვეშევრდომილესი თხოვნის ერთგული აღმასრულებელი, იმ წიგნს ჩვენს „ცისკარს“ აკისრებს. საცოდავს ეურნალს კისერი მოეხება ნამეტანი სიმბიმის ზიდეით“¹.

„ცისკრის“ რედაქციას კ. ლორთქიფანიძე იმასაც უსაყვედურებს, რომ ეურნალს გარკვეული მიმართულება არ გააჩნია.

„ყველამ ვიცით, — წერს იგი, — რომ ეურნალს უნდა ჰქონდეს ერთი მიმართულება, ან კარგი, ან ცუდი“².

კ. ლორთქიფანიძის აზრით, „ცისკრის“ უბრინციპობით აიხსნება ისიც, რომ ეურნალის ფურცლებზე ყოველგვარი ხასიათის მასალა

¹ „ცისკარი“, 1862, № 4. იხ. აგრეთვე დოც. ს. ხუციშვილის შედგენილი ჭრესტიანოთა „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“.

² ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ეურნალის სარგებლობაზედ: „ცისკარი“, 1862, № 9.

იბეჭდება. რედაქცია ყურადღებას არ აქცევს არა მარტო ნაწარმოების უხარისხობას, არამედ იდეურ მიმართულებასაც კი. იბეჭდება თვით მოწინააღმდეგეთა სტატიებიც.

„ჟურნალი არასოდეს არ ბეჭდავს თავის ფურცლებზედ მოპირდაპირე სტატიებს (საკუთარი სტატიების კრიტიკას) და ისეთს, რომელიც არ ეთანხმება მისს მიმართულებას. „ცისკარს“ არ ჰქონია ერთი მიმართულება და არც კარგი ყოფილა ყოველი მისგან გავერცელებული აზრები ცოტას გარდა, რომელიც თითქმის არ ჩანდა, როგორც ბევრჯერ ვსთქვი, სხვა სიცუდესთან“¹.

მოპირდაპირე სტატიებში კ. ლორთქიფანიძე გულისხმობს ი. ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულების წერილებს. მისი აზრით, თუ მხოლოდ ერთი ჟურნალის არსებობის გამო იძულებული გახდა „ცისკრის“ რედაქცია მოწინააღმდეგეების სტატიებიც დაებეჭდა, მაშინ კარგი იქნებოდა, რომ მოკამათეთა წერილები ჟურნალში ცალკე განყოფილების სახით ყოფილიყო წარმოდგენილი.

მართალია, კ. ლორთქიფანიძეს „ცისკრისა“ და მისი ძირითადი თანამშრომლების მიმართულება მიუღებლად მიაჩნდა და ამისათვის ებრაოდა კიდევაც მათ, მაგრამ იგი ნიპილიზმის თვალსაზრისით არ უდგება ჟურნალის შეფასებას და პოეზიის ამ ეკალ-ბარდში ვარდის ბუჩქებსაც ამჩნევს.

კირილეს აზრით, „ცისკრის“ მდარე ხარისხისა და უიდეო ხასიათის ნაწარმოებთა შორის მოიპოვება ისეთებიც, რომლებშიაც ახალი ეპოქის მაჯისცემა და ხალხის სულიერი ტკივილები ივრძნობა. ასეთ ნაწარმოებებზედ მას მიაჩნია: „...დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ...დინ. ბაქრაძის ისტორიული სტატიები, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუ-სმვილი“ ლავ. არდაზიანისა, ...ი. ჭავჭავაძის სტატიები და მისი ლექსები, აგრეთვე ლექსები... ჩვენის ლერმონტოვის ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანიდან დაწყებული რაფიელ ერისთავამდის, რომელმაც დაგვიწერა „მთხოვნელი მსაჯულისადმი“².

როგორც ამ სტრუქტურებიდან ჩანს, სახელოვანი ქართველი მწერლები: გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ლ. არდაზიანის, დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძისა და რაფ. ერისთავის შემოქმედების პირველი და სამართლიანი შემფასებელი კ. ლორთქიფანიძეა. მან, პირველმა, ქართველი ხალხის უკვდავ პოეტს ნ. ბარათაშვილს „ჩვენი ლერმონტოვი“ უწოდა და ამით თავის დროზე გაბედული სიტყვა თქვა ქართული ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში. ვინ იცის, ეს ჭეშმარი-

¹ „ცისკარი“, 1862, № 9.

² იქვე.

რიტი დებულება რამდენჯერ გაუმეორებია ჩვენი ლიტერატურის ძველსა და ახალ მკვლევართ. უკუგდებული უნდა იქნას ის მოსაზრებაც, თითქოს „სურამის ციხე“ პირველად ანტონ ფურცელაძემ გაარჩია. აქაც პირველობა კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

იგი არასოდეს ცდებოდა ლიტერატურული ფაქტის შეფასების დროს. მართლაც, შემდგომმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ გააძვრთლა მისი შეხედულება, დამოუკიდებლად გამოთქმული, აქ დასახელებული მწერლებისა და სხვების მიმართ. ეს იმიტომ მოხდა, რომ იგი არ ღალატობს ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებს და, როდესაც სხვის ყალბ დებულებებს ამჟღავნებენ, გაბედულად უსაყვედურებს ავტორს უვარგისი მეთოდოლოგიის გამო. მაგალითად, პროფ. ალ. ცაგარელთან კამათის დროს კ. ლორთქიფანიძემ დაგმო ლესინგისა და ტენის დროშობული კვლევის მეთოდები და გააკცხა კიდევაც ალ. ცაგარელი ჩერნიშევსკისადმი გვერდის ავლისათვის.

„შე... გამიგონია. — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ლესინგის და ტენის თეორია სრულიად არ ეთანხმებიან ერთმანეთსო. თუ ეს მართალია, ცაგარელმა როგორ შეარიგა შეურიგებელი თეორიები. მაგრამ ვსთქვათ, რომ ერთიმეორის წინააღმდეგი არ არიან, მაშინ მე უნდა ვსთქვა, რომ ცაგარელს ამის თანა ძველ თეორიაზე არ უნდა დაემყარებია თავისი კრიტიკა, იმას უნდა ჰქონოდა მხედველობაში ჩერნიშევსკი“ (ხაზი ჩვენია.—კ. მ.)¹.

ასე მკაცრად ილაშქრებს კ. ლორთქიფანიძე კლასიციზიმის თეორიული დებულებების დამცველის ალ. სავანელის წინააღმდეგაც². მას ყველაზე მეტად ის აწუხებს, რომ ამ განახლებულ ეპოქაში ზოგიერთი ჩვენი ძველებურად მოაზროვნე და კრიტიკოსი კვლავ დროშობული თეორიებით ცდილობს ხელოვნების საკითხების გარკვევას.

¹ იხ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 2.

ეს ტექსტი ქვეყნდება პირველად. ამ შემთხვევაში კ. ლორთქიფანიძეს მხედველობაში აქვს პროფ. ალ. ცაგარელის „დროებაში“ (1870, № 3, 4, 6, 7) გამოქვეყნებული სტატიები „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, სადაც ივტორი აცხადებს, რომ „ამ კრიტიკულ განხილვაში მე მაქვს სახეში უმეტესად ლესინგის და ტენის აზრები ლიტერატურულ-ესთეტიკურ თეორიაზედო...“.

² ალ. სავანელი იყო „ცისკრის“ თანამშრომელი, აქვეყნებდა ორიგინალურსა და ნათარგმნ სტატიებს.

აღ. ცაგარელის მსგავსად, იგი ედავება აღ. სავანელსაც, რადგან ამ უკანასკნელს კლასიციზმის დებულებები გამოუყენებია კვლევის დროს. კირილე წერს: „უფ. აღ. სავანელს ესმის კრიტიკა, როგორც ესმოდათ წარსულ საუკუნეში და არ აპირებს ამ აზრიდან გადადგომას. ამტკიცებს, რომ კრიტიკა წინ უნდა უდგენდეს თხზულების პლანს, როგორც სწავლას... ან კრიტიკას უნდა ჰქონდეს დადებული კანონები, რომელთაც არ უნდა გადახდეს არც სწავლა და არც ხელოვნებაო. ამით უფალი სავანელი ცრუ-კლასიკური ლიტერატურის დროების განახლებას გვიპირებს“¹.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აღ. სავანელის აქ წარმოდგენილი სტრიქონებიდან ნათლად არ ჩანს მისი კლასიციზტობა. თუმცა ერთი კი ცხადია, კ. ლორთქიფანიძე ედავებოდა ყველა იმათ. რომლებიც გვერდს უვლიდნენ ბელინსკისა და ჩერნიშევსკის დებულებებს და დრომოკმული თეორიებით ცდილობდნენ ლიტერატურული საკითხების გარკვევას, მაგრამ ყველაზე მკაცრი და დაუნდობელი კ. ლორთქიფანიძე მაინც „ვეფხისტყაოსნის“ მაგინებელთა მიმართ იყო.

„ვინც „ვეფხისტყაოსანს“ ვერ პოებს დიდი პოეტის დაწერილად, მე იმას პოეტად კი არა, ესტეტიკურად გახსნილ კაცადაც არ ჩავთვლიო“². —წერდა კ. ლორთქიფანიძე და ეს მწარე მათრახი ხვდებოდა თავის დროზე დიდად დაფასებულ პოეტსა და ქართულ ფილოლოგიაში გარკვეული ეპოქის შემქმნელს ანტონ პირველს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ შეუღლახავი იყო ამ დროს კათალიკოსის ბრწყინვალე ავტორიტეტი და ასეთი თავდასხმა, პოეტური რეპუტაციის შელახვა და საქვეყნოდ აღიარებული კაცის ესთეტიკის უცოდინარად მიჩნევა კირილეს მხრივ დიდ პრინციპულობასა და გამბედაობას ნიშნავდა. შეიძლება მკაცრიც იყო კ. ლორთქიფანიძის კრიტიკა ანტონისადმი, როგორც ი. ჭავჭავაძისა — ჩახრუხაძისადმი, მაგრამ იგი სამართლიანად მიეზლო ანტონ პირველს რუსთაველის აუგად ხსენებისათვის, იმისათვის, რომ მან რუსთაველის გაკიცხვით ჩახრუხაძის ავტორიტეტის ამალღება მოინდომა.

¹ „ცისკარი“, 1862, № 9.

² კ. ლორთქიფანიძეს აქ მხედველობაში აქვს აღ. სავანელის სტატია „მოკითხვისადმი“, („ცისკარი“, 1857, № 4.), სადაც იგი აღნიშნავს: „კრიტიკა არის ბერძნული სიტყვა, რომელიც ნიშნავს მსჯას, განსჯას. ამისათვის კრიტიკა რიტორიკის აზრით არის უკანასკნელი მოღვაწეობა მსწავლისა, რომელიცა ყოველი წესი გამოცდილებისა, გონებისა და გემოვნებისა დაიდების ყოველს-გვარს თხზულებისა ზედა“.

კ. ლორთქიფანიძე ეხება რა ანტონ პირველის დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსნისადმი“, დასძენს: „ანტონ კათალიკოზი უბნობს ჩახრუხაძეზე, რომ დიდი პოეტი იყო“ და რუსთაველზედ „ამაოთათვის დამვრაო“, მაგრამ ჩვენ ანტონს უნდა დაუჭეროთ, თუ თხზულებას, რომელშიაც ვპოულობთ პოეტის ტალანტს, დიდს ჭკუა-გამოცდილებასაც“¹.

ანტონ პირველის დამცველი ექვთიმე გორისელი გულისტყვილით აღნიშნავდა „ცისკარში“ მოთავსებულ წერილში: „როგორ მიღწია ქართველის გონებამ და სასმენელმა იმდენზედ, რომ ანტონ კათალიკოზის მაღალ-ნიჭიერი თხზულება წყობილ-სიტყვაობა „იამბიკოებით და აკროსტიხულებით“ დაიწუნაო“.

ჩანს, კ. ლორთქიფანიძე ძლიერ აღაშფოთა გორისელისაგან ანტონის იამბიკოებისა და აკროსტიხების შექმბამ და ამიტომ გაუმასპინძლდა იგი ასეთი მწარე სიტყვებით ამ არამკითხე კრიტიკოსს:

„სასმენელი ძლიერ დაბეგვილი უნდა იყოს, რომ მათი სიმშვენიერე იგრძნოს, ყრუ უნდა იყოს კაცი, რომ მისმა იამბიკომ, აკროსტიხებით ერთ ყურში... შესულმა და მეორედან გამობრძანებულმა, არა აენოს ყურსა. ჩვენ ვერც არა რა პოეზიას ვპოულობთ წყობილ სიტყვაობაში, ვერც არა ენის ცოდნასა...“²

სტატიის დასასრულს კ. ლორთქიფანიძეს მოაქვს ამონაწერები ანტონ პირველის წყობილსიტყვაობიდან და გორისელს მიმართავს: „უფალი გორისელი მეტყვის“ ამაო ბრძენი, გნომი და დიდი იყო, ესრეთ, რომელ... ამაში პოეზია სრულიად არ იბოება. არც ნატამალია პოეზიისა... აი ასე ცოდვილობდა ანტონ კათალიკოზი, რომელიც თუმცა პოეტი არ ყოფილა, მაგრამ დიდი ჭკუის პატრონი კი იყო... ესეც მიბრძანე, უფ. გორისელო, ეს „ამაო ბრძენ. გნომ დიდ და სხვა... რა ენაზედ არის დაწერილი? რა ენაა, ქართული, თუნემეცური! რა ვიცი, სიტყვები კი ქართულს არ გვანან, კულ მოკვნიტილები არიან, და ამას გარდა ზმნები რა წყალმა წაილო? სად დაიკარგენ ზმნები? განა უზმნოდაც შეიძლება ლაპარაკი?“³.

* * *

კ. ლორთქიფანიძემ ასევე მკაცრად გაილაშქრა იოანე ბაგრატიონის „კალმასობისა“ და მისი რეცენზენტის დიმიტრი ბაქრაძის წინააღმდეგ.

1 „ცისკარი“, 1862, № 4.

2 იქვე

3 იქვე.

1862 წელს „ცისკრის“ რედაქციამ დიმ. ბაქრაძის წინასიტყვაობით გამოსცა „კალმასობა“. ეს ფაქტი მაშინდელი ქართული კულტურისათვის, უდავოდ, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ თავისებური სტილით დაწერილ ნაწარმოებს „კალმასობას“ ჩვენი მკვლევარნი დღესაც სპატიო ადგილს უთმობენ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ წინასიტყვაობის ავტორმა, დიმ. ბაქრაძემ, ნაწარმოების ღირსება გააზვიადა, „კალმასობა“ უდიდეს მოვლენად გამოაცხადა, მისი ავტორი, იოანე ბაგრატიონი, ჰომეროსს, დანტეს და შექსპირს გაუტოლა, წინანდელი ყველა ქართველი მწერალი, მათ შორის იგულისხმება რუსთაველიც, „კალმასობის“ ავტორის ჩრდილში დააყენა.

აი, როგორ გამოხატავს ამ დებულებას დიმ. ბაქრაძე: „იოანე ბატონიშვილი არის მაღალის ნიჭით შემკული. ჰკითხულობთ რა „კალმასობას“, თქვენ არ შეიძლება არ მოხვიდეთ განცვიფრებაში ავტორის ქემარტივების მსჯელობით, სწავლით, მეცნიერების სივრცით, პოეტურისა და კომიკურის აღბეჭდილებითა, დაწვრილებითის ცოდნითა საქართველოს ჩვეულებათა, პირთა და ისტორიათა. სხვათა საქართვლოს ძველთა და ახალთა მწერლობათა შორის ისე განსხვავდება „კალმასობის“ ავტორი, როგორთაცა განსხვავდება მზე პლანეტათა და ვარსკვლავთა შორის. იოანე არის ჩვენი ჰომერი, ჩვენი დანტე, ჩვენი შექსპირი...“ (ხაზი ჩვენია. — კ. მ.)¹.

დიმ. ბაქრაძის ასეთმა ტენდენციურმა შეფასებამ გამოიწვია ის მკაცრი ტონი, რომელიც გამოამჟღავნა კ. ლორთქიფანიძემ „კალმასობისა“ და მისი უხეირო რეცენზენტის მიმართ.

„დალოცვილს დიმ. ბაქრაძეს, — წერს კ. ლორთქიფანიძე. — წერის პროცესი ჰყვარებია, თორემ ვერც ამდენ ფრაზებს დაისწავლიდა და ვერც ასე გააჭრელებდა წინასიტყვაობას საკუთრებითი სახელებით და ვერც ამისთანა თავის შესავალს გაუკეთებდა..., რომელშიაც ბევრი ცრუ აზრები წარმოუთქვამს“².

კიდევ მეტი სიმკაცრე გამოიჩინა კ. ლორთქიფანიძემ „კალმასობის“ ავტორის — იოანე ბატონიშვილის მიმართ. დ. ბაქრაძის მიერ დანტესთან და შექსპირთან შედარებული მწერლის ნაწარმოებში

¹ „კალმასობა“, 1862 წლის გამოცემა, გვ. 22.

² „ამო-ამათა“: „საქართ. მოამბე“, № 6, გვ. 35—48.

მან ვერც ერთი მნიშვნელოვანი აზრი და ხასიათი ვერ იპოვა. დასასრულს, კ. ლორთქიფანიძემ „კალმასობა“ უაზრო ნაწარმოებად გამოაცხადა და მასზე გაწეული შრომა უმიზნოდ დაკარგულად ჩათვალა.

„პატივი და დიდება იოანე ბატონიშვილის სიმამაცეს, მის მამულის სიყვარულს, მის მამულისათვის სამსახურს, მის ჭკუიანურს გამჭრიახობასა, მაგრამ ეს „კალმასობა“ კი ვერაფერი შრომა დაუტოვებია, თქვენმა მზემ... თუ სწავლის გავრცელება სურდა, ამნაირი ფორმა რად მისცა შრომასა? თუ ქართველების ხასიათის და ჩვეულებების აღწერა უნდოდა, სწავლა რაისთვის ჩაუჩხირებია შიგა? თუ ორივე ერთად სურდა, რაისთვის კარგად ვერ ააზრულა თავისი განზრახვა? ჩვენ გვგონია, რომ აუსრულებლობა გვიმტკიცებს უმიზნობას და თხზულების დატევაა წერის პროცესს. ამისათვის ჩვენ სრულიად არ გვინდოდა, რომ ყურადღება მიგვექცია „კალმასობისათვის“, თუ რომ სახეში არ გვეყოლოდა უფ. მოლაყბე და „ცისკრის“ რედაქცია. რომელნიც, როგორც ამბობენ, დიმი. ბაქრაძის თანახმად, დიდს ღირსებას ჰპოულობენ „კალმასობაში“¹.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კ. ლორთქიფანიძე ისევე გადაჭარბებით აძაგებს „კალმასობას“, როგორც გადაჭარბებით აქებდა მას დიმი. ბაქრაძე. კირილეს ტენდენციურობას, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ხელი შეუწყო „კალმასობის“ გაზვიადებულმა წინასიტყვაობამ და „ცისკრის“ რედაქციის გადაჭარბებულმა მზრუნველობამ.

* * *

თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, ხელოვნებისაგან მოითხოვს ჭირისა და ლხინის, კარგისა და ცუდის ასახვას. მისი აზრით, მწერალი გაბედულად უნდა ებრძოდეს სოციალურ უკუღმართობას. მას გული უნდა შესტკივოდეს საქვეყნო საქმისათვის, უყვარდეს ხალხი და მთელი არსებით განიცდიდეს მის სიდუხჭირეს.

კირილე სამართლიანად უსაყვედურებს ისეთ მწერლებს, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად იხდიან ვალს ხალხის წინაშე, „მოდას“ აყოლილნი გლეხკაცს უმღერიან, ბატონყმობასაც გმობენ, მაგრამ ამას ჩაიდან მხოლოდ მოვალეობისათვის და არ განიცდიან სუ-

¹ „ამაო-ამაოთა“, გვ. 35—48.

ლიერ მღელვარებას, არ არიან აღშფოთებული მშრომელი ხალხის უმწეო მდგომარეობით.

კირილეს აზრით, ზოგიერთი მწერალი, რომელსაც ძველი ცხოვრების სადიდებლად ჰქონდა მომართული სიმები, ახლა ბატონყმობის წინააღმდეგ იმავე სიმებს, „მოდის“ შესაფერად, ოდნავ ხმაშეცვლით აეღერებს.

„სამწუხარო ან კი რად იქნებოდა იმათთვის, მავალითად, ბატონყმობა, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — როდესაც იმათ ანგარების გრძნობის სიმები სულ სხვანაირად ჰქონდათ მოწყობილი. ეს იმათი გრძნობის სიმების მოწყობილობა წინანდელისაგან ეხლაც დიდად არ განსხვავდება. მაგრამ, რაკი, საზოგადოდ, სატირალი საგანი მონისპო, სუტპოეტებმა დაწინაურებულ კაცებად გამოჩენა მოინდომეს და საშაირე საგნების სიაში ისიც ჩაურთეს. ამგვარად, ბატონყმობის მოსაპობის შემდეგ იმისი დევნა ჩვენს ცრუ-პოეტებს „მოდად“ გადაექცათ და არა „განმაცხოველებელ საგნად“¹.

მოდანზე აყოყილ პოეტად კ. ლორთქიფანიძეს გიორგი ჭალადიდელი მიაჩნია.

„ხატზე და ჯვარზე დავიფიცებ, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — რომ ჩვენს ცრუ-პოეტებს არც ფაცხა უყვარდესთ და არც ფაცხაში მცხოვრები. თორემ იმათი გრძნობა აგრე მტკიცედ რად მიეყრდნობოდა „საიდუმლო ბარათებს“ და „თეთრ ყელებს“ და რად უმტყუნებდა იმათ მაშინ, როცა ისინი მონობის დევნაში მამაცობას ჩემულობენ“².

მაშასადამე, კირილეს აზრით, შეიძლება პოეტმა ფაცხასაც უმღეროს, გლეხი კაციც ახსენოს ლექსში, მაგრამ სინამდვილეში გული არ შესტკიოდეს ჩაგრულ ადამიანზე, არც კი აინტერესებდეს მისი უმწეო ბედი. ასეთ პოეტად კირილეს მიაჩნია პოპულარული ლექსის „ფაცხას“ ავტორი გიორგი ქოჩაკიძე.

იშვიათად რგებია „ფაცხის“ მსგავსი ბედი დიდი პოეტის ლექსსაც კი. იგი თავიდანვე ხალხის სასიმილოდ გადაიქცა და ხალხის საკუთრება გახდა. ვის არ უმღერია ან არ მოუსმენია ეს საამო სტრიქონები:

¹ მეგობართან მიწერილი წიგნის ბოლო, ქუთაისის მუზეუმის კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599. „დროებაში“ (1870, № 36) დაბეჭდილია სათაურით: „წიგნი მიწერილი მეგობართან“ ცივისელის ხელმოწერით.

² იქვე.

მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
 მთა-კორტოხზე წამოდგმული,
 უფიცრო და უყავარო,
 წვრილი წკნელით ჩახლართული...

და ასეთი პოპულარული ლექსი დაგმო კირილემ იმიტომ, რომ მისი აზრით, აქ უფრო მშრალი რიტორიკაა, ვიდრე გულწრფელი განცდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში კ. ლორთქიფანიძე უკიდურესობას იჩენს. გ. ჭალადიდელი, მართალია, დიდი პოეტი არ ყოფილა, მაგრამ მან რამდენიმე საინტერესო ლექსი დაწერა, რომელიც სიყვარულით შეითვისა ხალხმა¹.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კ. ლორთქიფანიძეს, რომელიც ყოველთვის დიდ მოთხოვნას უყენებდა პოეტებს, არ მოსწონდა ჭალადიდელის ლექსები.

გ. ჭალადიდელის პოეზიის შეფასებაში იგი ნ. ნიკოლაძესაც ედავება. ნიკოლაძეს ერთ კერძო ბარათში ჭალადიდელი შეუქია და ნიჭიერთა რიგებში ჩაუყენებია, რაც კ. ლორთქიფანიძეს დაუჭერებლად მიაჩნია. ამის თაობაზე კირილე ნიკოლაძეს წერს:

„...იმის ლექსებში (იგულისხმება ჭალადიდელი. — კ. მ.) ერთი აზრი არ არის, არც ნამდვილი გრძნობა, არც ლოგიკაა, არც რითმაა და მე ძალიან მიკვირს, საიდან გიცვნიათ ნიჭის კაცად. მე მგონია, მაგან რაც უნდა იფრინოს თავისი ლექსებით, აკაკი წერეთლის ცალ ფეხად არ ღირს. მაშ, რაღა უნდა იყოს შენი საქები პოეტი“?²

კ. ლორთქიფანიძე, სამართლიანად, გ. ჭალადიდელს აკაკის ცალი ფეხის ღირებულადაც არ თვლის, მაგრამ, როცა აკაკი წერეთელმა დაუშვა შეცდომა, როგორც პოეტმა, კირილემ ისიც არ დაინდო და ჭალადიდელთან ერთად გაკიცხა, თუმცა მორიდების გამო აკაკის გვარი არ მოიხსენია, მაგრამ ლექსი „საიდუმლო ბარათი“ მაინც საჯარო მსჯელობის საგნად გახადა.

როდესაც კ. ლორთქიფანიძე „ფაცხისა“ და მისი ავტორის საკითხს ეხება, იქვე აკაკის ლექსს „საიდუმლო ბარათსაც“ აუგად

¹ ასე გახალხურებულია გ. ჭალადიდელის ლექსი „გამოსალმება“, რომელსაც ხშირად იმღერიან, მაგრამ ავტორის ვინაობა ბევრმა არც იცის. ეს ლექსი „მახსოვს, პირველად სასწავლებელში წასაყვანადა რომ მომამზადეს“...

² ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 2. ქვეყნდება პირველად.

ობსენიებს. მისი აზრით, ეს ნაწარმოები ინტიმურ განცდაზეა აგებული და, ამდენად, საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებულია.

ჩვენს პოეტებს ხალხის ცხოვრება რომ აინტერესებდეთო, — დასძინს კ. ლორთქიფანიძე, — „იმათი გრძნობა ავრე მტკიცედ რად მიეყრდნობოდა საიდუმლო ბარათებს და თეთრ ყელბოსო“¹.

„საიდუმლო ბარათში“ აკაკი, მართლაც, უიმედო სიყვარულს უმღერის. შორეულ სატრფოს ელოლიავენბა, მასზე ცრემლებს ღვრის. სატრფოსთან გაგზავნილ ბარათს ასე მიმართავს პოეტი:

საიდუმლო ბარათო,
გითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მომნიჭედ
და სევდისა ფარადო“.

მისთვის გიდეგ უბეში,
გალბობ ცრემლის გუბეში,
ამისრულო, რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუგეში.

ვერა მხედავ მდუმარეს,
ცრემლებს რომ ვღვრი მდულარეს,
რად არ მეტყვი მის ამბავს,
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს..

კრიტიკოსს კიდევ უფრო ის აწუხებს, რომ აკაკი წერეთელი, ეს „გარემოების საყვირიც“ კი ცდუნებას შეუპყრია, ფანტასტიკურ სამყაროში გადავარდნილა და არარსებულ სატრფოზე და ბარათზე დაუწყო ცრემლის ღვრა. კირილეს აზრით, უფრო სამწუხარო ის არის, რომ ფანტასტიკურობა ჩვენი მწერლობის საერთო სენი გამბლდარა.

„ჩვენ პოეტებს ფანტაზია უფრო გახსნილი აქვთ, ვინემ სახედველი იარაღი, — წერს კირილე, — და ფანტაზია ყოველთვის იმას უფრო ადვილად და ცხადად წარმოიდგენს, რაც აღნიშნულ დროს თვალებისკენ სხივებს არ აგზავნის. მაგალითად, პოეტი უფრო ადვილად და ცხადად წარმოიდგენს „საიდუმლო ბარათს“, ე. ი. იმისთანა ბარათს, რომელიც თავის დღეში არ უნახავს და ვერც ნახავს“².

¹ შუთაიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599.

² იქვე.

ცხადია, ამ საერთო სენით დაავადებულთა შორის კირილეს აკაკიც ჩაუთვლია, რომ ფანტაზიორობის საილუსტრაციო მაგალითად მის ლექსს „საიდუმლო ბარათს“ ასახელებს.

ჩანს, კ. ლორთქიფანიძე იმდენად პრინციპული და მკაცრი იყო, რომ მან აკაკი წერეთელიც არ დაზოგა ერთი მსუბუქი ლექსისათვის.

* * *

კ. ლორთქიფანიძე, როგორც თერგდალეული, მაღალ მოთხოვნებს უყენებდა ხელოვნებასა და ლიტერატურას. მწერლობა მას ინტელექტუალურ სამყაროს ყველაზე რთულ მოვლენად მიაჩნდა. მისი აზრით, პოეტს უნდა ჰქონდეს დიდი კულტურა, ცხოვრების ღრმა ცოდნა, იდგეს ეპოქის მოწინავე აზროვნების დონეზე. იგი ამავე დროს საზოგადოების მსაჯულიც უნდა იყოს, შეძლოს შეფასება ცხოვრების ურთულესი მოვლენებისა და არა მარტო ქმნიდეს ხელოვნების ძეგლებს, არამედ ღრმად აზროვნებდეს, როგორც ესთეტიკურად განსწავლული პიროვნება.

„პოეტობისათვის კაცმა ყოველმხრივ და ღრმად უნდა იცოდეს კაცობრიობის წარსული და ახლანდელი ცხოვრება, რომ მისი კრიტიკა და ახალი ცხოვრების დანახვა შეეძლოს. პოეტი მარტო თავის ინსტიქტს არ უნდა მისდევდეს. იმან ღრმად უნდა შეისწავლოს კაცობრიობის პოეტური ნიჭის ნაწარმოებნი და ამასთან ნამდვილი ესთეტიკური თეორია“¹.

ამ პრინციპიდან გამომდინარე კ. ლორთქიფანიძე მკაცრად ებრძოდა იმ „ვაი პოეტებს“, რომლებიც ორ წიგნს წაიკითხავდნენ და მესამეს თვითონ წერდნენ.

„სამწუხაროდ... იმათ ჰგონიათ, რომ ორიოდვე ხეირიანი წიგნის წაკითხვა სრულიად საკმაოა ხეირიანი რომანის ან პოეტური თხზულების დასაწერად“².

მისი აზრით, ხელოვნება და, კერძოდ, პოეზია ურთულესი მოვლენაა და ყველას არ უნდა ჰქონდეს უფლება, გონებისა და გრძნობის ამ უძვირფასეს საღაროში თავისი უხეში ხელები აფათუროს. ამ დიდ საქმეს მხოლოდ იმან უნდა მოჰკიდოს ხელი, ვისაც ამისათვის ნიჭი და უნარი აქვს მიმადლებული.

ყველა, ვისაც ლექსი დაუწერია, პოეტი არ არის და არც ყოველი ლექსი, რომელშიაც შესაძლებელია რითმი, რიტმი და მარცვალ-

¹ ხელნაწერი № 599.

² იქვე.

თა რაოდენობაც თავის ადგილზე იყოს, მხატვრულ ნაწარმოებად არ ჩაითვლებაო.

„ამ დალოცვილ ჩვენს პოეტებს აინუნშიაც არ მოსდით, რომ ლექსები, ნამდვილი ლექსების წერა ალა-ალა არ არის. იმათ ჰგონიათ, თუ მარცვლები შეაწყვიცის და კბილებჩამტვრეული რითმები მოსძებნეს, ლექსი მზად არისო. — და განაგრძობს კირილე: — „თუ ამასთან ლექსში ვარდის მაგიერ მოდად შემოღებული, ან სხვა რამე „სამოქალაქო მოტივებიც“ ჩააჩხირეს, მაშინ ხომ ზეცას მიფრინვენ და ერთმანეთს პოეტებად აღიღებენ. მაგრამ პოეზია შეწყობილ მარცვლებსა და რითმებში და უხეიროდ და უგრძობოდ სიზმრად ნანახი აზრების გამოთქმაში არ მდგომარეობს... ნუ ფიქრობენ, რომ პოეტობისათვის ნიჰს გარდა საჭირო არაა გონების და გრძნობის მრავალმხრივი და ნამდვილი გახსნა“¹.

მაშასადამე, კირილეს აზრით, სრულყოფილი ნაწარმოების შექმნა დიდ ნიჰსა და ცხოვრების ღრმა ცოდნას მოითხოვს. ლექსის ფორმალური გაწყობა კიდევ არ ნიშნავს პოეტის მოვალეობის პირნათლად შესრულებას და არც ნაწარმოებში „სიზმრად ნანახი აზრის“ უხეიროდ ჩაჩხერა შველის საქმეს. აზრი აზრისათვის, ე.ი. ვალდებულებისათვის კი არ უნდა მოათრიოს მწერალმა, არამედ იგი თვით ცხოვრების სიღრმიდან უნდა მომდინარეობდეს და ნიჰიერებითა და ცოდნით გასხვიოსნებულმა პოეტის კალამმა ჯადოსნური ძალით უნდა გამოძერწოს მხატვრული სახე.

მაგრამ, მისი აზრით, ყველა პოეტი როდი გრძნობს ამ პასუხისმგებლობას, ქართველი მწერლების მრავალრიცხოვანი არმიიდან მხოლოდ მცირე ნაწილს თვლიდა კირილე ლორთქიფანიძე მოწოდების ადგილზე და მოვალეობის სიმალეზე. და კიდევ მეტი: უბედურება ის იყო, რომ უნიჰო და უხამსი პოეტების რიცხვი ყოველწლიურად სოკობივით მრავლდებოდა.

აი, როგორ ირონიულად შენიშნავს ამის შესახებ კ. ლორთქიფანიძე: „რამდენიც წელიწადი გადის, იმდენი ჩვენი ცრუ პოეტების რიცხვი მრავლდება. ნაპოლეონ მესამეს რომ შედარებით იმდენი ჯარი ჰყოლოდა, რამდენი პოეტიც ჩვენ გვყავს, მე მგონია, პრუსიის ჯარი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა გერმანიის საზღვარს იქით“².

¹ ხელნაწერი № 599.

² იქვე.

ცრუ პოეტების ნიმუშად კ. ლორთქიფანიძე წყალტუბელის შემოქმედებას ასახელებს¹. იგი დეტალურად არჩევს ამ უნიჭო პოეტის ლექსებს და კონკრეტული მაგალითებით აჩვენებს უვარგისობის მიზეზებს..

კ. ლორთქიფანიძის აზრით, გიორგი წყალტუბელის ლექსები მხატვრულად სუსტია და აზრობრივად უხამსი. მასში არ ჩანს პოეტური ნაპერწკალიც კი. თითქოს მამულს უგალობს, მაგრამ ეს სიმღერა კატის კნავილს უფრო ჰგავს, ვიდრე ბულბულის გალობას და ასეთ ლექსებს საზოგადოებისათვის არავითარი სარგებლობის ნოტანა არ შეუძლია, თუმცა ზოგჯერ მასში „ნანათხოვრები აზრიცაა ჩაჩხერილიო“.

„ეს არის „მნათობის“ აპრილის წიგნმა ჩემამდისაც მოატანა,²— წერს კირილე ლორთქიფანიძე, — მართალი უნდა ვითხრა, რომ ქვეყანაზე ბევრი რამ მეგონა და, თუ უფ. წყალტუბელს ბულბულის ხმა ჰქონდა, ეს კი სწორედ არ მეგონა. უფ. წყალტუბელი ეუბნება ერთს, უთუოდ თავის მსგავსსვე პოეტს, რომ ჩვენ, „ვისაც ბულბულის ხმა გვაქვსო“, ვარდს ნულარ ვუმღერით, მამულს ვუგალობოთო. თვითონ უფ. წყალტუბელი კი, როგორც იცი, დიდი ხანია მამულს უგალობს. მაგრამ ხმა ძალიან ცუდი ჰქონია და ამის გამო იმის გალობა, რუსები რომ იტყვიან, „კატური კონცერტიაო“, სწორედ იმასა ჰგავს“³.

კ. ლორთქიფანიძე მატერიალისტური ესთეტიკის — უტილიტა-

¹ გიორგი წყალტუბელი — ოსელიანი (1847—1919) დაიბადა სოფელ წყალტუბოში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ამთავრების შემდეგ სწავლობს თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1870 წელს ამთავრებს მოსკოვის სასულიერო აკადემიას და ასწავლის სასულიერო სემინარიაში, თბილისში, ლოგისკა და რუსული ლიტერატურის ისტორიას. 1873 წლიდან გადადის მასწავლებლად თბილისის სამსწავლებლო ინსტიტუტში, ხოლო ბოლო წლებში მასწავლებლობს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

1916 წელს აღინიშნა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლის იუბილე. წერდა ლექსებსა და პუბლიცისტურ სტატიებს „წყალტუბელის ფსევდონიმით. თანამშრომლობდა „მნათობში“, „ივერიაში“, „სასოფლო გაზეთში“, „ჭეჭილში“, „ეკალში“, „მოამბეში“, „ნობათში“, „დროებასა“ და „განათლებლაში“.

ჯერნალ „მნათობში“ სისტემატურად აქვეყნებდა ლექსებს.

² „მნათობი“ იყო ხალხოსანთა ორგანო. გამოდიოდა 1869—1872 წლებში. კ. ლორთქიფანიძე ამ დროს იმყოფებოდა პეტერბურგში და იქ მიუღია აპრილის ქუჩისა, ამიტომ წერს: „ჩემამდე მოატანაო“.

³ „დროება“, 1870, № 36.

რიზმის — პოზიციებიდან უტევს გ. წყალტუბელს. მხატვრული ნაწარმოების ღირსებას იგი სარგებლიანობის თვალსაზრისით ზომავს.

„რომ ყოველივე გალობას მხედველობაში სარგებლობა უნდა ჰქონდეს, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — უთუოდ, უფ. წყალტუბელს, იმის გამო, რომ ისიც ცოდვილი კაცია, თავისი ლექსები კარგი და სასარგებლო ჰგონია. მაგრამ მე გამოტეხით უნდა ვითხრა, რომ იმისი ლექსები ერთ ნამცეც სარგებლობას ვერ მოგიტანენ ამიტომ, რომ ისინი ვერავიზედ ვერ იმოქმედებენ. მე ძალიან ნგრძნობიარე კაცი ვარ, ასე რომ, თუ რომელსამე ლექსში ცოტაოდენი გრძნობით გაცხოველებული საფუძვლიანი აზრია, მაშინვე გული ამიღელდება, მაგრამ არც ერთს უფ. წყალტუბელის ლექსს არ ჰქონია ჩემზედ ამგვარი მოქმედება. თუმცა ის ძალიან ცდილობს, რომ ლექსებში რაიმე აზრი გაიყვანოს, მაგრამ ეს აზრი ისე არეულად და მომაკვდავსავით არის გამოთქმული, რომ მე ვერ ვიტყვი, რომ უფ. წყალტუბელს ბუღბუღლის ხმა ჰქონდეს. ძალიან შესაძლებელი და დასაჯერებელიც არის, ვგონებ, რომ უფ. წყალტუბელი იმიტომაც ვერა წერს გრძნობით გაცხოველებულ ლექსებს, რომ მისი ხმა ბუღბუღლისას სრულიად არა ჰგავს. მაგრამ თვითონ ის მუზის შეილობას იჩემებს. „მნათობის“ რედაქციაც უთუოდ იმას ეთანხმება, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთს უფ. წყალტუბელის ლექსს ის არ დაბეჭდავდა. თუ ამ პრეტენზიაზედ ამათ უარი არ ჰსთქვეს, მე იძულებული ვიქნები, ვიფიქრო, რომ უფ. წყალტუბელს თავის ლექსებში ნათხოვარი, ძვლებში გამჯდარი აზრები ჩაუჩხირებია. მაგრამ, ზოგიერთი ჩვენი სუტპოეტები ნათხოვარ აზრებს ცოტაოდენი გრძნობით, თუმცა ყალბით, მაინც ახერხებენ. უფ. წყალტუბელი ამასაც ვერ ახერხებს და ვგონებ, რომ ამგვარ ბუღბუღლობას უბრალო კაცად ყოფნა ჰსჯობდეს“¹.

ჩვენ კ. ლორთქიფანიძის სტატიიდან ვრცელი ამონაწერი იმისათვის კი არ მოგიტანია, რომ წყალტუბელის პოეზიის უვარგისობა დაავებმტკიცებინა, რაც ისედაც არ იყო ძნელი. აქ ჩვენს ყურადღებას კ. ლორთქიფანიძის გაბედული და შინაარსიანი მსჯელობა იპყრობს. მისი მოხდენილი მაგალითები გვანტერესებს. აქ თეორიული დებულებების პრაქტიკულად გამოყენების საუკეთესო მაგალითი ჩანს.

კრიტიკოსის აზრით, ყოველგვარი გალობა პოეზია არ არის და ყოველგვარი პოეზია ხალხს არ გამოადგება. მხატვრულ ნაწარმოებს

¹ „დროება“, № 36.

მაშინ აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როდესაც მასში მოწინავე აზრებია გატარებული და პოეტური სრულყოფით არის დაკვირვებულნი.

ჩვენ შევამოწმეთ არა მარტო კირილეს სტატიაში დასახელებული აპრილის „მნათობში“ მოთავსებული გ. წყალტუბელის ლექსი, არამედ ჟურნალის ყველა ნომერში დაბეჭდილი მისი ლექსები და ვიკრიძენით, თუ რა გულისტკივილი აწერიებდა ასეთ სტრიქონებს კ. ლორთქიფანიძეს.

მართლაც, წყალტუბელის ლექსები მოკლებულია ყოველგვარ პოეტურ ღირსებას. მათ არც ფორმა გააჩნიათ ხეირიანი და არც შინაარსი. საკვირველია, რომ ამ სერიოზული ჟურნალის „მნათობის“ ყოველ ნომერში, ცნობილი ქართველი მწერლების გვერდით, უთუოდ, წყალტუბელის უხეირო ლექსიც შეგხვდებათ. კ. ლორთქიფანიძის მიერ გარჩეული 1869 წ. აპრილის „მნათობში“ მოთავსებული ლექსი ხომ მართლაც სანიმუშოა ცუდის თვალსაზრისით.

ლექსში ავტორს გამოყვანილი ჰყავს ერთი გამოყეყეჩებული ყმაწვილი, რომელიც მთვარიან ღამეში დახეტიალობს ველად და ეძებს თავის „მნათობს“—სატრფოს, მაგრამ ყმაწვილს მოლოდინი არ გაუმართლდება. სატრფო არ გამოჩნდება.

ლექსის სახელწოდებაა „ბედის ვარსკვლავი“.
 მოგვაქვს მთლიანად:

იღვა ჭაბუკი საღამო უამსა
 და შეცქეროდა მოწმენდილ ცასა,
 ყურს არ უგდებდა ქვეყნად ის არას,
 ცაში ეძებდა მხოლოდ რაღაცას.
 მის გარშემო ყუჩდა ყოველი,
 რაიც კი არის სულისა მთქმელი;
 განაბულიყვნენ, ხმას არ იღებდნენ,
 თითქოს ჭაბუკსა ყურსა უგდებდნენ.
 ბადრი მთოვარე თავს დასცქეროდა
 და თითქოს იმას ეუბნებოდა:
 აქა მოძიე, რასაც ეძიებ,
 მე ჩემი მხრითა ცას გაგინათებ.
 დას-დას ვარსკვლავნი ზეცით ჭუოდნენ
 და ყველა თითქოს მისთვის ხარობდნენ,
 მათ სხივ შთანთქმითა მზე რომ არ იყო,
 დედა მიწასა ამოფარიყო.

დიდხანს უცქირა ჭაბუკმა იმათ,
თითქოს ის იყო მრიცხველი ვარსკვლავთ,
მაგრამ ჭაბუკსა სხვა რამ სტანჯავდა,
რომელსაც ახლა ველად დაჰყავდა.
იგი ეძებდა მხოლოდ ერთ მნათობს,
თუმცა აწ გამქრალს, მაგრამ ერთხელ მყოფს.
მის გამოჩენას ის მოელოდა
და სასოებით ცას შესცქეროდა.
მაგრამ საბრალომ რა ვერ იხილა,
სასომიხდილმა ცასა შესჩივლა:
ახ! ღმერთო, ღმერთო, რა ვყავი ავი,
რომ აღარ ბრწყინავს ჩემი ვარსკვლავი! ¹

მართლაც, რა გავლენა უნდა მოეხდინა ასეთ ლექსს მკითხველზე? ჯერ ერთი, თემატურად ეს ლექსი გრიგოლ რჩეულიშვილის „ახ მთვარევ, მთვარეს“ გადმომღერებას წარმოადგენს, მაგრამ ამას ვინ-ღა ჩიოდა, რომ ამოდენა ლექსში ერთი მხატვრულად გამართული ადგილი და გულს მოსახვედრი სტრიქონი ყოფილიყო? ²

ბ. წყალტუბელის „მნათობში“ მოთავსებული ლექსებიდან აზრის სინათლითა და პატრიოტული განწყობილებით გამოირჩევა მხოლოდ ერთი ლექსი „უკანასკნელი ოხვრა“, სადაც შედარებით ლამაზად არის გადმოცემული მომაკვდავი ყმაწვილის გულწრფელი განცდა.

* * *

კ. ლორთქიფანიძემ ესთეტიკის ბევრი საინტერესო თეორიული საკითხი გაარკვია. იმარჯვებდა რა იგი ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მატერიალისტური ესთეტიკის მოძღვრებას, სწორი დასკვნები გამოჰქონდა ხელოვნებისა და ლიტერატურის სადავო საკითხებზე. განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრება განავითარა მან ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის შესახებ. მისი აზრით, ფორმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოებისათვის, მაგრამ მას არ შეუძლია შინაარსის ადგილი დაიკავოს, შინაარსეული ნაკლოვანება-

¹ „მნათობი“, 1869 წ., აპრილი.

² „მნათობი“, 1869, მარტი, „ფიჭრი წარსულზედ“ (იქვე, 1869, მაისი-ივნისი), „მძინარ დებს“ (იქვე, 1869, სექტემბერ-ოქტომბერი), „ახალი წლის მიღება“ (იქვე, 1870, იანვარი), „პასუხი ახალგაზრდა მოღვაწეებს“ (იქვე, 1870, აპრილი), „უკანასკნელი ოხვრა“ (იქვე, 1871, აპრილი), „136 ფსალმუნის ვალობა“ (იქვე, 1869, ივლისი-აგვისტო).

ნი გამოსიყიდოს. კ. ლორთქიფანიძის მტკიცებით, ფორმისა და შინა-
არსის გარეშე არ შეიძლება ჭეშმარიტი ხელოვნება შეიქმნას, მაგრამ
მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა შინაარსს ეკუთვნის.

„მე ყოველთვის დარწმუნებული ვარ. — წერს კ. ლორთქიფანი-
ძე, — და ახლა კიდევ ვრწმუნდები იმაში, რომ ფორმას დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს ლიტერატურაში, საზოგადოდ, ყოველთვის და თავის
ახალგაზრდობის დროს განსაკუთრებით. ამბობენ, რომ იმ სასარგებ-
ლო აზრმა, რომელსაც ქადაგებდნენ რუსულ ლიტერატურაში 1855
წლიდან, მარტო მაშინ მოიტანეს ნამდვილი სარგებლობა და მარტო
მაშინ ჰქონდათ მკითხველების მომეტებულ ნაწილზე გავლენა, როცა
რომანებში და მოთხრობებში გაიყვანეს ისინი და როცა... ადვი-
ლად გასაგები და საკითხავი შეიქნა. მე სრულებით არ ვამბობ, რომ
ფორმას შეუძლიან შინაარსის ნაკლოვანების გამოსყიდვა, მე მინდა
მხოლოდ ვთქვა, რომ... შინაარსთან რიგიანი ფორმაც საჭიროა“¹.

შეიძლება ასეთი მსჯელობა დღეს ვინმეს პარადოქსად მოეჩვენე-
ნოს, მაგრამ იმდროისათვის, შინაარსის უპირატესობის მტკიცება
დიდ მოვლენად ითვლებოდა.

კ. ლორთქიფანიძე, როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, უპირატე-
სობას შინაარსს აკუთვნებდა. მისი აზრით, შინაარსი ის ქვაკუთხე-
დია, რომელზედაც შენდება მხატვრული ნაწარმოები, ფორმა შინა-
არსის განუყრელი ნაწილია. მაგრამ მაინც შინაარსის ფორმაა.

ამ სწორ დებულებას იცავს კირილე ალ. ცაგარელთან კამათის
დროსაც. ალ. ცაგარელი, როგორც კირილეს წერილიდან ჩანს, ნა-
წარმოების ანალიზის დროს ზოგჯერ ფორმას ანიჭებდა უპირატესო-
ბას და ასეთ დანაშაულს კირილე ხომ არავის ამატიებდა.

„სტატიიდან ჩანს, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ფორმას შინა-
არსზე უპირატესობას აძლევს, განხილვის დროს უფრო ხშირად ფორ-
მის დაფასებას ადგას და არა შინაარსისა. შინაარსი, იმის აზრით,
კუდია, რომელიც თუ ტანს (ე. ი. ფორმას) აბია, ხომ კარგია, თორემ
უკუდოდაც შეიძლება დაკმაყოფილდეთ“².

როგორც აღვჩვენეთ, კ. ლორთქიფანიძე მოწინააღმდეგე-
ებთან ბრძოლის დროს ყოველთვის წელგამართული იყო რუსი მხ-
ტერიალისტების თეორიული დებულებებით. აქაც, ფორმისა და შინა-
არსის საკითხის გარჩევისას, იგი ბელინსკის პოზიციებს ეყრდნო-

¹ კ. ლორთქიფანიძის წერილი ნიკოლაძისადმი, საქართველოს სახ. საზ. ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ხელნაწერთა ფონდი, № 2, 11—26.

² ქუთაისის ისტ. ეთნოგრ. მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელ-
ნაწერი № 2.

ბა. აი ბელინსკის შესატყვისი სტრიქონები: „უშინაარსო ფორმა უხამსობაა, — წერს ბელინსკი — ...უფორმო შინაარსი სიმახინჯა“, „ფორმა ყოველთვის მშვენიერია, როცა შეესაბამება იდეას“¹.

კ. ლორთქიფანიძეს სამართლიანად სწამს, რომ ხელოვანი მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ მაღალ იდეას სრულყოფილ ფორმაში ჩამოაყალიბებს. შინაარსი და ფორმა მისთვის მთლიანი კომპონენტებია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კ. ლორთქიფანიძის მტრული დამოკიდებულება რომანტიკოსების ეპიგონების, საქართველოს წარსულისადმი მოწუწუნე და „მთვარისა“ და „ვარდის“ ეშინით გატაცებული პოეტების მიმართ.

„ერთი დრო იყო, როცა ჩვენში ეგრეთწოდებული პოეტების დადონებული მღერისაგან, იმათი ტირილისაგან და კენესისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. ქვეყანაზე დასაბამიდანვე ძალიან ბევრი რამ სამწუხარო და სატირალი ყოფილა და არის, მაგრამ ეს ჩვენი პოეტები მთვარეს, ვარდსა და სხვა ამგვარებს დაკენესიდნენ...“².

როგორც ცნობილია, ქართველი რომანტიკოსები, მართლაც, საქართველოს წარსულს მისტიროდნენ, გარდასულ დროთა აჩრდილებს შესტროფოდნენ, ციხე-კოშკების ნანგრევებს უმღეროდნენ და განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა „ცისკრის“ რომანტიკოსების შემოქმედებაში. ეს რომანტიკოსები მხოლოდ წარსულის ქებაში ხედავდნენ მამულის „მოყვარეობას“.

კ. ლორთქიფანიძე სამართლიანად უსაყვედურებს ასეთი ყალბი პათოსის პატრიოტებს.

„ჩვენს პოეტებს ძალიან ახირებულად ესმის მამულის მოყვარეობა. იმათი სიყვარული მიქცეულია მთის წვერებზედ დარჩენილი ძველი ნანგრევებისაკენ. ეს ძველი ნანგრევები რომ კაცმა შეაკეთოს და კირით შელესოს და ჩვენი პოეტები იმათ მიაყედლონ, მაშინ იმათ სწორედ უბედური დღე დაუდგებათ, მერმე იმათი ქამანჩის მამულის მოყვარეობით გაბერვა შეუძლებელი იქნება“³.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ასე მოხდენილად და სამართლიანად იშვიათად გაუკრიტიკებია ვინმეს წარსული დროებით გატაცებული ქართველი პოეტები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ

¹ Б. Белинский, избр. соч., 1947 г., стр. 646.

² ხელნაწ. № 599 და „დროება“, 1870 წ., № 36.

³ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის აქტევი, ხელნაწერი № 595.

კ. ლორთქიფანიძე ნიპილისტურ დამოკიდებულებას იჩენდეს წარსულის მიმართ, ხელს იღებდეს მდიდარ მემკვიდრეობაზე. პირიქით, იგი, როგორც ი. ჭავჭავაძე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი ხალხის წარსულის მხატვრულ ფერებში გასხვივონებას, გარდასულ გმირთა აჩრდილების გაცოცხლებას, „დიდების დროთა“ ამეტყველებას. მაგრამ ყოველივე ეს, მისი აზრით, ახალთან უნდა იყოს დაკავშირებული, ახლის შენებაში უნდა იქნას ჩართული, რომ მომავალმა თაობამ წინაპართა საგმირო საქმეები მაგალითად გამოიყენოს, ჩვენში წინსვლის ინტერესი დაბადოს, მომავლის სიყვარული გაადვივოს.

„ძველის ქებას ის მოქმედება აქვს, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ახალს ცხოვრებაზე, რომ მოაგონებს ძველ დამოკიდებულებასთან პრინციპს და ამ პრინციპს აქვს მხოლოდ მომავლის მნიშვნელობა... თუ პატრიოტულ ლექსში პოეტი აზიზდება „ახლანდელს“ „შემდგომი“ იდეალის წარმოდგენით, მაშინ, რასაკვირველია, უკეთესია და ასევე უნდა იქცეოდნენ განათლებული ტალანტები. ესეც უნდა გითხრა, რომ შემდგომი ძნელი დასაანახია გაუნათლებელი კაცისათვის, ის გაჭირვებით ენდობა უნახავს და შეუჩვენებს იდეალებს...“¹.

კ. ლორთქიფანიძე რომანტიკოსებისაგან მოითხოვს, თვალთა ხედვის ისარი მომავლისაკენაც იქნას გადატანილი, მომავალი გაახადონ იდეალად და წარსულის კარგი გამოიყენონ მომავლის საქმეში. ამით კ. ლორთქიფანიძემ არა მარტო სწორად განსაზღვრა წარსულთან დამოკიდებულების საკითხი, არამედ ასევე სწორად გაარკვია მწერლის მოვალეობის რთული პრობლემები.

კ. ლორთქიფანიძე აქ დასახელებულ საკითხებს გარდა, ეხება მწერლის ნიჭისა და დრამატურგიის მნიშვნელოვან პრობლემებს.

იგი სვამს კითხვას: პოეტები იბადებიან თუ იზრდებიან? და როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც კ. ლორთქიფანიძე არ ღალატობს მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებს. არსებითად დიალექტიკის კანონების კონკრეტული გამოყენება ჩანს პასუხიდან: არც იბადებიან, არც იზრდებიან; კიდევაც იბადებიან, კიდევაც იზრდებიან.

მართალია, კ. ლორთქიფანიძეს ასე კითხვა-პასუხის სახით არა აქვს ჩამოყალიბებული და დაკონკრეტებული ეს დებულება, მაგრამ ამ საკითხზე მისი მსჯელობა ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა.

კ. ლორთქიფანიძე სამართლიანად ებრძვის ორივე უკიდურესობას.

მისი აზრით, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისაგან ცოდნისა და სწავლის შედეგად დიდი პოეტი არ შეიქმნება, ასევე უშედეგოდ ჩაქრება, ან, უკეთესს შემთხვევაში, მცირე შედეგს მოგვცემს ბუნებრივი ტალანტი, თუ მას სათანადო ცოდნა და განათლება არ შეუწყობს ხელს. პოეტური ნიჭი ისეთი თანდაყოლილი თვისებაა, რომელსაც სათანადო წარმართვა ესაჭიროება.

„ფიქრობენ, რომ პოეტური ნიჭი ყველა კაცს ერთნაირი აქვსო, — წერს კ. ლორთქიფანიძე. — პოეტობისათვის საჭიროა ამ ნიჭის აღზრდაო, პოეტები იქმნებიან და არ იბადებიანო... თვით საქმე გვიმტკიცებს, რომ ამგვარ ნიჭდაბალ პოეტებს ხეირიანი რომანის დაწერა კი არა, უბრალო დაწყობილი ამბობაც არ შეუძლიან“¹.

კირილე ასევე მკაცრად უარყოფს მეორე უკიდურესობას, რომ თითქოს პოეტები იბადებიან და მათ არავითარი სწავლა-განათლება არ სჭირდებათ. ასეთი არასწორი მოსაზრების წინააღმდეგ კირილე ამტკიცებს: „უეჭველია,.... ნიჭსაც, როგორც ყოველივე მიდრეკილებას და სხეულის თვისებას, აღზრდა უნდა. უამისოდ პოეტად გახდომას სურავინ ნუ იფიქრებსო“. კითხვაზე — თუ ფიქრობენ, უსწავლელი პოეტი თავის ტალანტით „იმისთანა რამეს დასწერს, მთელს ქვეყანას გააკვირვებსო“ — დასძენს: „სამწუხაროდ, იმათ ნაწარმოებებს თვითონ იმათ გარდა... ჯერ არავინ გაუკვირვებია და თუ ვინმე გააკვირვა, გააკვირვა თავისი უხეირობითო“.²

ნიჭს რომ ხელის შემწყობი პირობები ესაჭიროება, ამ დებულების დასამტკიცებლად კ. ლორთქიფანიძე მშრომელი ხალხის მაგალითს ასახელებს. მისი აზრით, თუ დაბალი წრიდან პოეტები და მოაზროვნეები არ გამოდიან, იმიტომ კი არა, რომ მათ ნიჭი აკლდეთ, არა, მათ ნიჭი აქვთ, მაგრამ განვითარება აკლიათ, ხელის შემწყობ პირობებს არიან მოკლებული და ამის გამო ნიჭი უშედეგოდ ილუპება.

„თუ პოეტობისათვის მარტო პოეტური ნიჭი იყოს საკმაო, — წერს კირილე, — მაშინ დაბალი ხალხიდან, რომელიც ღრმა უმეცრებაშია, ძლიერ ბევრი პოეტები გამოვიდოდნენ, მაგრამ ამ ხალხში ძლიერ ბევრი იმისთანა ნიჭის პატრონია, რომ ჩვენი სუტპოეტები იმათ ფეხის მტვერადაც აღარ ღირან“³. ეს შესანიშნავი მაგალითი კ. ლორთქიფანიძემ შეიძლება ბელინსკიდან მოიტანა. ბელინსკიც

¹ ხელნაწ. № 599.

² იქვე.

³ იქვე.

ხომ ამასვე წერს: „...თუ საზოგადოების განვითარებულ კლასებიდან მეტი შესანიშნავი ადამიანი გამოდის, ეს იმიტომ ხდება, რომ იქ განვითარების მეტი საშუალებაა, და სულაც არა იმიტომ, რომ ბუნება დაბალი კლასების ადამიანისათვის თავის ნაბოძვარის გაცემაში უფრო ძუნწი იყოს“¹.

* * *

კ. ლორთქიფანიძეს სახელმძღვანელო დებულებები აქვს გამოთქმული დრამატურგიისა და, კერძოდ, ქართული კომედიოგრაფიის საკითხებზეც. იგი ღრმა თეორიულ დებულებებს აყენებს კომედიის სპეციფიკური მოვლენების გასარკვევად, რომ კომედიაში კომიკურობას იწვევს როგორც შინაგანი წინააღმდეგობანი და სასაცილო სიტუაციები, ისე გმირის გარეგანი სახე და ფორმალური ეფექტები. მაგრამ ნამდვილი, სრულფასოვანი კომედია იქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომიკური ნაწარმოებებში შინაგანი სიუჟეტური ქაოვილიდან მომდინარეობს და თვით მოქმედება სასაცილო სიტუაციაშია გაშლილი. გარეგანი ეფექტებით გატაცება კი იმას ნიშნავს, რომ მწერალს იოლი გზა აურჩევია მიზნის მისაღწევად, რაც ამავე დროს მისი ტალანტის სიმცირეზე და ნაწარმოების სისუსტეზე მეტყველებს. ამ ნაკლოვანებათა გამო არ მოსწონდა კ. ლორთქიფანიძეს ყალბ საფუძველზე აგებული ქართული კომედიები. მისი აზრით, ქართველი კომედიოგრაფები ცდილობენ გმირთა გარეგანი მხარე დახატონ სასაცილოდ, მეტყველება და ჩაცმულობა გამოიყენონ კომიკურობისათვის და არა მოქმედების შინაგანი დაძაბულობა და სასაცილო სიტუაციები. შემთხვევით არ აიხსნება ის ფაქტი, რომ ყოველთვის ქართულ კომედიებში გამოყვანილი არიან სომხები, იმერლები, რაჭველები, ქართლები და ებრაელები. ავტორები ცდილობენ გმირის ჩაცმულობით და დამახინჯებული მეტყველებით გააცინონ მაყურებლები. ამ ნაკლოვანებას კირილე ასე გამოხატავს: „...კომედიებში იმათ გამოყავთ მრავალგვარი ხალხი, რომელთა შორის გარეგან განსხვავებაზე არის მიტყეული ჩვენი კომიკების ყურადღება. მარტო სომხების, იმერლებისა და ქართლების ქართულ ენაზე და არა მოქმედებაზედ. ამგვარად, ჩვენი კომედიები სასაცილოა მხოლოდ თავისი გარეგანი თვისებით და არა შინაარსით... ამ კომედიებში გამოხატული არც ერთი მოქმედება, არც ერთი მოქმე-

¹ ბ. ბელინსკი, რჩეული ნაწერები, წიგ. 1, გვ. 449.

დი პირის მიმართება, ანუ განწყობილება არ მოგვრის კაცს მწარე ღიმილს“¹.

კ. ლორთქიფანიძის სამართლიანი შენიშვნით, ასეთ კომედიებს სხვა ნაკლიც აქვთ. ამ სახის კომედიებში კომიკური აქცენტის გარეგან და ეთნოგრაფიულ, თუ კუთხურ, თვისებებზე გადატანით გმირის ზოგადი ხასიათი იკარგება. ცალკე ზნე-ჩვეულების მატარებელი პერსონები უფრო კერძობითი ნიშნების მატარებელი არიან, ვიდრე ვანზოგადებული ტიპისა.

„ჩვენს კომედიებში, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — არ არის არც ერთი მთელი და ნამდვილი ხასიათი, არც ერთი ტიპი... ერთი ვიკითხოთ, რა იქნებოდა, რომ შექსპირსაც ერთსა და იგივე თხზულებაში ერთი რომელიმე ხალხიდან არ მოეყვანა თავისი საზოგადოდ კაცობრიული მნიშვნელობის მქონე ტიპები და მაგიერად დრამაში მოქმედ პირებად აერჩია საქსონელი, სკანდინაველი, გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, რუსი, თათარი, ბერძენი, ქართველი, სპარსელი, ჩინელი, იაპონელი, ინდოელი და სხვა? რა იქნებოდა, რომ ოსტროვსკის ერთსა და იმავე კომედიაში ერთის წოდების ცხოვრების მაგიერ მოენდომებინა მთელი რუსეთელი ხალხების ცხოვრების გამოხატვა და ამისათვის მოქმედ პირებად მოეყვანა დიდი რუსეთელი, პატარა რუსეთელი, პოლშელი, ფინელი, ჩერქეზი, ლეკი, ქართველი, თათარი, კალმიკი, ყირგიზი, ჩუქჩი და სხვა? ეს მწერლები იმდენად გონიერი უოფილან, რომ მაგრე არ მოქცეულან და რომ, საუბედუროდ, ნიჭიერება ცოტადენი კლებოდათ, უეჭველია, ამგვარად აია-სოფის კენჭებსავეთ დრამისა და კომედიის აშენებას მოინდომებდნენ და მაშინ იმათი თხზულებები წარმოგვიდგენდა ნამდვილს ენათ-შერევას, რომელზედაც მიქცეული იქნებოდა როგორც მწერლების, ისე მკითხველების განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენს კომიკებს სწორედ ამნაირი საქმე ემართებათ, ისინი სწორედ ამნაირად ჰსწერენ თავის კომედიებს. ყალბ ვერცხლად გვაძლევენ და გონებისა და გრძნობის ნამდვილად აღძვრის მაგიერ სწორედ ამ ნაირივე ენათ-შერევით გვატყუებენ“². და ბოლოს გულსტიკივლით დასძენს ავტორი: „ღმერთო, როდის იქნება, რომ ჩვენს კომედიებში მოქმედ პირებად ან მარტო ქართლები იყვნენ, ან მარტო იმერლები იყვნენ, ან მა-

1 ხელნაწ. № 599.

2 იქვე.

რტო სომხები... არ იფიქროთ მე სპეციალურ კომედიებს ვნატრობდე. ჩვენში რომ ნამდვილად ნიჭიერი და ნამდვილად ნასწავლი და განათლებული კომიკები იყვნენ, მე, რასაკვირველია, არ ვიტყოდი, რომ კომედიებში მოქმედ პირებად მართო ქართლელები ყოფილიყვნენ, ან მართო იმერლები...“¹.

კ. ლორთქიფანიძის მიერ აქ წამოჭრილი საკითხები კომედიის შესახებ დღესაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული. მართალია, დღევანდელ ქართულ კომედიებში ებრაელები, სომხები, იმერლები და ქართლელები არ არიან გამოყვანილი დაცინვის საგნად, მაგრამ, ის ძირითადი ნაკლი, რაზედაც ასე სამართლიანად მიუთითებდა კ. ლორთქიფანიძე თავისი დროის დრამატურგების შესახებ, დღესაც მტკიცენულად იგრძნობა დრამატურგიაში. ეს არის იაფფასიანი და მსუბუქი, გარეგანი ეფექტების საშუალებით შექმნილი კომიკური მომენტები.

იგი, როგორც ბელინსკი უკრძალავდა „უხეში მაუდის ქსოვილის შინელში გამოწყობილ წვერგაუპარსავ მჯღაბნელ მწერლებს“ წერას, რადგან, მისი აზრით, „ეს მწერლები რყვნიდნენ საზოგადოების გემოვნებას, სახელს უტეხდნენ ლიტერატურას“, კ. ლორთქიფანიძეც უკრძალავს უნიჭო ქართველ მწერლებს წერას. იგი მკაცრი ტონით მიმართავს ჩვენს წვრილფეხა მწერლებს: „ძმანო, რომანების, დრამებისა თქვენ ისე არაფერი გაგეგებათ, როგორც ჩინური ენისა. ამისათვის ჰსჯობია, იმასზე ხელი აიღოთ. თუ ლექსებზედაც ხელს აიღებთ. ხომ კარგია და პატიოსანი, თუ არა და რა გაეწყობა, ჰსწერეთ, ჰსწერეთ, მაგრამ იცოდეთ კი, რომ თქვენი სამღერალი საგანი ვარდია, იმიტომ რომ მღერა ვარდს შეჭფერის და თქვენთვისაც დემეოთს მართო ბულბულივით მომღერალი ხმა მოუცია. არ შეეხოთ არც ერთს იმისთანა საგანს, რომელიც თქვენ სიზმარში გინახავთ და რომელიც არც კი იცით, სასმელია თუ საკმელი“².

ჩანს, კ. ლორთქიფანიძე არა მართო უნიჭო და წვრილფეხა მწერლების წინააღმდეგ ილაშქრებს, არამედ ასევე მკაცრია და დაუნდობელი ვარდის მომღერალ ბულბულების მიმართ, უსავნო და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი პოეტების მიმართ. კ. ლორთქიფანიძე, მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, გმობს მთვარეზე და ვარსკვლავებზე მიშ-

¹ ხელნაწერი № 599

² იქვე

ტერებული პოეტების ფრინველსავეით უზრო სტვენას. იგი ამ სტა-
ტიაში ისევე მკაცრად ილაშქრებს „წმინდა ხელოვნების“ თეორიის
წინააღმდეგ, როგორც ილიამ გაილაშქრა „პოეტში“ უშინაარსო,
ტკბილხმოვანი პოეზიის წინააღმდეგ.

როგორც აქ წარმოდგენილი საკითხების განხილვიდან ჩანს,
თერგდალეულმა კ. ლორთქიფანიძემ პრაქტიკულად გამოიყენა მა-
ტერიალისტური ესთეტიკის საბრძოლო დებულებები და ხელოვნე-
ბის საკითხებზე წამოაყენა ბევრი ისეთი საყურადღებო მოსაზრება,
რომელთაც არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, არამედ
დღესაც არ დაუკარგავთ მოქმედების ძალა.

ბ . ბ ი ბ ი ზ ა ძ ე

გრიფიუსის „ქეთევან დედოფლის“ ისტორიულ
წყაროთა შესახებ

გრიფიუსისა და მისი თხზულებების შესახებ საკმაოდ ბევრი დაწერილა, განსაკუთრებით გერმანიაში, მაგრამ გრიფიუსის ტრაგედების, კერძოდ, „ქეთევან დედოფლის“ წყაროების კვლევით, მცირერიდენი გამონაკლისის გარდა, არავინ დაინტერესებულა. ეს არც თუო გასაკვირი, რადგან გრიფიუსის შემოქმედება ერთხანს ნიდერლანდელი ვონდელის თხზულებათა ძირითადი მოტივების გერმანულ დამუშავებად იყო მიჩნეული.

„ქეთევან დედოფლის“ სიუჟეტის წყაროთა საკითხის გარკვევა პირველად ცადა გრიფიუსის თხზულებათა გამომცემელმა ჰ. პალმმა, მაგრამ საკმარისი საბუთების უქონლობის გამო მხოლოდ ვარაუდზე შეჩერდა. დრამაში აღწერილი ამბის ისტორიულ ფაქტთან შეჯერებისათვის იგი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის მოგზაურობის აღწერილობას დაეყრდნო და დრამის ისტორიულ წყაროდაც შარდენის შრომა ივარაუდა, თუმცა საკითხის ამგვარად გადაჭრის სისწორეში თვით ეპარებოდა ეჭვი¹. რადგან ამ საკითხზე სხვა სარწმუნო მოსაზრება არ გამოთქმულა, პალმის ეს მცდარი აზრი შემდეგში არა ერთხელ იქნა გამეორებული². მხოლოდ 1892 წელს იქნა ეს შეხედულება უკუგდებული ლ. პარიზერის გამოკვლევის წყალობით, რომელმაც გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ გრიფიუსის ხსენებული ტრაგედიის წყარო უნდა ყოფილიყო ცნობილი იტალიელი პატრიციის პიეტრო დელლა ვალლეს შრომები. რადგან პარიზერს

¹ A. Gryphius, *Trauerspiele* (Bibl. des Lit. Vereins, Bd. 162), Stuttgart, 1884, გვ. 138.

² Jörden, *Lexikon*, B. II, გვ. 226. შარდენის შრომა გამოცა 1685 წელს ლონდონში, გრიფიუსმა კი ეს ტრაგედია 1657 წ. დაბეჭდა.

ხელი არ მიუწვდებოდა ამ შრომებზე¹, ამიტომ ეს მოსაზრებაც მხოლოდ ვარაუდად დარჩა. არც პარიზერს და არც სხვა ვინმეს ამ აზრის შემდგომი განვითარება და საბუთებით გამაგრება არ უცდია. ამის შემდგომ ყველა, ვინც გრიფიუსის ამ დრამას ეხებოდა, იმეორებდა პარიზერის ამ ვარაუდს და ყველაფერი ამით მთავრდებოდა. საქმეს საბოლოოდ არ უშველა არც ციგულსკის გამოკვლევამ, რომელმაც ტრაგედიის წყაროდ კლოდ მალენგრის მიერ შედგენილი წამებულთა ცხოვრების აღწერილობა მიიჩნია².

დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ გრიფიუსს არ უმოგზაურია აღმოსავლეთში, მით უმეტეს — საქართველოში. არც ისაა ცნობილი, რომ მას რაიმე ურთიერთობა ჰქონდა იმ დროს ევროპაში მყოფ რომელიმე ქართველ მოღვაწესთან. საქართველოს ამბებს იგი იცნობდა, უთუოდ, მოგზაურობათა აღწერილობებით, რომლებიც იმ დროს არც თუ იშვიათად გამოდიოდა სხვადასხვა ევროპულ ენაზე, ანდა ევროპაში მოგზაურობის დროს, შეიძლება, თვით ჰქონდა პირადი ნაცნობობა რომელიმე მოგზაურთან.

ამ დებულების დადასტურება იქნება ჩვენი მიზანი ამჟამად. ცნობილია, რა ვასაჭირში იმყოფებოდა საქართველო მეჩვიდმეტე საუკუნეში თურქ-ოსმალთა შემოსევის გამო. აბსოლუტური მონარქიის აყვავების ზენიტზე მყოფი ევროპის ქვეყნები ამ დროს ყოველ ღონეს ხმარობდნენ თავიანთი გავლენის სფეროს გაფართოებისათვის. რომის კათოლიკური ეკლესია განსაკუთრებით აქტივობას იჩენდა ბრძოლებით დანგრეულ საქართველოში თავისი დასაყრდენის შექმნისათვის. ამ მიზნით რომის პაპი და პროპაგანდა ათეულობით აგზავნიდნენ თავის მისიონერებს საქართველოში. მიუხედავად დიდი სიძნელებისა, რაც მიმოსვლის ცუდი საშუალებების გარდა რომის ეკლესიის ღონისძიებებისადმი მაჰმადიანური სპარსეთისა და თურქეთის მტრული დამოკიდებულებითაც იყო გართულებული, საქართველოში ამ დროს მოდიოდა და უკან ბრუნდებოდა საკმაოდ დიდი რიცხვი კათოლიკური რომის საეკლესიო პოლიტიკის მქადაგებელთა. ისინი ახდენდნენ საქართველოში შექმნილი ვითარების აღ-

¹ იხ. L. Pariser, Quellenstudien zum A. Gryphius Trauerspiel „Catharina von Georgien“, Zeitschrift für vergl. Literaturgesch., V, H. I, II 1892, Berlin.

² იხ. Z. Zygulska, A. Gryphius. „Catharina von Georgien“ nach ihrer französischen Quellen untersucht, Lwow, 1932.



წერას და ინფორმაციის სახით აწვდიდნენ რომის ეკლესიას. აქედან ეს ცნობები ევროპის საზოგადოებრივობის ყურადღებამდე აღწევდა. კათოლიკე მისიონერთა შორის იყვნენ დიდი კულტურული ინტერესის მქონე ფრიად განათლებული პირებიც, რომლებიც გულმოდგინედ სწავლობდნენ ქართველთა ზნე-ჩვეულებებს, ყოფა-ცხოვრებას და შემდგომ ამ ცნობათა პოპულარიზაციას ახდენდნენ ევროპაში. ასეთი შინაარსის არა ერთი საინტერესო წიგნი დაბეჭდილა იმ დროს რომში; ისინი ქართველთა სარწმუნოების, ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა სურათებთან ერთად საქართველოს ისტორიის საინტერესო ფაქტებსაც შეიცავდნენ.

ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს ამგვარი ნაშრომების სწორედ ის ნაწილი, სადაც ასახულია გრიფისის ტრაგედიაში აღწერილი ისტორიული სურათები და კერძოდ: საქართველოს აოხრება შაჰ-აბასის მიერ, ქეთევან დედოფლის წამება და ქართველ მეფეთა ტრაგიკული ბედი.

ამ პერიოდისა და ამბავთა შესახებ უპირატესად იტალიელ კათოლიკე მოძღვართა აღწერილობებიდან ვტყობილობთ.

1624 წელს სპარსეთის დედაქალაქში ყოფილა დომინიკანელი ბერი გრიგორი ორსინო, რომელსაც უფრო ადრე საქართველოშიც უმოგზაურია. სპარსეთში მისი ყოფნისას დაუსჯია შაჰს საქართველოს დედოფალი ქეთევანი. 1626 წელს ორსინოს წარუდგენია რომში პროპაგანდისათვის ვრცელი მოხსენება საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობის შესახებ. მასვე აღუწერია სპარსელთა მიერ საქართველოს აოხრებისა და ქეთევან დედოფლის წამების ამბები¹, მაგრამ ეს საბუთი დღემდე ჩვენთვის მიუწვდომელია.

საქართველოს დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის ამბები თავის დროზე მოხსენებია რომის პაპსაც და მას დედოფლის გმირული საქციელი ქებით მოუხსენიებია წამებული დედოფლის ვაჟის — თეიმურაზ მეფისადმი გაგზავნილ ბარათში, რომელიც 1626 წელს თეიმურაზისათვის მოუტომევეა კათოლიკური მისიით ჩამოსულ მოძღვარ პეტრე ავიტაბილეს. პაპი ურბანო მერვე წერს:

„აგრეთვე უწყით, თუ რაოდენი სიმტკიცე სარწმუნოებისა გამო-

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1907, გვ. 87.

იჩინა დედათქვენმა, რომელმაც ქრისტიანობაზე ხელის აღებას თვისი სამეფოს დაკარგვა და სიკვდილი არჩია“¹.

ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ მოხსენება შეუდგენია ავგუსტინის წესის მოძღვარს ამბროზიოს, რომლის მეთაურობით 1628 წელს ივნისში გორში ისპაჰანიდან ჩამოსვენებულ იქნა დედოფლის ნაშთი, რომელიც დიდი პატივით ინახებოდა იშპაჰანში ავგუსტინელ მონაზონთა მონასტერში. ხსენებული მოხსენებაც არ გამოქვეყნებულა და ჩვენთვის ამჯერად მიუწვდომელია².

როგორც ორსინოს, ასევე ამბროზიოს ინფორმაციები, ჩანს, კერძო დანიშნულებისა ყოფილა და მათი წიგნად გამოცემა არსად იხსენიება, მით უმეტეს, არ მომხდარა მათი თარგმნა ევროპის სხვა ენებზე. ამდენად, ისინი გრიფიუსის ყურადღების სფერომდე ვერ მიაღწევდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ინფორმაციათა შორის იმსახურებს იტალიელი პატრიციის პიეტრო დელლა ვალლეს შრომები, რომლებიც იმდენად შეესატყვისებოდნენ მაშინდელი საზოგადოებრივი აზრის მიმართულებას და შესაბამისად იმდენად პოპულარული გამხდარან, რომ ისინი დაუყოვნებლივ უთარგმნიათ ევროპის სხვა ხალხთა ენებზე.

თუმცე პიეტრო დელლა ვალლეს არასოდეს დაუდგამს ფეხი საქართველოს მიწაზე, მაგრამ არც ერთ იმდროინდელ მოგზაურს არ უწერია საქართველოს შესახებ იმდენი, როგორც მას.

ვალლე გავლენიანი არისტოკრატიული წრიდან ყოფილა, 1614 წ. აღმოსავლეთში გამგზავრებულა და თერთმეტი წელი დაუყვია იქ, გულდასმით შეუსწავლია არაბეთის, ინდოეთის, თურქეთის, ეგვიპტისა და სპარსეთის ხალხთა ცხოვრება. ყველაზე დიდხანს სპარსეთში ყოფილა და, როგორც კათოლიკური ეკლესიის ერთგული მსახური, აქ გულმოდგინედ გაცნობია ქრისტიანთა ყოფას. ყველაზე მეტად ის ქართველ ქრისტიანთა ყოფას დაუინტერესებია. მით უმეტეს, სპარსეთის ქალაქებში მაშინ იყო უამრავი ქართველი, რომლებიც სპარსთა ურდოებს უწყალოდ გაერეკათ საქართველოდან.

პიეტრო დელლა ვალლეს თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი აღუწერია 54 წერილში, რომელიც 4 წიგნად გამოუციათ რომ-

¹ მ. თამარაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 91.

² თამარაშვილი თავის ზემოხსენებულ წიგნში დაპირებას იძლეოდა ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შესახებ. იხ. გვ. 103.

ში. პირველი და მეორე წიგნი გამოსულა იტალიურ ენაზე 1650 წელს. ეს შრომა სწრაფად გავრცელდა ევროპაში და ითარგმნა ბევრ ენაზე. 1664 წელს იგი ინგლისურად უთარგმნიათ და გამოუციათ ლონდონში, 1674 წელს მისი სრული თარგმანი გამოცემული ყოფილა გერმანულად ქენევაში, ხოლო 1745 წელს გამოუციათ ფრანგულად.

ჩვენი საკვლევი საკითხისათვის ვალღეს შრომათა შორის გაცილებით მეტი მნიშვნელობის მქონეა 1628 წელს ვენეციაში დაბეჭდილი *Della conditioni di Abbas Re die Persia*¹. ამ შრომაში ვალღე ეხება შაჰ-აბასის გვარის გენეალოგიას, მისი მმართველობის ამბებს და აღწერს კარის ზნე-ჩვეულებებს, შაჰის პირად თვისებებსა და მისი მეფობის პერიოდში მომხდარ ამბებს. ეს მონოგრაფია ვალღეს შეუდგენია სპარსეთიდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე — 1626 წელს და ორი წლის შემდეგ გამოუცია. ამ მონოგრაფიისადმი დიდი ინტერესის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ 1631 წელს მისი ფრანგული თარგმანი ცალკე წიგნად გამოუციათ პარიზში.

შაჰ-აბასის პიროვნების დახასიათებისას ამ შრომაში ვალღე იგონებს მის მიერ ჩადენილ სისასტიკეთა მაგალითებს, რომელთა ნაწილი გრიფიუსის ტრაგედიაში აისახა.

არსებობს უფრო მდიდარი და საინტერესო მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს გრიფიუსის ტრაგედიის მრავალრიცხოვან დეტალთა წყაროს რაობა. ეს არის იმავე პიეტრო დელლა ვალღეს „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“, რომელიც მას შეუდგენია სპარსეთიდან დაბრუნებისთანავე (1626) და წარუდგენია რომის პაპ ურბანო მერვესთვის, რათა უკანასკნელს მიეღო შესატყვისი ზომები საქართველოსათვის „დახმარების აღმოსაჩენად“, რაც, მაშინდელი კათოლიკური სამღვდელოების მსახურთა გავებით, საქართველოში სარწმუნოების ქადაგების მიზნით კათოლიკე მისიონერთა მეტი რიცხვის გაგზავნით განისაზღვრებოდა.

რომის პაპმა, მართლაც, მიაქცია ვალღეს ამ ინფორმაციას ყურადღება და საქართველოში გასაგზავნი მისიონი განამზადა².

ამის შემდეგ პიეტრო დელლა ვალღე საქართველოს ამბების საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა რომში და, ვინც კი განიზრახავდა

¹ ჩვენ ხელთ გვქონდა ამ შრომის ფრანგული თარგმანი. იხ. *Valle, P. Histories apologetiques d' Abbas, Re de Perse, Paris, MOCXXXI.*

² მ. თამარაშვილი, 88.

საქართველოსკენ გამგზავრებას მისიის ან სხვა მიზნით, მასთან თათბირობდა. პაპი და პროპაგანდა პირდაპირ მიუთითებდნენ მისიონერებს, რჩევისათვის მისთვის მიემართნათ. ასე, მაგალითად, 1626 წელს, 9 მაისს პროპაგანდა წერდა მისიონერ პეტრე ავიტაბილეს: „ბატონმა კარდინალებმა გადაწყვიტეს თქვენი ამხანაგებითურთ: გაგზავნონ ქართველებთან, რომელთა შესახებ ბ. პეტრე დელლა ვალემ ბევრი რამ მოგვითხრო... აწ შეგიძლიათ განემზადოთ წასასვლელად... ხსენებული პეტრეც მოგცემთ შესაფერს და საჭირო დარიგებას“¹. ვალესაც შეგნებული ჰქონია თავისი ცოდნის მნიშვნელობა და ამიტომ თავისი შრომა საქართველოს შესახებ, ლამაზად ვადაწერილი, წიგნად შეკინძული, ლათინურად გამართული, გაუმზადებია საქართველოში მისიონერული მიზნით გასამგზავრებელ სულიერ მამათა საჭიროებისათვის².

ვალეს „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“ შემდგომში შესულა ვალეს შრომების ყველა კრებულში და უთარგმნიათ სხვადასხვა ენაზე. იგი ითარგმნა 1745 წელს და შევიდა ვალეს თხზულებათა ფრანგულ გამოცემაში³.

ეს შრომა რუსულად უთარგმნია ქართველ მოღვაწეს გ. ყაზბეგს და დაუბეჭდავს 1867-68 წლებში გაზეთ „Кавказ“-ში⁴. ქართულად იგი არასრულადაა თარგმნილი ა. ჭყონიას მიერ⁵.

გრიფიუსის ტრაგედიის ძირითადი სიუჟეტური ღერძი ქართველი დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის ისტორიაა. არც წინასიტყვაობაში და არც ბოლოს დართულ განმარტებებში ავტორი არ ასახელებს დრამის წყაროს და სიტყვასაც არ ძრავს იმის შესახებ, მართლა მომხდარა თუ არა ისტორიაში ასეთი ფაქტი. სხვათა შორის, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა გრიფიუსი ასე გარკვეულად, თითქოს განზრახ, გვერდს უვლის დრამის ისტორიულ სინამდვილესთან დამოკიდებულებისა და წყაროს საკითხს. მით უმეტეს, ამ გულგრილობას იგი თავის ორივე გამოცემაში ადასტურებს და ჩვენ საფიქრებლად გვრჩება მისი განზრახვის ახსნა.

¹ მ. თამარაშვილი, გვ. 89.

² *Petri Della Valle, Reiß-Beschreibung... Genff, MOCXXIV, IV, 83: 227^a.*

³ იხ. *Voyages de Pietro della Valle, Paris, 1745.*

⁴ *Италианцы о Кавказе: «Кавказ», № 41—48, 1867, 1868.*

⁵ „ივერია“, 1879, № 3.

ეს შემთხვევა მიტომაც უფრო გვეჩვენება მოულოდნელად და უცნაურად, რადგან ვიცით, რომ გრიფიუსი მეჩვიდმეტე საუკუნის გერმანიის ე. წ. „სწავლული პოეზიის“ წარმომადგენელი იყო და ჩვეულებრივ, ისტორიულ წყაროთა გათვალისწინებასა და გადმოცემას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა.

სხვა შემთხვევაში იგი არა მარტო წყაროებზე მიუთითებს, არამედ დამაჯერებლობისათვის მათ ციტირებასაც ახდენს („ლეო არმენიუსი“, „კარლ სტიუარტი“).

ვალეს ზემოთ დასახელებული თხზულებები, რომელთაც ჩვენ გრიფიუსის ტრაგედიის წყაროებად ვიჩნევთ, მრავალმხრივ საფუძვლად ეწოდება ცნობებს იძლევა აღნიშნულ საკითხზე. სპარსეთის შაჰის სიმკაცრისა და ვერაგობის საილუსტრაციოდ გრიფიუსი დედოფლის დასჯას ასახელებს და ამბობს:

„რაც შეეხება ჩემი აზრის გამოთქმას, მე კვლავ ვაღიარებ, რომ ამ დედოფლის წამება უდიდესი ბოროტებაა, აბასის მიერ ოდესმე ჩადენილი. მართლაც, უგუნურება იყო ასეთი დიდი დედოფლის სისხლში ხელების გასვრა“¹.

გარკვეული ხასიათის ცნობას ვპოულობთ ამის შესახებ დელლა ვალეს მეორე შრომაში:

„როცა ინდოეთიდან ვბრუნდებოდი, ბოსორაში მე გავიგე, რომ ხსენებული ქეთევან დედოფალი 1624 წლის 22 სექტემბერს წამებულის სიკვდილით მომკვდარა შირაზში, სადაც ასე ხანგრძლივად იყო იგი ტყვეობაში და არა ერთგზის ცდილან იძულებული გაეზადათ იგი უარეყო თავისი სარწმუნოება“².

ეს ამბები დელლა ვალეს შეუტყვია სომხეთის გენერალური ვიკარის მოძღვრის გრიგორი ორსინოსაგან. ამ ორსინოს იმ ხანებში სპარსეთში გაუვლია და, რადგან ეს ამბავი მაშინ ახალი მომხდარი ყოფილა, მასზე დაწვრილებითი ცნობები შეუკრებია, აუწერია, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების პოპულარობის დამადასტურებელი ფაქტი და რომში წაუღია, ალბათ, პროპაგანდისათვის წარსადგენად.

დედოფლის მხეცური წამების შესახებ ჩვენ ვკითხულობთ მეფე თეიმურაზის მიერ რომის პაპისადმი გაგზავნილ საგანგებო წერილში, რომელშიაც მეფე პაპს ქართველი ხალხის ქრისტიანობისადმი

V alle, Della condizioni di Abbas, გვ. 234—235

2 «Кавказ», № 42.

ერთგულებას უდასტურებდა და სთხოვდა სარწმუნოების უკეთ ქადაგების მიზნით სპარსელებისაგან გაძარცვული მონასტრების კეთილმოწყობისათვის საჭირო ნივთების შექენაში დახმარებას:

„იმ უსჯულო სპარსელების მეფემ, — წერდა თეიმურაზი, — რა ვერ დასძლია მისი სიმტკიცე და სიყვარული ხორცის სიწმიდისა და სარწმუნოებისათვის, ჯერ დაატყვევა, შემდგომ თუ ჩემზე და თუ დედაჩემზე გაბრაზებულ-განძვინარებულმა მეფემ და მისმა უღმობელმა ერმა მწარედ დაუწყეს ტანჯვა მას და ასე დატანჯულმა სული განუტევა“¹. ეს წერილი 1629 წლის 5 იანვრის თარიღითაა აღნიშნული, მაგრამ, როგორც მ. თამარაშვილი შენიშნავს, აქ შეცდომა უნდა იყოს, რადგან ამ წერილის წამლებმა პეტრე ავიტაბილემ რომიდან მხოლოდ 1628 წლის 14 დეკემბერს მოაღწია და 20 დღის შემდეგ რომში ვერ იქნებოდა; თანაც წერილში აღნიშნული „მამები“, რომლებიც რომში წასულან მტრის შემოსევისაგან გაძარცვული ეკლესიის სამღვდელთმსახურო მოწყობილობათა შესაძენად, 20 დღის განმავლობაში ვერ განემზადებოდნენ. თანახმად ლამბერტის ცნობისა, ავიტაბილეს გაბრუნება გორიდან 1630 წელს მომხდარა².

პეტრე ავიტაბილეს რომში ჩასვლისას პაპისთვის წარუდგენია მოხსენება ქართველთა სარწმუნოების სიმტკიცის შესახებ და ნეტარი დედოფლის სასახელო თავგანწირვაც მოუხსენებია, როგორც თვალსაჩინო მაგალითი ქრისტიანობისადმი ქართველთა ერთგულებისა:

„ვინაიდან დედა მისი (თეიმურაზისა.—ა. ბ.) იმდენად კეთილმორწმუნე იყო, რომ სპარსეთის მეფის ბრძანებით, სარწმუნოების გამო სისხლი დაღვარა საკვირველის მხნეობით, ამიტომ დიდი იმედია, ესეც (თეიმურაზიც.—ა. ბ.) განათლდეს ზეციერის მადლით, რათა დაუტევოს ძველი შეცდომების გზა და თავისი ერიერთ შუეერთდეს რომის ეკლესიას“³.

ეს იყო ერთი იმ მრავალრიცხოვან ბარბაროსულ ფაქტთაგანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, როცა სპარსელი დამპყრობელნი ცდილობდნენ, გაეტეხათ ქართველი ხალხის წინააღმდეგობა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში

¹ მ. თამარაშვილი, 108.

² იქვე, 109.

³ იქვე 110.

მათი სიმტკიცე. ეს იყო შემზარავი ფაქტი ისტორიაში, რომლის შესახებ თვით თეიმურაზი წერდა:

„დაარბივის, ამოსწყვიტეს, შექნეს ვითა განაქარი“¹.

საინტერესოა, როგორ იქნა ნაწარმოებში წარმოდგენილი შაჰის ხსენებული მოქმედების მოტივირება. ჯერ კიდევ ტრაგედიის ქვესათური bewährte Beständigkeit იძლევა წარმოდგენას იმაზე, რომ აქ ლაპარაკი უნდა იყოს დრამის გმირის რწმენის სიმტკიცეზე და მისი ნებისყოფის შეურყევლობაზე. მართლაც, ტრაგედიის მთელი მსვლელობა და ფინალი ადასტურებს, რომ დედოფალი მოკვდა თავისი ნებით, როგორც წმინდანი, სარწმუნოებისათვის წამებული და ამით თავის მოძმეებს რწმენის სიმტკიცის მაგალითი მისცა. მაგრამ გრიფიუსი ამ წმინდა რელიგიური მოტივით არ შეიზღუდა: იგი ამისათვის რენესანსული სულისკვეთებით მეტად შთაგონებული ერისკაცი იყო და მოქმედებისათვის მეტი დრამატული სიმახვილის ნიციემის მიზნით ცალმხრივი სიყვარულის მოტივი ჩააქსოვა დრამის ძირითად კონფლიქტში.

პირველ მოქმედებაშივე, შაჰის სცენაზე პირველად გამოსვლისთანავე, ჩვენ წინაშე ვადმოიშლება საინტერესო სურათი ტყვე დედოფალზე შეყვარებული შაჰის განცდებისა; სარწმუნოებრივი სხვაობის საფუძველზე აღმოცენებული წინააღმდეგობა შაჰის გრძნობას კიდევ მეტად ამწვავებს. შაჰს საკუთარი ამპარტავნობისა და პატივმოყვარეობის გრძნობა მოდუნებია ძლიერი სიყვარულის განცდისაგან და ხან თვალცრემლიანი შესთხოვს დედოფალს ყური მიუგდოს მისი გულის მწუხარე ჩივილს, ხანაც ჩვეულის ქედმაღლობით ცდილობს მუქარით შეაშინოს ის. მოქმედების შემდგომი მიმდინარეობიდან ჩანს, რომ შაჰი ისეთი ძალით შეუბოჰავს ტყვე დედოფლისადმი გაუზიარებელ სიყვარულს, რომ მას ხშირად სახელმწიფო საქმიანობა და მოვალეობაც კი ავიწყდება. მეორე მოქმედების დასაწყისში იგი, სიყვარულის ცეცხლშემოგზნებული, უგულოდ უსმენს თავის მრჩეველს, როცა უკანასკნელი საგარეო ურთიერთობის ფრიად სერიოზულ საკითხზე მოახსენებს. ანდა სურათი, როცა სიყვარულისაგან თავგზააზნეულმა შაჰმა აღარ იცის, რა უპასუხოთ რუსეთის ელჩის მოთხოვნას და უნებლიედ თანხმდება მას დედოფლის განთავისუფლებაზე, რაც შემდეგ სანანებლად უხდება. შაჰის გრძნობა სერიოზულია: იგი ხელს სთხოვს დედოფალს და ეუბნება:

¹ თეიმურაზ პირველი, თბილისი, 1934, გვ. 127.

„მე კი მსურს ტახტზე სპარსთა ქვეყნის დედოფლად იჯდეთ“¹. და რაკი დედოფალმა მისი არც ვედრება ისმინა, არც მის მუქარას შეუწინა და გადაკრით უარყო მისი წინადადება, მაშინ სიყვარულის ჟინთან ერთად მრისხანებაც აღენთო შაჰის გულში და უსაზღვროდ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობისა და დამცირების გამო დაუნდობლად დაასჯევინა იგი.

ამრიგად, დრამაში სარწმუნოებრივ მოტივზე უფრო დედოფლისადმი შაჰის სიყვარულია წინ წამოწეული და სარწმუნოების უარყოფა თითქოს მხოლოდ პირობაა, რომლის ძალით დედოფალი უფლებამოსილი იქნება, შაჰის გრძნობა გაიზიაროს.

ტრაგედიის ფინალური სცენაც იმას ადასტურებს, რომ შაჰის მრისხანებამ, რამაც დედოფლის დაღუპვა გამოიწვია, მისივე სული გააპარტახა და უაღრესი მწუხარებით ათქმევინა მას:

„მკვდარიც კი ასე უნდა მიყვარდე“².

საიდან უნდა აელო გრიფიუსს ამგვარი გაგება შაჰისა და დედოფლის ურთიერთობისა?

უკანსკენელ დრომდე შარდენის მოგზაურობის აღწერილობანი ითვლებოდა პირველ შრომად, სადაც აღნიშნული იყო, რომ შაჰი დედოფლის ეშხით მოხიბლულა, შეყვარებია ის და შერთვა განუზრახავს. მას დედოფლისათვის სარწმუნოების გამოცვლა უბრძანებია. ამით მას საშუალება მიეცემოდა თეიმურაზ მეფეზე შური ეძია. საკითხის ამგვარი გაგება იქნა გაზიარებული შემდგომი დროის ლიტერატურაშიაც³.

თეიმურაზ მეფისადმი შაჰის მიერ მიწერილ წერილში არაფერია თქმული დედოფლისადმი შაჰის ასეთი გრძნობის შესახებ. „სარწმუნოების გამო სისხლი დაღვარა შაჰის ბრძანებით“, — წერს მოძღვარი პეტრე ავიტაბილე დედოფლის შესახებ რომის პროპაგანდას⁴.

შაჰის დამოკიდებულება დედოფლისადმი ასევე (ჰქონდა გაგებული დელა ვალლესაც. მას შეუტყვია გრიგორი ორსინოსაგან, რომ დედოფალი მომკვდარა, როგორც წამებული, ქალაქ შირაზში,

¹ A. Gryphius, *Catharina von Georgien, oder bewährte Beständigkeit*, Stuttgart, 1887, გვ. 177.

² „Catharina von Georgien, გვ. 251.

³ იხ. Jorden, *Lexikon*, II, B, 266.

⁴ მ. თამარაშვილი, 108.



სადაც ის ციხეში ჰყოლიათ და მრავალგზის უცდიათ, აეძულებინათ, უარყო სარწმუნოება¹. ამასვე იმეორებს ვალლე თავის შრომაში აბასის გენეალოგიისა და მეფობის შესახებ. აქ იგი წერს:

„სამი წლის წინათ დაუსრულებელი წამებით სიკვდილით იქნა დასჯილი (დედოფალი.—ა. ბ.). ყველაფერი ეს, ამბობენ, იმიტომ, რომ არ ისურვა ქრისტიანული რწმენისაგან განდგომა და არჩია საკუთარი სისხლის დაღვრა“².

მეორე ადგილს ვალლე ეხება შაჰის მკაცრ ხასიათს და იგონებს, როგორ არაადამიანურად მოეპყრო იგი ქეთევან დედოფალს დასხვა ქრისტიან ქართველებს, რომლებიც თავიანთი რწმენისადმი ერთგულების გამოჩენისათვის იქნენ წამებულნი³.

უფრო ქვევით იგი წერს:

„მე ეჭვი არ მეპარება, რომ დედოფლისადმი მიყენებული წამება ნაკლებად იყო გამოწვეული აბასის სიძულვილით ან ბოროტებით, ვიდრე დედოფლისათვის სარწმუნოების შეცვლეულების იმედით, რომელიც აბასს არ შეიძლებოდა ჰქონოდა, რარიც დიდი უნდა ყოფილიყო მისი სურვილი ამისათვის“⁴.

ამავე აზრს გადმოგვცემს ვალლე თავისი მოგზაურობის აღწერილობაში, სადაც მრავალჯერ იხსენიებს სპარსეთში ტყვედ მყოფ ქეთევან დედოფალს და მის კეთილ საქმეებს.

ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ვალლეს მხედველობიდან გამორჩებოდა დედოფლისადმი შაჰის იმგვარი რომანის ამბავი, როგორადაც ამას შარდენი ანდა თვით გრიფიუსის დრამა გვიხატავს. მით უმეტეს, ვალლე ძალიან ახლოს იყო არა მარტო შაჰის კარის საქმაოდ წარჩინებულ პირებთან, არამედ აქ მყოფ ქართველ თავადებთანაც, რომლებიც შაჰის ბრძანებით იყვნენ საქართველოდან აქ გადმოხვეწილნი⁵. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თვით ქეთევან დედოფლისა და მის მხლეთა წრისაგანაც არ იყო ვალლე შორს: მისი მეორე ცოლი თინათინ ციბა პირადად იცნობდა დედოფალს და ახლო ურთიერთობაში იყო მასთან.

ისტორიული წყაროები საქმაოდ გარკვევით იძლევიან ამ ფაქტის გაშუქებას და ჩვენ ისევ მათ უნდა მივმართოთ.

¹ «Кавказ», № 42.

² *Histoire apologetique D'Abbas, Roy de Perse*, პარიზი, 1636, გვ. 136.

³ იქვე, გვ. 142.

⁴ იქვე, გვ. 234.

⁵ *P. Valle, Reiz-Beschreibung*, გერმ. თარგმანი. გვ. 75—78.

ჯერ კიდევ ამ ამბების მომსწრე ისტორიკოსი, სპარსოფილი ფარსადან გორგიჯანიძე იძლევა ამის შესახებ ცნობებს:

ქეთევან დედოფალი შაჰმა, —წერს ის,—„შირაზს გაგზავნა და უკანის დროს რჯულის არ დაგდებისათვის სარჯლით აწამეს და შვილები დაუხოჯავესო“¹.

მრავალ ქირთა განმცდელი შვილი დედოფლისა, თეიმურაზ პირველი, კახეთის მეფე, სახელოვანი პოეტი, ამასვე აღწერს თავის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“. შაჰ-აბასს შეუთვლია ტყვე დედოფლისთვის, დაეგმო ქრისტიანობა:

„მაჰმადის რჯულზედ მოიქცეს, აზრაველს მისცეს ჯანია“².

...„არა გმოს იესო ქრისტე — მიეციოთ დიდი რჯანია“³.

მაგრამ რაკი ვერ შეარყია დედოფლის მხურვალე რწმენა შაჰის მუქარამ, რაკი დედოფალმა „არ შესცვალის რწმენა მისი“, „მეკრძლით ზურგამდე გაავლეს გახურებული რკინანი“⁴.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასე იყო სწორედ გაგებული ქეთევან დედოფლის წამების ფაქტი. აკად. ივ. ჯავახიშვილიც ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ „გამაჰმადიანების უარყოფისათვის აწამა“ აბასმა ქეთევან დედოფალი⁵.

რასაკვირველია, აქ მართო სარწმუნოებრივი მოტივი არ იყო შაჰის მოქმედების განმსაზღვრელი. მას საფუძვლად პოლიტიკური მოსაზრება ჰქონდა. დედოფლის გამაჰმადიანება განდგომილ თეიმურაზზე გავლენის მოხდენის საშუალებად ჰქონდა შაჰს შეგულეზული და, რა ამას ვერ მიაღწია და ამასთანავე ხელიდან დაუსხლტდა თვით თეიმურაზი და სახელოვანი მოურავი გიორგი სააკაძე. ამიტომ შურისძიების ყინი ხელში ჩაგდებულ უძლურ მიყვალთა სისხლით დაიკმაყოფილა და დედოფალი მხეცურად აწამა⁶.

მაგრამ ამ ტრაგიკული ისტორიის ლიტერატურულ დამუშავებათა ავტორებს შაჰ-აბასისა და ქეთევან დედოფლის ურთიერთობაში ეს რომანული მხარე აინტერესებდათ ყველაზე მეტად. ქართ-

¹ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბილისი, 1926, გვ. 21.

² წამება ქეთევან დედოფლისა: თეიმურაზ I, აღ. ბარამიძის და გ. ჯაყობიას რედ., თბილისი, 1934, გვ. 129.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 134.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 346.

⁶ ამის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია და ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ. 344.



ველი მწერლებიც არანაკლები გატაცებით გვიხატავენ ტყვე დედოფალზე შეყვარებული შაჰის სურათს¹.

მომხდარი ამბის ამგვარი გაგება იმითაც იყო საფუძველდებულ-ლი, რომ შაჰის ხასიათისათვის მსგავსი მისწრაფება ნიშანდობლივი ყოფილა. ამიტომ იყო, ალბათ, რომ თეიმურაზი რომის პაპს წერდა დედის, ქეთევან დედოფლის, წამების შესახებ:

„იმ უსჯულო სპარსელების მეფემ, რა ვერ დასძლია მისი სიმტკიცე და სიყვარული ხორციის სიწმიდისა² და სარწმუნოებისათვის, ჯერ დაატყვევა“ და შემდეგ აწამაო³.

თეიმურაზის ამ შენიშვნით ხაზგასმულია შაჰ-აბასის ავხორცი ბუნება. ტირანი ჩვეული იყო ქრისტიან ტყვე დიაცთა „ხორციის სიწმიდის“ ხელყოფას და ამის მაგალითი თეიმურაზს პირად ცხოვრებაში ჰქონია; შაჰი და მისი კარის დიდებულები ჩვეულნი იყვნენ დაუძღურებელი საქართველოდან წარტყვევნილ ქართველთაგან ლამაზი ქალებით თავიანთი ჰარემი დაემშვენებინათ. როგორც ცნობილია, პირადად შაჰს ქართლის მეფე ლუარსაბის და ჰყოლია ცოლად⁴. შაჰ-აბასის ჰარემში მრავალი პატიოსანი ქართველი ქალი იტანჯებოდა, მრავალი მათგანი ვერაგ მეფეს დაუსჯია წამებით და ან ნიეთივით გაუცია სხვაზე. ცნობილია ისიც, რომ, მიუხედავად საკმაო წლებისა, რომლებიც დედოფალს გააჩნდა შაჰის კარზე მოხვედრის დროს (იგი მაშინ ორმოცამდე წლის იქნებოდა), ის ჯერ კიდევ პირმშვენიერი და მიმზიდველი იერის ქალი ყოფილა. მისი შვილი თეიმურაზი ასე ახასიათებს მის გარეგნობას:

„ოდეს მიენდოს შაჰ-აბასს კახეთის დედოფალია, ვით მარგალიტი უსახო და უსასყიდლო თვალია, ადრითგან ქებით შემკული, ნათქვამი ბროლ-ფიქალია, მისთანა არვინ შობილა არცა ყმა, არცა ქალია“⁴.

ამ გარემოებათა საფუძველზე გასაგებია, თუ რატომ უკავშირებდნენ თვით ქართულ მწერლობაშიაც დედოფლის დასჯის შემთხვევ-

1 იხ. ალ. ყაზბეგის დრამა „ქეთევან დედოფალი“.

2 „*a castitate*“. (ხაზი ჩვენია)

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 346.

4 თეიმურაზ I, თბ., 1934, გვ. 210.

6. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958,

ვას აბასის შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის მოგონილ გრძნობას, რომელიც თითქოს დედოფლის მიერ მისი ხელის უარყოფის გამო ყოფილიყოს გამოწვეული.

თვით პიეტრო დელლა ვალლეს მოთხოვნიდანაც საკმარის დეტალებს იპოვიდა პოეტის ფანტაზია მსგავსი რომანული მოტივით დრამის შესამკობად, თუმც ვალლეს თვით არ სწამდა შაჰის სიყვარულის ამბავი.

ვალლე დაწვრილებით ჩამოთვლის შაჰის პირად თვისებებსა და ჩვევებს და მათ შორის ხაზს უსვამს აგრეთვე მის მიდრეკილებას დედათა სქესისადმი¹. მოგზაური აღნიშნავს აგრეთვე შაჰის ავხორცობასა და მხეცურ მოპყრობას თავისი მსხვერპლისადმი, განსაკუთრებით ტყვე ქალებისადმი, რომლებიც მას მრავლად ჰყავდა ჰარემში².

ვალლე აღწერს შემთხვევას, საქართველოს აოხრების წყურვილით შეპყრობილმა მიზეზიანმა შაჰმა როგორ გამოიყენა თავისი მუხანათური ლაშქრობის (1613 წ.) პირისდასადებ მიზეზად თეიმურაზის მიერ ხორეშანის შერთვის ფაქტი: შაჰს გაუცხადებია, თითქოს მას და ხორეშანს ერთმანეთი ჰყვარებოდეთ და თეიმურაზს ოვითნებურად წაერთმიოს ქალი მისთვის³. მეორე ადგილზე ვალლე უფრო დაწვრილებით გადმოსცემს ამბავს, რომელიც მას გაუგონია ამ შემთხვევის შესახებ, კერძოდ, როგორ შეუთხზავს შაჰს ყალბი წერილები არარსებული სიყვარულის შესახებ, რომელსაც თითქოს, შაჰის მტკიცებით, ადგილი ჰქონდა მასა და ხორეშანს შორის⁴. ვალლეს სარწმუნოდ არ მიაჩნია ეს ამბავი და საამისო საბუთებიც მოჰყავს: ჯერ ერთი, შაჰი მაშინ საკმაოდ მოხუცებული იყო და ასეთი გრძნობა მას, საფიქრებელია, უკვე აღარ ექნებოდაო, მეორე ის, რომ ხორეშანი ისე უგვანო ბუნების არ იქნებოდაო, რომ ბებერი და მრავალცოლიანი მეფე სპარსეთისა აერჩია ახალგაზრდა ნოზღენილ, თავისი სარწმუნოებისა და უცოლო თეიმურაზის მაგიერ. ეს მონაგონ-მონაპორო მას პირისდასადებ მიზეზად უნდოდა, რომ

¹ L. Pariser, Die Quellenstudien, გვ. 210.

² Valle, Reiß—Beschreibung, II Th. გვ. 126.

³ პ. ვალლე, ინფორმაცია საქართველოს შესახებ, რუსული თარგმანი გ. ყაზბეგისა: გაზ. „Кавказ“, 1868, № 42. იხ. ფრანგული თარგმანი, გვ. 393—95.

⁴ Valle, Reiß—Beschr, II Th. გვ. 126.

საქართველოს შემოსეოდა და აეოხრებინაო¹. ეს დეტალები შაპ-
აბასის პირადი თვისებების აღწერიდან და ქეთევან დედოფლის
თავგადასავლიდან საპირო მასალას ქმნიდნენ პოეტის თავისუფალი
ფანტაზიისათვის, რომ დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის სამ-
წუხარო ისტორია ინტიმურ განცდათა მიმზიდველი საღებავებით
შემკობილიყო.

ამრიგად, ხსენებულ მასალათა ანალიზი ცხადყოფს, რომ დე-
დოფლისადმი შაპის სიყვარულის ამბის აღება გრიფიუსს დელა
ვალეს შრომებიდან უშუალოდ არ შეეძლო, თუმც, როგორც
ითქვა, ვალეს შრომებში ცალკე რეალები შემდგომი პოეტუ-
რი ლიცენციის საშუალებას იძლეოდა. ამას გარდა, საკითხის ამგ-
ვარად დაყენებაში გრიფიუსს, უდავოდ, მისცემდა სტიმულს მისთვის
კარგად ცნობილი ვონდელის დრამის მსგავსი ეპიზოდი, სადაც სიყ-
ვარულის ძლიერი განცდის დახატვით ავტორი დრამატიული კონფ-
ლიქტის მიმზიდველ განვითარებას აღწევს. ვონდელის „ასულეში“
ურსულას დასჯის მთავარი მიზეზი, და აქედან—დრამის ძირითადი
დრამატიული კონფლიქტის საფუძველი, იყო ატილას ცეცხლოვანი
სიყვარული ურსულასადმი. ეს მაგალითი, უდავოდ, მიმზიდველი სურ-
ათი იყო გრიფიუსისთვის. ისტორიული მასალის დამუშავებისას სი-
ლეზიელმა პოეტმა ოსტატურად ისარგებლა შესაფერისი შემთხვე-
ვით და მოქმედებისადმი ინტერესის გაძლიერებისათვის სიყვარუ-
ლის მოტივი შემოიტანა, ამით ტირანი შაპ-აბასის ტიპი საინტერესო
და მრავალფეროვანი გახადა.

„ქეთევან დედოფლის“ დაწვრილებითი ანალიზი საფუძველს
იძლევა დავრწმუნდეთ, რომ ამ ტრაგედიისათვის მასალა ავტორს
ისტორიული სინამდვილის ამსახველი ფაქტებიდან აუღია. დრამის
მოქმედებით ასახული ამბავი არა მარტო უბრალო ისტორიული
შემთხვევაა წარსულიდან აღებული, ან მკვეთრი აფექტის მქო-
ნე რომელიმე თავისუფალი დამუშავება ისტორიის მონაკვე-
თისა, არამედ ჭეშმარიტი, ზედმეტი შეფერადების გარეშე წარმო-
დგენილი აქტუალური ისტორიული ვითარების სურათია, რომელიც
რჩეულ ტალანტთა მადლიანი კალმის ღირსი იყო ყოველთვის. დრა-
მის ეს ისტორიული ხასიათი და აქტუალობა თვალსაჩინო ხდება

¹ Valle, Beiß—Reschr. II Th. გვ. 126

როგორც გმირების ხასიათებისა და მოქმედებათა, ასევე სიტუაციათა გარჩევის დროს.

გრიფიუსის ხსენებული ტრაგედიის ისტორიული ხასიათი გვაძლევს იმის საბუთს, რომ იგი არ მივიჩნით რომელიმე ლიტერატურული ნიმუშის გავლენით შეზღუდულ იმიტაციად. ტრაგედიის უშუალო სიახლოვე იმ ისტორიულ წყაროებთან, რომლებიც მასში გადმოცემული ამბების საფუძვლად გახდნენ, დღის წესრიგიდან ხსნის ლიტერატურული ნასესხობის საკითხს და ავტორის უშუალობის, თვითმყოფლობის, ორიგინალობის დამადასტურებელია.

„ქეთევან დედოფლის“ არა მარტო ძირითად, საკვანძო ეპიზოდთა, არამედ მეორეხარისხოვან წვრილმანთა სიახლოვე ამ ვითარებათა ამსახველ საისტორიო ნაშრომებთან აქარწყლებს აზრს იმის შესახებ, თითქოს გრიფიუსი ვონდელისაგან იყოს დაგალებული ამ დრამის სიუჟეტითა და მხატვრული დამუშავებით.

იმ ისტორიულ დოკუმენტაგან, რომლებიც გრიფიუსის დრამაში მოცემულ საკითხებზე ცნობებს იძლევა, ყველაზე საყურადღებო მაინც ვალღეს შრომებია. თუმც ისინი დაზღვეული არ არიან ვალღესათვის ჩვეული ზოგი გადაჭარბებისაგან, მაგრამ მაინც მახვილი დაკვირვებისა და კრიტიკული მიდგომის უნარი, რომელიც არ აკლდა მათ ავტორს, საშუალებას აძლევს მას ისტორიული ვითარების სწორად აღქმული სურათი გადაუშალოს მკითხველს.

როგორც ცნობილია, გრიფიუსმა 1645—46 წლებში იტალიაში ემოგზაურა და რომში დიდი ინტერესით დაეწაფა ანტიკურ და თანამედროვე იტალიურ კულტურას. აქ იგი, უთუოდ, გაეცნობოდა ვალღეს ხსენებულ შრომებს. ამ მოსაზრებას თითქოს ისიც ამაგრებს, რომ მალე, 1647 წლიდან, გრიფიუსმა დაიწყო „ქეთევან დედოფლის“ შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ გრიფიუსს შეეძლო ვალღეს შრომებს მანამდეც გაცნობოდა, რადგან უფრო ადრეც გავრცელდა ისინი ევროპაში და 1631 წელს ერთი მათგანი ფრანგულ ენაზე ითარგმნა და პარიზში დაიბეჭდა. პარიზი კი აბსოლუტიზმის ცენტრი იყო ევროპაში მეშვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. საფრანგეთში მოგზაურობის დროს გრიფიუსი საკმაო ხანს გულმოდგინედ მუშაობდა პარიზის წიგნთსაცავებში. ესეც რომ არა, გრიფიუსს მშვენივრად შეეძლო ვალღეს იტალიური შრომები ეკითხა, გაცნობოდა ამ ისტორიას რომში ყოფნის დროს. იტალიური მან შესანიშნავად იცოდა და თარგმნიდა კიდევ იტალიურიდან; ასე, მაგალითად, მან იტალიურიდან თარგმნა როსის „Sengamme“ და შენიშვნებში ისეთი სიტყვების ღრმავაროვნული განმარტებანიც დაურთო, რომე-

ლიც, როგორც პალმი აღნიშნავდა, ბევრმა იტალიელმაც შეიძლება არ იცოდეს¹.

ძირითადი და განმსაზღვრელი ისაა მაინც, რომ გრიფიუსის ტრაგედიაში აღწერილ გმირთა, მოქმედებათა და ვითარებათა აბსოლუტურ უმრავლესობას თავისი ორიგინალი მოექებნება ვალდეს შრომებში. ჩვენ აქ ვხვდებით დედოფლის მეფობის, მისი დატყვევებისა და დასჯის ისტორიას; აქ არის დედოფლის ქმრისა და ამ უკანასკნელის მამის, მეფე ალექსანდრეს, მწუხარებით სავსე ისტორია, საკუთარი შვილის მიერ მისი მკვლელობის ამბავი; აქ ჩანს თეიმურაზის მთელი ისტორია, ალოვასის (ლუარსაბის) მეფობის, ტუსადად ყოფნისა და მუხანათურად მკვლელობის ამბები, თვით შაჰ-აბასის ქცევა და თავდადასავალი, საქმეში რუს დესპანთა ჩარევის, შუამდგომლობისა და სხვათა მრავალი მსხვილმანი და წვრილმანი ამბები².

მაგრამ, როგორც ცალკეულ ეპიზოდთა შედარება-განხილვა გვიჩვენებს, დრამასა და მის წყაროდ მიჩნეულ შრომებში მოცემულ ცალკე დეტალებს შორის განსხვავებაც მოიპოვება. განსხვავება ორგვარია: ზოგჯერ გადაკეთებული, სახეშეცვლილია მოქმედება ან სიტუაცია, ზოგჯერ კი ახალი, წყაროში არარსებული რამაა დამატებული. ამ განსხვავებათა გამოჩენა ორი მიზეზითაა გაპირობებული. პირველი შემდეგია: გრიფიუსის დრამა მხატვრული მთლიანობის მქონე, გარკვეული ტენდენციის ტრაგედიაა, რომლის ავტორს გარკვეული მიზნები, მისწრაფებანი გააჩნია. ამისათვის იგი შესაბამის მხატვრულ აპარატურას იყენებს და, ამდენად, დეტალების დამუშავება-დალაგებაში უცილოდ თავის სუბიექტურ თვითარსებას ამკლავნებს. იგი მასალას ისტორიიდან იღებს, მაგრამ მას ისე გამოჰკვეთს, შეასწორ-შემოასწორებს, რომ იგი ავტორის მიზანდასახულების საერთო ნაკებობას მოერგოს და დრამის მხატვრული აგებულების სამსახურში დადგეს. ასეთი ოპერაციის ჩატარება ავტორს მაშინაც უნდებოდა, როცა ესა თუ ის ისტორიული ამბავი დაბეჯითებითაა მოცემული წყაროში და სადავო აზრთა სხვადასხვაობის გამომწვევი არ არის. ასე, მაგალითად, ისტორიულადაც ცნობილი იყო და დელლა ვალდესაც გარკვეულად ჰქონდა მოცემული, რომ მოურავის წასვლა სპარსეთის შაჰის კარზე ლუარსაბთან მისი უთანხმოებისა და წი-

¹ H. Palm, A. Gryphius, Lustspiele, გვ. 567.

² ისტორიულ წყაროთა და გრიფიუსის დრამის სიუჟეტის დაწვრილებითი შედარება მათი ანალიზის თვალსაზრისით იხ. ჩვენს შრომაში „ანდრეას გრიფიუსი და მისი ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კათარინა“, 1950.

ნაადმდეგობის ნიადაგზე მოხდა. მაგრამ, გამომდინარე დრამის მიზნობრივი ნიშართულებიდან, რომლის სამსახურში ავტორი ქრისტიან გმირთა ბანაკში პარმონის, ერთსულოვნებისა და სიჭკველის ზეიმს ხაზს უსვამს, დრამაში სავსებით გამოტოვებულია ეს გარემოება და დახატულია ისე, თითქოს მოურავი ლუარსაბთან ერთად წაეყვანოს შაჰს ტყვედ და ძალა დაეტანებინოს, რომ მიეღო მაჰმადიანური სარწმუნოება. გრიფიუსთან არა თუ მტერი და მოსისხლეა მოურავი ლუარსაბისა, არამედ მისი კეთილისმყოფელი და, როცა მიფე მუხანათურად მოჰკლეს, დასტირის კიდეც მის დაღუპვას და მისთვისაც იძიებს შურს ყიზილბაშებზე. აქ საკითხის ამგვარი ინტერპრეტაციისთვის პოეტს არავითარი მონაცემი არ ჰქონია, გარდა საკუთარი მიზანდასახულებისა.

მეორე შემთხვევა ასეთია: არც ისტორიაში, არც ვალღესთან არ არის მოცემული დედოფლისადმი შაჰის სიყვარული. ეს დეტალი მალენგრს აქვს მხოლოდ. ვაღეს კი მოცემული აქვს შაჰის ხასიათი და მის დახასიათებაში იძლევა იმის მიდრეკილებას ქალთა სქესისადმი. ამასთანავე მოცემულია ის ამბავიც, რომ შაჰის ლაშქრობა თეიმურაზის წინააღმდეგ, როგორც ეს მას აქვს აღწერილი, თანამედროვეთაგან გაგებული იყო, როგორც იმ შეურაცხყოფის რეაქცია, რომელიც ქართლისა და კახეთის მეფეებმა შაჰს მიაყენეს ხორეშანის თეიმურაზზე მითხოვების გამო, რადგან შაჰი აცხადებდა პრეტენზიას ამ ქალზე და მისადმი სიყვარულსაც თავის მიერ შეთხზული წერილებით ამტკიცებდაო. ეს წერილმანი ფაქტები, რომელიც ვაღლეს შრომაშია მოცემული, გამოადგებოდა გრიფიუსს თავისი მხატვრული მიზანდასახულების შესასრულებლად, იმისათვის, რომ რომანული მოტივის მიმატებით მოწამებრივი ისტორიისათვის მძაფრი დრამატული ხასიათი მიეცა. ეს იყო დასაყრდენი წერტილები, რომელთაგან ტყვე დედოფლისადმი შაჰ-აბასის ძლიერი სიყვარული იქნა შეთხზული. ყოველივე ეს დრამის მხატვრული მხარის სამსახურისათვის იყო მოგონილი, მაგრამ განსაზღვრული შუალობითი წინამძღვრების საფუძველზე. მით უმეტეს, მალენგრის შრომაში ამ საკითხზე დადებით პასუხს იპოვიდა მწერალი.

წყაროში მოცემული ფაქტის ტრანსფორმირების მსგავსი შემთხვევები გრიფიუსთან არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ მათი ახსნა თავისუფლად შეიძლება ზემოთ მოყვანილი მოსაზრებით.

უფრო საინტერესოა შემდეგი გარემოება: დრამაში ჩვენ გვხვდება ისეთი ეპიზოდები, რომლებსაც ვაღლესთან ვერ ვპოულობთ, მაგრამ ისტორიაში ეს ამბები ცნობილია. გვექმნება აზრი, რომ

გრიფიუსი ვალლეს შრომების ჩარჩოებს სცილდება და მისი ახსნისათვის დამატებითი წყაროებია საძიებელი. ასეთები მცირეა, მაგრამ ფაქტია, ვალლეს ხსენებული შრომებით არ შეზღუდულა გრიფიუსი. ზოგ მათგანს ჩვენ ვპოულობთ, მალენგრის შრომის გარდა, ცნობილი პოლშტინიელი მოგზაურის ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის აღწერილობაში¹, რომელიც არ შეიძლება არ სცოდნოდა გრიფიუსს. ეს შრომა დაიბეჭდა და გავრცელდა 1647 წელს.

სწავლების შეგნებულობის, მისაწვდომობისა და აქტივობის აქ განხილულ დიდაქტიკურ პრინციპებთან ერთად გურამიშვილის სწავლების თეორიაში წარმოდგენილია თვალსაჩინოებითი სწავლების პრინციპიც. განახლების ხანაში თვალსაჩინოებითს სწავლებაზე პირველად არჩილი შეჩერდა. შემდეგ მეტნაკლებად წარმოდგენილია იგი სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ისა და ბევრ სხვათა შრომაში. ბუნებრივია, მას ვერც გურამიშვილი აუვლიდა გვერდს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ „დავითიანის“ ავტორს ამ საკითხში ერთგვარი სინათლე შეაქვს, მაგრამ ორიგინალურს კი არაფერს იძლევა. დ. გურამიშვილმა იცის, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და მით უფრო სწავლებას: „თავს სინანული სჯობია ბოლოყამ დანანებასა“. მაგრამ მოზარდი თუ არ სწავლობს და ახალგაზრდობას განცხრომაში ატარებს, უთუოდ, ცხოვრებას მოუშვადებელი შეხვედბა და დიტანჯება, მოხუცებულობა გაუმწარდება, შემდეგ კი ბევრს ინანებს, დედ-მამასაც ავიწებს, რატომ არ ვისწავლე ან არ მასწავლეთო, მაგრამ დაგვიანებული იქნება. ამასთან დაკავშირებით დ. გურამიშვილის წინაშე ასეთი პრობლემაც დადგა: დავუშვათ, რომ ბავშვი ყვე-

ლა დიდაქტიკური მოთხოვნის გატარების შემდეგაც არ სწავლობს, ხარმაცობს, ჯიუტობს, ასე ვთქვათ, ძნელად აღსაზრდელია, როგორ მოვიქცეთ, რა ვუყოთ მას? თუ მათ მიმართ წინასწარ მიღებულ იყოველგვარი სააღმზრდელო ზომა უშედეგოა, მაშინ „ნუ გენაღვლებს სწავლაზე ყრმის წკებლის ცემით კვილი, მალ გამოთლდები უწამლოდ მისი წყლულების ტკივილი“ (გვ. 30).

პოეტის აზრით, „წკებლის ცემით დაშუშვება სჯობს საუკუნოდ ცეცხლში მბათა“. სააღმზრდელო ღონისძიებათა სისტემაში ცემის (თუმცა გამონაკლის შემთხვევაში) მოთხოვნით დ. გურამიშვილი ნერ გაშორდა მის თანამედროვეებს და, საერთოდ, შუა საუკუნეების „ძალის“ პედაგოგიკის ტყვეობაში მოექცა. ქრისტიანიზმისა და ცხოვრების რეალობის წვდომისაკენ მიმართულმა გაორებულმა მსოფლმხედველობამ გურამიშვილის პედაგოგიური აზრიც გააორა: პუმანური, დემოკრატიული, საგანმანათლებლო იდეების გვერდით ბაგშვის ფიზიკური (ცემა) და სულიერი (რელიგია) ჩაგვრის მანე პრაქტიკას სავრძნობი კვალი დაამჩნია დ. გურამიშვილის პედაგოგიურ ნააზრევს. როგორადაც არ უნდა შევაფასოთ ეს ფაქტი, სწავლა-განათლებისადმი გურამიშვილისეული მოწოდება და ცოდნის ათვისების გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა დასახვა, უთუოდ, ხელს უწყობდა ხანგრძლივი საზამთრო ძილით დამყაყებული რუტინის დიდი ყინულის გაღობას პედაგოგიკაში. იმდროინდელ საქართველოში კი არა, დღესაც ეგზომ შთამაგონებლად ისმის გურამიშვილის ეს სიტყვები: „ისმინე, სწავლის მძებნელო! მოყევ დავითის მცნებასა, ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტყბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“ (გვ. 31), ანდა: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატყბილდების“ და ბევრი სხვა.

სწავლა-განათლების საკითხი „დავითიანში“ შრომასთან მიმართებაშია განხილული. საზოგადოებაში საქმიანობის რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ, იგი ცოდნის გარკვეულ მინიმუმს მოითხოვს. სწავლების პროცესი შრომითი საქმიანობის სამზადისია. ბოლოს და ბოლოს სწავლების გზით შექმნილი ცოდნა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითს საქმიანობაში პოეებს გამართლებას. განახლების ხანის პედაგოგიკაში შრომისა და შრომითი აღზრდის საკითხი ადრე არჩილის მიერ დამუშავდა, მაგრამ ისე, რომ იგი გონებრივ შრომას პრივილეგიურ წოდებას უტოვებდა, ხოლო ფიზიკურს — ჩაგრულ გლეხობას. დ. გურამიშვილი კი შრომის საკითხში არჩილზე მეტად ამალდა. იგი შრომას, ფიზიკურსა თუ გონებრივს, ყველა ასეთის სავალდებულო საქმედ თვლიდა: „თუ სულით გსურს

განსვენება, ხორცი გასარჯევო“ (129),—ამ შეხედულებისა იყო იგი. საერთოდ. წარმოებითი, ფიზიკური შრომა დ. გურამიშვილისათვის არა თუ დამცირების, არამედ საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის საფუძველი და საწინდარია, მშრომელი გლეხი კი — ცხოვრების ბურჯი. ყოველი ცალკეული მოქალაქე — იქნება ბრძენი, მზედარი, ხუცესი, ხელოსანი, ვაჭარი თუ გლეხი—სოციალურად სასარგებლო შრომას უნდა ეწეოდეს საზოგადოებაში. შრომით განსაზღვრავდა ეს უდიდესი მოაზროვნე მათს ადგილს, დანიშნულებასა და კეთილდღეობას საზოგადოებაში. უსაქმურობა და მუქთახორობა „დავითიანში“ სამარცხენო ბოძზეა გაკრული: „უქმად ბევრისა მჭამელი გაუმაძღარი ღორია“ (გვ. 79); „ძალ მოკლებულ არს მცონარი, ვითა მდინარე მდორიო“ (იქვე). თუმცა აქ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ დ. გურამიშვილი გლეხობას პატრონყმური ინსტიტუტის შენახვას ავალბებდა. ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ შუა საუკუნეების ბნელეთში გურამიშვილის მოწოდება საზოგადოების ყოველი წევრის მიმართ უანგარო, პატიოსანი შრომისკენ დიდი საქმე იყო. ამ აზრით, „დავითიანი“ თავისუფლად შეიძლება გვერდში ამოვუყვნოთ სლავი ხალხის დიდი გენიის, იან ამოს კომენსკის შრომას „სამყაროს ლაბირინთი და გულის სამოთხე“.

გურამიშვილი ახასიათებს სხვადასხვა სახის პროფესიებს და ცოდნის გარკვეული მინიმუმისა და შრომის მთლიანობის დაცვას ახალგაზრდის განვითარებაში სავალდებულოდ თვლის. ამ მხრივ „დავითიანში“ ზოგადი და სპეციალური განათლების ურთიერთმომართების ჩანასახის მაგვართან გვაქვს საქმე.

სწავლა-განათლებისა და შრომის ურთიერთობის საკითხში გურამიშვილი სხვა მხრივაცაა საინტერესო. ახალგაზრდობის მისამართით „დავითიანში“ ერთგან ვკითხულობთ:

„ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა,
მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხენელი ოფლითა ცხელითა...
შენა გწადს აწ რომელითა?“ (გვ. 32).

უთუოდ, აქ ნაგულისხმებია მოზარდის მიერ სასურველ საპეციალობის თავისუფალი არჩევა.

დ. გურამიშვილმა თავის შემოქმედებაში ზნეობრივი აღზრდის მწყობრი სისტემაც მოგვცა. ზნეობა, მისი აზრით, ადამიანობის საზომია. „აზრილიანის“, „ვახტანგიანისა“ და იმ დროინდელი სხვა ძეგლების მსგავსად, „დავითიანში“ ადამიანთა მორალური ფორმირების საფუძვლად, სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარე-

ბასთან ერთად, რელიგიაცაა აღიარებული. იგი თითქმის სწორუპოვარ ძალადაც არის მიჩნეული, თუმცა მის გვერდით ზოგიერთი მატერიალისტური მოსაზრებაც არის გამოთქმული. ასე, მაგალითად, „დავითიანში“ ერთგან ვკითხულობთ: „ღმერთმან რომ კაცი დაბადა, ოთხ ნივთით აღაშენაო, მიწით, წყლით, ცეცხლით, ქართით, ჩაბერვით მისცა ქშენაო“ (გვ. 175). ზოგი მკვლევრის აზრით, თითქოს გურამიშვილი ამ აზრს იონური სკოლიდან იღებს. ზოგი კიდევ მის საფუძველს უფრო შორეულ წარსულში—ინდურ სკოლაში ეძებს. რაც უნდა ითქვას, ფაქტია, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს გ. ქიქოძე, რომ „ქრისტიანული მორალი მას ფართო ჰუმანური თვალსაზრისით ჰქონდა გაგებული. ის ცდილობდა თავისი ზნეობრივი შეხედულებები ყველაზე პროგრესულ ფილოსოფიურ აზროვნებასთან დაეკავშირებინა“¹. მართლაც, დ. გურამიშვილი ხედავდა, რომ სამშობლო მხარე ეკონომიურ და პოლიტიკურ მოშლილობასთან ერთად მორალური მოშლილობის საფრთხის წინაშე იდგა. ადამიანთა შორის ცრუ ფიცი, ორპირობა, ფლიდობა, გამკემლობა, შურიანობა ბატონობდა, რომ „მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისაგან შენაწევრი“ (გვ. 50). „ქართლის ქირში“ და სხვაგან ავტორი ანტისოციალურ, ანტიზნეობრივ ქცევას თავგამოდებით ებრძოდა და, პატრონყმური ინსტიტუტის დაცვის პირობებში, ახალ თაობაში ვაჟკაცობის, მამაცობის, სამშობლოსადმი თავდადების, გამირობის, პატიოსნების, პირდაპირობის, წინდახედულების, ამხანაგობა-მეგობრობისა და ბევრი სხვა ზნეობრივად სასურველი თვისების დანერგვას მოითხოვდა. ზნეობა, ისე, როგორც პლატონთან და შემდგომ ქრისტიანულ სარწმუნოებაში, „დავითიანშიც“ ზოგად-კაცობრიული სიკეთეა, რაც დ. გურამიშვილს საქართველოსა და ქართველი გლეხისათვის აუცილებელ თვისებად მიაჩნია. მას ნამდვილი ადამიანობა სიკეთეთა სიმდიდრეში ესახება. ადამიანი მხოლოდ სიკეთეთა სიმდიდრით ხდება პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბედნიერი, უძლეველი და უკვდავემნილიც. გამოვლინების ფორმით სიკეთე მრავალფეროვანია. პირველ ყოვლისა, იგი ჩანს სიქველეში, სისპეტაკეა და მორალურ სიწმინდეში.

კეთილი, პირველ ყოვლისა, გონიერი და წინდახედულია. აღზრდის საშუალებით მოზარდის გონება უნდა ვაბატონოთ გრძობაზე, ზოლო ეს უკანასკნელი, გონების საშესაბურში ჩაყენებით, გა-

¹ გ. ქიქოძე, მოგონებები, სიტყვები და წერილები, 1956, გვ. 182.

ვაკეთილშობილოთ. მხოლოდ ამ გზით შეაძლება დავძლიოთ ბავ-
შეური თვითნებობა, ჯიუტობა და ცუდი აღზრდით შექმნილი ბევრი
სხვა არასასურველი თვისება. ყოველი ადამიანი, და მით უფრო ბავ-
ში. მოქმედებაში უნდა შეეაფასოთ, იგი პირდაპირობას უნდა მი-
ვაჩვიოთ, რომ შეეძლოს უწოდოს „ავსა ავი, კარგსა კარგი“. კარგს
მასში გულისხმიერებით მოვეპყრათ და ცუდი მარად ვაძაგოთ. „ავის
მძრახველობა“ გურამიშვილისათვის ბრწყინვალე ადამიანური თვი-
სება, გმირობა არის, ხოლო მისთვის, ვისაც ამხელენ—გაფრთხილე-
ბა, ჭკუის სწავლება: „ამად სძრახავენ, ვინც ავს ჩადის, კულავ აღარ
ჩაიდინოს. სხვა გაფრთხილდეს, მასებრ ცრემლი თვალთა არვინ
ჩაიდინოს“ (გვ. 51).

ანტორი აბეზარებს, ჯიუტებს ასეთი დარიგებით მიმართავს:
„ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს, ნურასა იქს საძრახავსა,
თვარა ავზედ ავი ითქმის, კარგს არავინ ვაპკიცხავსა“.

დ. გურამიშვილი ძვირფას დარიგებას იძლევა მოზარდში თავი-
დანვე კეთილ თვისებათა დანერგვისა და „ტყუილმოზღაპრების“,
უფროსისადმი „შეუსმენლობა“-ამპარტავნობისა და ქედმაღლო-
ბის დასაძლევად. ზნეობრივ აღზრდაში, გურამიშვილის აზრით, პირ-
ველ ყოვლისა, საჭიროა აღმზრდელ-უფროსის პირადი მაგალითი,
შემდეგ დარიგება, შეგონება და იმის მიღწევა, რომ აღსაზრდელმა
დარიგების მიხედვით იმოქმედოს. მოზარდის მხრივ, გურამიშვილის
აზრით, კარგ მაგალითს მიბაძვა, ხოლო დარიგებას შესმენა და გა-
მოყენება უნდა. „უნდა კაცმან კეთილად სწავლა შეირიცხოსა“
(გვ. 130).—ეუბნება იგი ახალგაზრდას. მოზარდის ამ დონემდე
აყვანა სათუთი და ძნელი საქმეა. აღმზრდელს ამ გზაზე დასჭირდე-
ბა აღსაზრდელის პატივისცემა, გულისხმიერი მოპყრობა. ეს კი, თა-
ვის მხრივ, ბავშვს გულახდილობას, აღმზრდელისადმი სიყვარულსა
და ერთგულებას უფითარებს. მათ შორის არსებული ანტიპატიის
ნაცვლად სიმპატიას წარმოშობს. აღსაზრდელი აღმზრდელს უს-
წორებს საკუთარ მოქმედებას, მის დონემდე ამადლებას ცდილობს.

სხვა ქართველ პროგრესისტთა მსგავსად, დ. გურამიშვილი სამ-
შობლო ქვეყნის დიდი მოამაგე, ხალხთა შორის მშვიდობისა და მე-
გობრობის მედროშეა. ნამდვილი მამულიშვილური გრძნობითაა და-
წერილი „ქართლის ჭირი“ და ბევრი სხვა ადგილი „დავითიანში“.
დ. გურამიშვილს გულწრფელად სწამს, რომ გარეშე მტრების მხე-
ცური თაჩეშისა და შინა ფეოდალური აშლილობისაგან გაჩანაგე-
ბული საქართველო ფეხზე წარმოდგება მხოლოდ განათლებული აბ-
სოლუტიზმის პირობებში და გადარჩება მართლმორწმუნე რუს ხალხ-

თან თავის ბედის დაკავშირებით. დ. გურამიშვილი თავიდანვე კურსს რუსეთისაკენ იღებს, ცხოვრების მთელ მანძილზე ქართველი, რუსი, უკრაინელი ხალხების მეგობრობის მედროშეა. ხალხთა შორის მეგობრობისა და სამშობლოს მოყვარეობის ბრწყინვალე პატრიოტული ქადაგებანი „დავითიანში“ მშობელი ქვეყნისადმი ერთგულებისა და თავდადების გრძნობით ზრდიდა ახალგაზრდობას, საღმრთედლო ზემოქმედების დიდ ძალას ავლენდა და, შეიძლება ითქვას, ავლენს დღესაც.

მნიშვნელოვანი ადგილი დ. გურამიშვილის შემოქმედებაში ესთეტიკისა და ესთეტიკურ აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებსაც უკავია. იგი გადაჭრით იბრძვის ირანული აღმოსავლეთის ხელოვნური ესთეტიკის წინააღმდეგ და მას მოწინავე იდეებზე აგებულ სახალხო პოეზიას უპირისპირებს. ისევე სწორუფოვარია დ. გურამიშვილი პოეზიაშიც, როგორც სულხან-საბა ორბელიანი პროზაში.

„ვეფხისტყაოსნის“ გურამიშვილისეული შეფასება ნათელს ხდის, რომ ის გამობდა „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“ და მას ხალხის სამსახურში აყენებდა. ასე, მაგალითად, „დავითიანში“ ვკითხულობთ:

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და
 ფესვღრმა-ჰყო, შტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,

ორგზისვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოიზრეოდა“ (გვ. 22).

ეს ორი ნაყოფი, გურამიშვილის აზრით, უნდა გავიგოთ ისე, რომ ხელოვნება, ესთეტიკურ ტკბობასთან ერთად, ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნა-გამოცდილებასაც აძლევს ადამიანს. დ. გურამიშვილი პრინციპულად გამობს ლექსის მხოლოდ ვართობის მიზნით წერას და საკუთარ პოეზიას ხალხის სამსახურში აყენებს. შინაარსით მდიდარი და მხატვრულად ძლიერი „დავითიანი“, უთუოდ, დიდ ეპოციურ ზეგავლენას ახდენს მოზარდზე, ამალღებს მის ესთეტიკურ კულტურასა და შრომისუნარიანობას.

ბ. რ. ბ. ა. მ. ა.

ვ ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში

თანამედროვე ქართულში, როგორც ცნობილია, ვ ბგერა ადგილს ინაცვლებს რ, ლ, ნ თანხმოვნებთან კომპლექსში¹. დადგენილია, რომ ვ ბგერა რვ, ლვ, ნვ კომპლექსებში ადგილს გადაინაცვლებს იმ შემთხვევებში, როცა მათ წინ უძღვის რომელიმე არასონორი თანხმოვანი². ბგერათა ასეთ თავმოყრას ადგილი აქვს, ჩვეულებრივ, ზმნის თემისეული ავ სუფიქსის ა ხმოვნის რედუქციის შემთხვევებში:

შე-კრ-ავ-ს — *შე-კრ-ავ-ა → შე-კრ-ვა → შე-კვრა

კლ-ავ-ს — *კლ-ავ-ა → კლ-ვა → კვლ-ა

ხნ-ავ-ს — *ხნ-ავ-ა → ხნ-ვა → ხვნ-ა...

გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ს ვ-ს მეტათეზისის შემთხვევა ნაჩვენებია აქვს მ სონორთან მეზობლობაშიც: ნალმ-ავ-ს — დანალმ-ვა → დანალმ-ა³.

ვ ბგერის გადასმას ადგილი აქვს ევ სუფიქსის ე ხმოვნის რედუქციის შემთხვევაშიც: ისვრის ← ისრვის ← ისრ-ევ-ის.

თითო-ორთა შემთხვევაში ვ ბგერის მეტათეზისი შემჩნეულია სახელის ფუძეშიც: თვრამეტი ← (ა)თრვამეტი.

როგორც ცნობილია, ძველმა სალიტერატურო ქართულმა ენამ არ იცის ვ ბგერის მეტათეზისი. აქ, როგორც წესი, მხოლოდ უმეტათეზისო ფორმები გვაქვს: კლვა, კნვა, ათრვამეტი და სხვა.

...ოდეს პასქასა მას დაჰკლვიდეს, ჰრქუეს იესუს მოწაფეთა თვსთა... (მრ. 14-12)⁴.

1 ს. ხუ ნ დ ა ძ ე, ქართული გრამატიკა, 1907, გვ. 173.

2 გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 358; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 22.

3 გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 359.

4 ქართული ოხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, აკ. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა, 1945.

ვისმე თქვენგანსა ესუას მონაჲ, კნვიდეს ანუ მწყსიდეს..
(ლ. 17-7)¹.

...და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილდ-ადგილდ
(მ. 24-7)¹.

„ვეფხისტყაოსანშიც“ დაცული ჩანს უმეტათეზისო
ფორმები:

ასრე უჩნს მოკლვა ლომისა... (227,4)².

საქმრო რად მოაკლვევინე? (578,1)².

მტერთა მძლე, მოსრვით მსპობელი (1428,2)².

შეიძლება ვიფიქროთ, რომ გვიანდელი ეპოქების ქართულ ძეგ-
ლებში უმეტათეზისო ფორმები უფრო ტრადიციით იყო შემონახუ-
ლი, სასაუბრო ენაში კი შედარებით ადრე უნდა მომხდარიყო ვ ბგე-
რის მეტათეზისი. ამას უნდა ადასტურებდეს ის, რომ, საერთოდ,
ქართულ დიალექტებში გვხვდება მეტათეზისიანი ფორმები.

რას უნდა გამოეწვია განხილულ პოზიციამი ქართულში ვ ბგერის
მეტათეზისი?

ამ საკითხის შესახებ გარკვეული მოსაზრება აქვს გამოთქმული
გ. ახვლედიანს. ვ ბგერის მეტათეზისის შესახებ იგი წერს:
„ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნო რვ—ლვ—მვ—ნვ იცვლება ვრ—
ვლ—ვმ—ვნ—დ. გამოსარკვევია ამ ფონეტიკური კანონზომიერების
გამომწვევი მიზეზი. ამ მიზეზს ჩვენ ვხედავთ რ—ლ—მ—ნ—ს სო-
ნორობაში, რომელი თვისებითაც ისინი აღემატებიან ჩქამიერ თანხ-
მოვნებს. ამ სონორობის გამოა, რომ მათ (რ—ლ—მ—ნ—ს) მეტი შე-
საძლებლობა აქვთ, ვიდრე რომელიმე სხვა თანხმოვანს, იქცნენ მარც-
ლოვან ბგერებად ისეთ ბგერათა გარემოცვაში, რომელნიც მათზე
ნაკლები სონორობისაა. მაგრამ, რადგანაც ქართულს არა აქვს მარც-
ვლოვანი რ—ლ—მ—ნ— ფონემები, ამიტომ, ბუნებრივია, იგი გაუზრ-
ბის მათი ისეთ კომპლექსში წარმოთქმას, სადაც ისინი მარცვლოვნე-
ბად უნდა იქცნენ“³.

ავტორს რ—ლ—მ—ნ სონორების მარცვლოვანად წარმოთქმის
არღიების ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია ამ სონორების რედუქცია,
როცა ისინი მოექცევიან სიტყვაში ორ არასონორ თანხმოვანს შო-
რის. ასე, მაგალითად, სონორები ლ, რ პოზიციამი ოფლს, ბადრს...
მკაფიო (ხელოვნურ) წარმოთქმისას ისმის მარცვლოვანად, ხოლო

¹ ოთხთავის დასახელ. გამოცემა.

² შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951.

³ გ. ახვლედიანი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 360.



ბუნებრივ წარმოთქმაში ყრუვდება ან სრულებით იკარგებაო —
ოფს. ბადს...

სონორების მარცვლოვნად წარმოთქმის არიდების სხვა საშუალებას
— ვ-ს მიანჩნია „ვ-ს გადასმა, როცა იგი ისეთი კომპლექსის ბოლო-
საა, რომელშიც რ—ლ—მ—ნ მარცვლოვნად უნდა წარმოითქვას. ასე-
თი კომპლექსებია „თანხ. + რვ—ლვ—მვ—ნვ“, მაგ., ძრვა, სღვა, ხაშმვა,
ხნვა და სხვა. თითოეულ ამ სიტყვათაგანში რ—ლ—მ—ნ მეტად
სონორია, ვიდრე მისი წინმდგომი და მომდევნო თანხმოვანი. მათი
მარცვლოვნობის ასარიდებლად ხდება ვ-ს რეგრესული გადასმა; ამ-
გვარად მიღებულ კომპლექსებში რ—ლ—მ—ნ აღარ აღემატებიან
სონორობით ერთ-ერთ მეზობელ ბგერას, სახელდობრ, მომდევნო
ხმოვანს, რის გამოც ისინი წარმოითქმიან უმარცვლო ჩვეულებრივ
რ—ლ—მ—ნ-დ¹.

ამგვარად, გ. ახვლედიანი ვ-ს მეტათეზისის საკითხს უკავშირ-
ებს მარცვლის საკითხს... არასონორი თანხმოვნების მომდევნო რვ—
ლვ—ნვ კომპლექსებში ვ-ს მეტათეზისი (ხნვა → ხვნა), მისი აზრით,
აიხსნება იმით, რომ დასახელებული სონორები მომდევნო ვ-სა და
წინმაგალ არასონორ თანხმოვანს შორის მარცვლის მატარებელი
გახდებოდნენ და, რამდენადაც ქართულისათვის უჩვეულოა სონო-
რების მარცვლიანობა, ამის გამო ვ ბგერამ გადაინაცვლა ადგილით,
ე. ი. ვ-ს მეტათეზისი ასეთ პოზიციაში ყოფილა გამოწვეული
რ—ლ—ნ სონორების მარცვლოვნად წარმოთქ-
მის არიდების საფუძველზე².

ეს მოსაზრება გაზიარებულია აქვს ს. ქლენტს².

ვფიქრობთ, ვ-ს მეტათეზისი განხილულ კომპლექსებში შეიძლება
სხვაგვარად აიხსნას.

ვ ბგერის მეტათეზისი არასონორ თანხმოვანთა
მომდევნო რვ, ლვ, ნვ კომპლექსებში უნდა იყოს
დაკავშირებული ძირითადად ვ (ვინი) ასოთი აღ-
ნიშნული ბგერის ისტორიულად შეცვლის სა-
კითხთან.

¹ გ. ახვლედიანი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 360.

* დასახელებული ნაშრომის 206 გვერდზე ამავე კომპლექსებში ვ-ს მეტათე-
ზისი სხვაგვარადაა ახსნილი. მაგალითად, ხვრა ← ხრვა, თვრამეტ ← (ა)თრვამეტ
სიტყვებში ვ-ს მეტათეზისის საფუძვლად მიჩნეულია ვ-ს მეტი სონორობა რ-სთან
შედარებით.

² ს. ქლენტის, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 239.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ლაბიალურ ბგერებთან დაკავშირებით გვაქვს ორი სახის კომპლექსი: თანხმოვანი + უ (უმარცვლო უ) — თ უ ა ლ ი, კ უ ა ლ ი, ძ უ ა ლ ი... და თანხმოვანი + ვ (ვინი) — ქ ვ ა, რ ვ ა, რ ვ ა ლ ი...

ამ რიგის კომპლექსების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეული მოსაზრებებია გამოთქმული.

ი. ი. უ შ მ ა ნ ო ვ ი ს აზრით, ქართულის გვ, ქვ, კვ, ძვ, ცვ, წვ... კომპლექსები (ე. ი. თანხმოვანი + ვ) წარმოადგენს ერთიანი ლაბიალიზებული ბგერის, ფონემის დაშლილ სახეობას. ე. ი. ი. უ შ მ ა ნ ო ვ ი ს შეხედულებით, ქართულს ისტორიულად ჰქონია ლაბიალიზებული ფონემები, რაც შემდეგში დაშლილა ორ ფონემად¹. ეს მოსაზრება არსებითად გაზიარებული აქვს ს. ჟღენტი, ამავე დროს, მისი აზრით, ლაბიალიზებული თანხმოვნები უნდა გეჭონოდა ძველ სალიტერატურო ქართულში. ძველ ქართულში ისეთ შემთხვევებში, სადაც თანხმოვნის შემდეგ იწერებოდა უ ასო (უმარცვლო უ) — კ უ ა ლ ი, კ უ ა მ ლ ი, თ ა გ უ და ს ხ ვ ა, ასეთი თანხმოვანი ლაბიალიზებული უნდა ყოფილიყო. ხოლო ისეთ შემთხვევებში, სადაც თანხმოვნის შემდეგ იწერებოდა ვ (ვინი)—ქ ვ ა, ხ ვ ა ლ ე, რ ვ ა... ასეთი თანხმოვანი არ იყო ლაბიალიზებული². ცხადია, ძველ ქართულში უმარცვლო უ და ვ (ვინი) წარმოადგენენ მკაცრად განსხვავებულ ორ ბგერობრივ ერთეულს. ოღონდ ძველ ქართულში თანხმოვანი + უმარცვლო უ-ს (ძუ, ცუ, წუ, ზუ, სუ...) დაწერილობა არ უნდა აღნიშნავდეს ლაბიალიზებულ ფონემებს (განსხვავებულს არალაბიალიზებულისაგან), როგორც გვაქვს რიგს იბერიულ-კავკასიურ ენაში. მაგალითად, აფხაზურში, ადიღურში და სხვ. ამ ენებში (აფხაზურ-ადიღურში) ლაბიალიზებული ბგერები დამოუკიდებელი ფონემებია, რომელთაც აქვთ განვითარების საკუთარი კანონზომიერება. განსხვავებული არალაბიალიზებულებისაგან. ძველ ქართულში თანხმოვანი + უმარცვლო უ აღნიშნავდა თანხმოვნისა და წყვილბაგისმიერი უ ბგერის კომპლექსს. ხოლო თანხმოვანი + ვ (ვინი)—თანხმოვნისა და, შესაძლებელია, კბილბაგისმიერი ვ ბგერის კომპლექსს. ზოგს დია-

¹ И. В. Юшманов, Фонетические параллели африканских и лфетических языков, AFRICANA, I, 1937.

² ს. ჟღენტი, ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, X, გვ. 185.

ლექტში ფონემურად განსხვავებულმა ვ და უ ბგერებმა ა ხმოვანთან კომპლექსში მოგვცა განსხვავებული რეფლექსები. მაგალითად, დადგენილია, რომ მთიულურში ვა კომპლექსი იძლევა ო-ს, ჩვეულებრივ, ისეთ შემთხვევებში, როცა ძველ ქართულში ვ-ს ნაცვლად გვქონდა უმარცვლო უ—ძვ. ქართ. თ უ ა ლი: მთიულ. თ ო ლი, ხოლო ისეთ შემთხვევებში, როცა ძველ ქართულშიც ვა კომპლექსი გვქონდა (ქ ვ ა, რ ვ ა), მთიულურში ასეთი ვა უცვლელი რჩება — ძვ. ქართ. ქ ვ ა: მთიულ. ქ ვ ა¹.

ახალი ქართული ენის ჩამოყალიბების განსაზღვრულ საფეხურზე უნდა მომხდარიყო შემდეგი ცვლილება: ვ, თითქოს კბილბაგისმიერი ბგერა, შეიცვალა, იგი გახდა წყვილბაგისმიერი, ე. ი. გაუტოლდა უმარცვლო უ-ს. ძველი ქართულის ქვ კომპლექსი გაუტოლდა ძველი ქართულისავე ქუ-ს (ქუ-ს). სწორედ ამის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ქართულში ვ-ს (იმავე უ-ს) მეტათეზისი არასონორი თანხმოვნების მომდევნო რვ, ლვ, ნვ კომპლექსებში.

ძველი ქართულისათვის, ცნობილია, უცხო იყო რ, ლ, ნ სონორთა და უმარცვლო უ-ს კომპლექსები (რუ, ლუ, ნუ), ხოლო ბუნებრივი იყო იმავე სონორებისა და ვ (ვინის) კომპლექსები — პირველი, რვალი, იანვარი, ლვილი (საბა)... მას შემდეგ, რაც ძველი ქართულის ვ-ბგერა გაუტოლდა უმარცვლო უ-ს (უ-ს), ასეთი ვ (უ) ბგერა ვერ ძლებს ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნო რ—ლ—ნ სონორებთან, გადაინაცვლებს მათ წინ ადგილს და აღმოჩნდება კომპლექსში ჩქამიერ თანხმოვნებთან: ხრვ-ა → ხვა, კლვ-ა → კვლა; ხნვ-ა → ხვნ-ა... ყველა არასონორი თანხმოვნისა და წყვილბაგისმიერი უმარცვლო უ-ს კომპლექსები კი ჩვეულებრივი იყო ძველი ქართულისათვის².

ისეთ შემთხვევებში, როცა რვ, ლვ, ნვ კომპლექსებს უშუალოდ წინ არ უძღვის რომელიმე ჩქამიერი თანხმოვანი, რომელთანაც შეეძლო ვ-ს ჩვეულებრივი კომპლექსის შექმნა, ვ (უ) ბგერა იძლეული ხდება შეეგუოს ქართულში რ, ლ, ნ სონორებს, მაგალითად, ბარვა, დამალვა და სხვა. საყურადღებოა, რომ მეგრულში ამ პოზიციამაც ვერ ძლებს ვ ბგერა, მაგალითად, რ სონორთან: იგი ან სულ იკარგება—მეგრ. ი ა ნ ა რ ი ← ი ა ნ ვ ა რ ი; შდრ. ქართ. ი ა ნ ვ ა რ ი, ანდა რ სონორი გადაინაცვლებს ადგილს —მეგრ. პ რ ი ვ ე ლ ი ← პ ი რ ვ ე ლ ი, შდრ. ქართ. პ ი რ ვ ე ლ ი და სხვა.

¹ არ ნ. ნიქოზავა, მთიულურის თავისებურებანი: ენმიკის მოამბე, II, 1937, გვ. 46.

² ძველ ქართულში ამ რიგის კომპლექსებისათვის იხ. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1953, გვ. 307.

გ. ახვლედიანს თავის „ზოგადი ფონეტიკის შესავალში“ ნაჩვენებია აქვს. სხვადასხვა სახის მეტათეზისის ნიმუშები. საერთოდ, მეტათეზისური ცვლილებების შესახებ აქ წერს: „როგორც ამ ნიმუშებიდან ჩანს, მეტათეზისური ცვლილებები მეტწილად აიხსნება მოლაპარაკის მიდრეკილებით, შეცვალოს ამ ენისათვის უჩვეულო ბგერათ-კომპლექსი ჩვეულით, მაგ.: თვ უფრო ხშირია ქართულში, ვიდრე თრ (თვრამეტი). ნა წარმოადგენს ძალიან გავრცელებულ თავსართს (ნამგალი, ნავხე), ზღ აგრეთვე ჩვეული კომპლექსია ქართულში და ა. შ.“¹. უდავოდ სწორია დებულება, რომ „მეტათეზისური ცვლილებები მეტწილად აიხსნება მოლაპარაკის მიდრეკილებით, შეცვალოს ამ ენისათვის უჩვეულო ბგერათკომპლექსი ჩვეულით“. ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს მეტათეზისის შემთხვევა თვრამეტი—სიტყვაში. აქ მეტათეზისის მიზეზად იგი თვლის იმას, რომ თვ კომპლექსი უფრო ხშირია ქართულში, ვიდრე თრ კომპლექსიო. ჩვენი აზრით, თრ კომპლექსის იშვიათობას ქართულში ამ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევებში არსებითი მნიშვნელობისაა თრვ (თრვამეტი) კომპლექსში რ-სთან ვ-ს მეზობლობა მას შემდეგ, რაც არსებითად გამოიცვალა ამ ვ-ს ბუნება ახალ ქართულში.

ჩვენ მიერ აქ განხილული ვ ბგერის მეტათეზისი კომპლექსებში — არასონორი თანხმოვანი + რვ — ლვ — ნვ არსებითად განსხვავდება სხვა სახის მეტათეზისისაგან ქართულში, რამდენადაც ყველა ასეთ კომპლექსში უგამონაკლისოდ ხდება ვ-ს გადასმა რ — ლ — ნ სონორების წინ მდგომ თანხმოვნებთან (კლვა → კვლა, ზნვა → ზვნა...).

ამავე ტიპის მეტათეზისთან გვაქვს საქმე მასდარის ფორმაში: სვლა ← სლვა. აქ მეტათეზისის განიცდის ძირისეული ვ თანხმოვანი. ძველი ქართულის ს ლ ვ ა თავისთავად მეტათეზისიანი ფორმაა. ამოსავალი სახეობა უნდა იყოს ს ვ ლ ა, რამდენადაც ეს მასდარი ნაწარმოებია ვალ ზმნისაგან უძველესი ნივთთა კლასის ს-პრეფიქსისა და მასდარის -ა სუფიქსის დართვით: *ს-ვალ-ა → *ს-ვლ-ა. მაგრამ ამ ამოსავალ სვლაში, უნდა ვიფიქროთ, ვ-მ შეინაცვლა ადგილი ს-სთან მეზობლობის გამო. შეიძლება იმიტომ, რომ ძველი ქართულისათვის უჩვეულო იყო სვ კომპლექსი, ის მოთავსდა ლ-ს

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 1956, გვ. 178.

² ა. ნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1952, გვ. 225.

მომდევნოდ (ლვ კომპლექსი კი ბუნებრივი იყო ძველ ქართულში). მას შემდეგ, რაც შეიცვალა ვ ბგერის ბუნება ქართულში, იგი ვერ ძლებს ლ-სთან კომპლექსში და ისევ თავის ძველ ადგილს უბრუნდება: *ს-ვალ-ა → *ს-ვლ-ა → სლვ-ა → სვლ-ა.

ზემოთ განხილული ვ ბგერის მეტათეზისის ანალოგიური შემთხვევები გვაქვს სხვა ენებშიც. ქართველური ენებიდან ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სვანური. სვანურში ქართულიდან შეთვისებული სიტყვა კალპოტი გვაქვს კალპეტვ-ის სახით. სვან. კალპეტვ ← კალპეტ ← კალპოტ ← კალპოტი. ვ-ს აქარ შეეძლო ვ-სთან კომპლექსში მოთავსება და ამის გამო გადაბნეულა ადგილი მომდევნო ტ-სთან...

ამგვარად, ვ-ს მეტათეზისი ქართულში განხილულ კომპლექსებში, ჩვენი მსჯელობის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ვ (ვინი) ბგერის ბუნების შეცვლის საფუძველზე. შეიძლება, ძველი ქართულის ვ (ვინი) ასოთი გამოხატული ბგერის ბუნების გარკვევა დაზუსტებას მოითხოვდეს, მაგრამ ერთი მაინც ცხადია: ვ არსებითად იყო განსხვავებული უმარცვლო უ-საგან. ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეს განსხვავება მოიხსნა: ვ გაუტოლდა უმარცვლო უ-ს (უ-ს), რამაც გამოიწვია განსაზღვრულ კომპლექსებში ვ ბგერის ადგილის გადაწველება.

ბ. ძ. ო. წ. 6 0 6 0

არაჩინვები ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში*

„დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, — წერდა ი. გოგებაშვილი 1907 წლის 7 სექტემბერს, — რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს. იმის წმინდა ქართულს ენას. მის მაღალს აზრებს, პროგრესიულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ეთიკას სრულის ადამიანობისას“¹.

და შემთხვევითი არ არის, რომ დღეს, როცა ქართული ეროვნული კულტურა უჩვეულოდ განმტკიცდა და გამდიდრდა, ქართული ენა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენად იქცა და სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდა, ამ ენის მოჭირნახულე, მე-19 საუკუნის დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე გვიყვარდეს ისე, როგორაც ადამიანს შეუძლია უყვარდეს მისი ქვეყნის სახელი და დიდება.

მეტისმეტად „მკრელი, მხილავი ნიჭი და ნათელი გონება“ უნდა ჰქონდეს კაცს და გულის სითბო და სიმართლე გამოატანოს სიტყვას, რომ ილიას მსგავსად დაიმორჩილოს საგანი, ამოწუროს იგი დაწვრილებითა და იშვიათი სიტყვებით და ამით შეძლოს ადამიანის „სულისა და გულის ძერა“.

და თუ ილიას მხატვრული ნაწარმოებები მკითხველის გულის-წყრომას ააფთრებს უკულმართობისა და ავზნეობის წინააღმდეგ, უბირველეს ყოვლისა, იმიტომაც, რომ ილიას აქვს ქართული ენის ბუნების გაგების განსაცვიფრებელი ალღო, ქართული სიტყვის სურნელების შეგრძნების განსაცვიფრებელი ძალა.

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრების გაერთიანებულ საიუბილეოსამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიემდგნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავს, 1957 წ. 17 ოქტომბერს თელავში.

¹ ი. გოგებაშვილი, შურის ძიება ისტორიისა: ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, კრებული, 1907, გვ. 134.

ილიას მხატვრულ ნაწარმოებთა უბრალო თვალის გადავლებითაც კი მოხიბლული ვრჩებით არა მარტო მკაფიოდ გამოძერწილ-ცალკე პირთა ხასიათებით, არა მარტო იმიტ, რომ გმირები მოქმედებენ კონკრეტულ-ტიპიურ გარემოში და ისეთ სიტუაციებში, რომ მკითხველს თვალწინ დაუდგება საზოგადო კირი და ლხინი და გული ან ქეშმარიტის ცრემლით აუტირდება ან სიყვარულის მადლით გაუძლიერდება და გაულონიერდება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მოხიბლული ვრჩებით რიტმიულად გამოკვეთილი სიტყვის ძალით, ბარაქიანი და ძარღვიანი, ტკბილი და მოქნილი, სადა და დინჯი ქართული სატყვეით, დიალოგის მძაფრი სურნელებითა და ლაკონიურობით. ერთი სიტყვით, ი. გოგებაშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „მარილიანი, მოსწრებული და აზრ-გრძნობაზე გამოჭრილი ენით“.

ამყამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის ენა ყოველმხრივ. ჩვენ მხოლოდ გვინტერესებს, წარმოვაჩინოთ ილიას მხატვრულ ნაწარმოებთა გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ მასალაში შემჩნეული თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც ძველი ქართულის კუთვნილებასა და დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით არქაიზმებად ჩაითვლება.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძეს დიდი ბრძოლა დასჭირდა, რომ გაეწმინდა ქართული ენა ანტონ კათალიკოსის სკოლის მიერ დამძიმებული ნაძალადევი სიტყვათა წარმოებისა და ხელოვნური სიტყვათა წყობისაგან, უარყო ზედმეტად გამხდარი ასოები. გაეპარტივებინა ორთოგრაფია და სალიტერატურო ქართული ენა ხალხურ მეტყველებაზე დაეფუძნებინა.¹ ამ ახალი, ნამდვილად სახალხო-სალიტერატურო ენით არის შექმნილი ილიას უკვდავი მხატვრული ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებთა ენაში როგორც სახელთა ბრუნებისას და ზმნის უღვლილებისას, ასევე სიტყვათა წარმოებისას და ლექსიკური მასალის გამოყენებისას თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მოქმედი ნორმებია დაცული, თუმცა ამ ნორმების გვერდით აჭა-იჭ გამოყოფილია არქაული მოვლენებიც ქართლურ-კახური წარმომავლობის მონაცემებთან ერთად.

¹ ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის ი. ჭავჭავაძის ბრძოლის შესახებ იხ. ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის; ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1939, გვ. 1—33; არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ; ენიშკას ნოამბე, 1937, II, გვ. 15—27; მისივე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, გვ. 024—025.

არქაიზმები ილიას პროზის ენაში მეტად მკრთალად იგრძნობა, პოეტურ ნაწარმოებთა ენაში კი არც თუ იშვიათად გვხვდება და ხშირად სათქმელის შინაარსით ანდა ლექსის საჭიროებით არის განსაზღვრული.

სახელთა ბრუნებისას არქაიზმების თვალსაზრისით ილიას მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში აღსანიშნავია¹:

1. აქა-იქ გარჩენილია ძველი ქართულისებურად გაფორმებული მთხრობითი*:

„აგერ ოთახსაც ჩ რ დ ი ლ მ ა ნ გადაჰკრა (I, გვ. 5)²... ბ ე დ მ ა ნ ჩემკენ მოიხედა (II, გვ. 84)²...

ძველი და ახალი წარმოება ერთსა და იმავე ფრაზაშიც კი იხმარება ერთმანეთის გვერდით:

რომ ჩემს საფლავზედ და ყუ დ ე ბ უ ლ მ ა ნ ქ ა რ თ ვ ე ლ-მა, ჩემგან შე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ მ ა ნ, გულწრფელობითა და სიმართლითა მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა (I, გვ. 29)...

2. მიცემითში გვხვდება უთანდებულო ფორმებიც, როცა იგი მიუგებს კითხვაზე ხად:

შსწრაფლ ისარივით ც ა ს აღფრინდები (I, გვ. 12)... მაგრამ, ცგრძნობ, შეხვალ დიდს ზ ღ ვ ა ს და იქ ჩაპლუპავ ჩემს ნავს (იქვე, გვ. 16)...

უთანდებულო მიცემითი მხოლოდ ლექსის საჭიროებისათვის რომ არ არის ნახმარი, ამას მოწმობს მისი გამოყენება პროზაშიც: როცა ქ ა ლ ა ქ ს მივდიოდი, არც კი მინახულა, (II, გვ. 42)...

3. გამოსვლითის ფუნქციით გამოიყენება უთანდებულო მოქმედებითიც:

¹ იხ. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის ენის შესწავლა სკოლაში, 1957, გვ. 75—81.

* სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვან-ფუძიან სახელებს რამდენიმე შემთხვევაში პოეტურ ენაში-ი მოეპოვებათ: მის ბუტბუტს მარტო მთა ი მღუ-მარი დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა (I, გვ. 159).... იგია ჩემი ს ი ც ო ც ხ ლ ე ი და სიხარული (იქვე, გვ. 151)...

ამ შემთხვევაში -ი სუფიქსი სალექსო ტაეპში მარცვალთ რაოდენობის დასაცავად არის გამოყენებული. სახელობითის ამგვარი ხმარება ძველ ქართულთან ერთად ნიშანდობლივია ქართული ენის დიალექტებისათვის, მათ შორის, ქართულ-კახურისთვისაც, და, შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ილია ამ კილოების მონაცემებს დაემყარა.

² გამოიყენეთ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: I, ლექსები, პოემები, 1951 და II, მხატვრული პროზა, 1950.

9. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958

ამოიღებს მეკვდრებს საფლავით (I, გვ. 186)... იმ სარკ-
 მლით სხივი მისი სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა
 (I, გვ. 209)...

სივრცეში მოქმედების საწყისი პუნქტის აღსანიშნავად უთანდუ-
 ბულო მოქმედებითი ილიას პროზის ენაში არ გვხვდება. ჩანს, მისი
 ხმარება ლექსის საჭიროებით არის გამოწვეული.

4. დამახასიათებელია -ებ-სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის
 გვერდით ნარ-თანხანი მრავლობითი რიცხვის ფორმების ხშირი გამო-
 ყენება, განსაკუთრებით პოეტურ ენაში:

წამერთო ყველა და ნუგეშად დღეს მარტოღა ცრემლნი მე
 დამშთენიეს (I, გვ. 41)...

ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა, ვისცარ
 აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება (იქვე, გვ. 145)...

6-თ სუფიქსებს ზოგჯერ იქაც კი ვხვდებით, სადაც -ებ სუფიქსით
 მათი შეცვლა უმტკივნეულოდ შეიძლება: ამ შეცვლით არც ლექსი
 დაზიანდება, არც სტილისტიკური საჭიროებით არის მაინცადამაინც
 მათი ხმარება გამოწვეული.

5. ნაცვალსახელებიც გვხვდება პოეტურ ენაში ძველი ქართუ-
 ლისებურად ნაწარმოები:

მართლა ეგრეა, თუ ყველა ეს ე მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენი-
 სა (I, გვ. 221)...

მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა მის და საცდელად თვით უფ-
 ლის ნებით (იქვე, გვ. 212)...

ბ. ძველი ქართულის ნორმა მეღავენდება მსაზღვრელის საზღვრულ-
 თან ხმარების დროსაც. ცნობილია, რომ ძველ ქართულში მსაზღ-
 ვრელი უპირატესად მოსდევდა საზღვრულს, თუმცა იმის მიხედვით,
 თუ რომელი სახელი იყო გამოყენებული მსაზღვრელად, შეინიშნე-
 ბოდა სხვადასხვაგვარი ვითარება. კუთვნილებითი ნაცვალსახელის
 მსაზღვრელად გამოყენებისას გაბატონებულ წყობას საზღვრულ-მსა-
 ზღვრელი წარმოადგენდა, ხოლო მსაზღვრელად გამოყენებული
 რიცხვითი სახელი, როგორც წესი, წინ უძღოდა საზღვრულს. მსაზღ-
 ვრელი ზედსართავი სახელის ადგილი კი არც კუთვნილებითი
 ნაცვალსახელივით მაინცადამაინც საზღვრულის შემდეგ იყო, არც
 რიცხვითი სახელივით მაინცადამაინც საზღვრულის წინ. იგი გვხვდე-
 ბოდა საზღვრულის წინაც და შემდეგაც, უპირატესად — შემდეგ.

ახალ ქართულში ყოველგვარი მსაზღვრელის საზღვრულთან
 ბრუნებისას პირდაპირი წყობა წარმოადგენს ნორმას. შებრუნებულ
 რიგს ამა თუ იმ მწერლის ენაში თუ შეგვხვდებით მხოლოდ კოლორი-

ტის დაცვისა ანდა ლექსის საჭიროებისათვის, ამიტომ ახალ ქართულში მეტი ერთფეროვნება და სიმარტივე გვაქვს.

ილიას ენისათვის მსაზღვრელი სახელის საზღვრულთან ხმარებისას სწორედ ახალი ქართულის ეს სინტაქსურ-სტილისტიკური სიახლე და სიმარტივეა ძირითადად დამახასიათებელი. მსაზღვრელის ადგილი მეტწილად საზღვრულის წინაა, მაგრამ არც თუ იშვიათად მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს:

ცნობის მოყვარეობა ჩემი წრეს გასცილდა (II, გვ. 37)...
დედამიწა შეიშრობდა სისხლსა და ღვრისა (იქვე გვ. 32)...
თავის უფლებების მშვენიერის სხივთმზურვალუბა როდის დააღწობს დაქანგებულს დიდ ხნის ბორკილსა (I, გვ. 147)... თუმცა ჭეყანას მისი მოძღვრება დღეს მარტო სიტყვით უქმით პრწმენია (იქვე, გვ. 140)... სთავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა (II, გვ. 92)... ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა (იქვე, გვ. 262)...

რაც შეეხება მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნებას, ძირითადად ახალი ქართულის ნორმებია დაცული. წინამავალი ხმოვან-ფუძიანი სახელი, ჩვეულებრივ, არ იცვლება არც მხოლოდობითსა და არც მრავლობით რიცხვში. ჩვეულებრივო, ვამბობთ, რადგანაც აქა-იქ გარჩენილია ძველი ქართულის ნიშანდობლივობა და წინამავალ ხმოვან-ფუძიან მსაზღვრელს მოეპოვება ბრუნვის ნიშანი:

ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდები (II, გვ. 10)... ჩემს მცირეს ნავს რას არხევ, ზვირთო წუთისოფლისავ (I, გვ. 16)... უმანკო პირზე შენს ტურფას ქალსა გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა (იქვე, გვ. 139)... სამს საპალნეს დვინოს მაინც ვაპყიდლოო ყოველ-წლივ (II, 258)...

მსაზღვრელად ნახმარი თანხმოვნით გათავებული სახელები მიცემითში უპირატესად ფორმანტ-მოუკვეცილად იხმარება:

როგორ იწამოს და რა დაარქვას ამ ჭერ არ-ცნობილს სოტკბოებასა (I, გვ. 220)... ერთს მშვენიერს დღეს სეირნობა გაიმართება (II, გვ. 19)...

ნათესაობით ბრუნვაშიც თანხმოვან-ფუძიანი წინამავალი მსაზღვრელის სრული დაბოლოებით ხმარებაა ნიშანდობლივი:

მაგრამ შავისა ღრუბლისა სისქეს ვერ გაატანა თვალმა უძღურმა (I, გვ. 148)... მისის დაღლილის ზრუნვისა და წაღილის გუგუნი (II, გვ. 22)... თავისის დედის ყურმოჭრილი ყმა იყო თითქმის (II, გვ. 263)...

წინამავალ მსაზღვრელს ნათესაობით ბრუნვაში სრულიად მოკვეცილი დაბოლოებითაც ვხვდებით, მაგრამ 4-ჯერ ნაკლები რაოდენობით მაინც. სამაგიეროდ, საძებარია ნათესაობითში მსაზღვრელის ხმა-რება ნაწილობრივ მოკვეცილი დაბოლოებით, დღევანდელი ქართულისათვის რომ წარმოადგენს ნორმას.

საგულისხმოა, რომ მიცემითსა და ნათესაობითში წინამავალი თანხმობან-ფუძიანი მსაზღვრელი სრული დაბოლოებით ილიას დროინდელი სალიტერატურო ქართული ენისათვის დამახასიათებელი ჩანს, თუმცა ამ მხრივ ერთნაირი ნორმა რომ არ უნდა არსებულებოდა, ამას მოწმობს ერთი ასეთი ცნობაც, დაცული ყვარელში, ილიას სახლ-მუზეუმში: ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც 1886 წ. 8 მარტს უნდა შემდგარიყო „ივერიის“ რედაქციაში გრამატიკის მტკივნეული საკითხების განსახილავად და საყოველთაო წესების დასადგენად, მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო სხვა საკითხებთან ერთად — „როგორ უნდა იხმარებოდეს წინად-მსვლელი ზედმესრული, განსაზღვრულის სახელის არსებითისა, როცა სახელი არსებითი ნათესაობით ბრუნვაშია, მაგალითებრ „ცოდვილი პირისა“, თუ „ცოდვილის პირისა“, ან „ცოდვილ პირისა“!...

როგორც ილიას ნაწერებიდან ჩანს, იგი ნათესაობითში წინამავალი თანხმობან-ფუძიანი მსაზღვრელის სრული დაბოლოებით ხმარებას, ე. ი. ძველ წარმოებას უჭერდა მხარს.

მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებისას ილია ხშირად იყენებს ნარ-თანთან მრავლობითს:

თვალწინ მიპყრია უკეთესნი ყვაველნი მკკნარნი (I, გვ. 49)... გონიერნი თვალნი მისნი თან სდევდნენ იმ პრელს ხალხსა (II, გვ. 456)... შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა (II, გვ. 22)... შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა (I, გვ. 144)... სხვა რომელია, რომ ათასთ ველთ ბრძოლა მედგარი გამოველოს და სრულიად მტერად არ აღგვილიყოს (იქვე)...

7. ილიას პოეტურ ნაწარმოებთა ენაში (აქა-იქ პუბლიცისტურ ნაწერებში) გადმონაშთის სახით იხმარება განსაზღვრული ნაწევარიც².

1 ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, გვ. 18—19; გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენის შესწავლა სკოლაში, გვ. 30—31.

2 ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველ ქართულში: სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, გვ. 273.

წაწერად გამოყენებულია **ესე, ეგე, იგი** ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც ძველი ქართულის მსგავსად, არა მარტო უბრალოდ მიუთითებენ ნაცნობ, უკვე დასახელებულ საგნებზე, არამედ ამ საგანთა სიახლოვე-სიშორესაც გვიჩვენებენ ამა თუ იმ პირთან მიმართებით.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ნაწევრის ადგილი განსაზღვრულია: იგი ცალკე სახელის შემდეგ იხმარება, მსაზღვრელით განსაზღვრულ სახელთან კი ნაწევრის ადგილი იცვლება იმის მიხედვით, მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს თუ წინ უძღვის. თუ მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს, ნაწევარიც საზღვრულის შემდეგაა. თუ მსაზღვრელი საზღვრულს უძღვის, ნაწევრის ადგილიც საზღვრულის წინაა.

ილიას პოეტურ ნაწარმოებთა ენაში ნაწევარი უპირატესად გვხვდება როგორც მსაზღვრელით განსაზღვრულ, ისე ცალკე სახელთა წინ, პოსტპოზიციურ წყობას აქა-იქ თუ შევხვდებით მხოლოდ: და ახალს ნერგზედ ახლად შობილი ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების (I, გვ. 140)... მოჰმადლე ქართველს ქართვის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული (იქვე, გვ. 149)...

როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა, ესლა გაჰრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან (იქვე, გვ. 147)...

მე ე გ ე ლ უ კ მ ა პირუტყვსავით ზიღვით ვიყიდე (იქვე, გვ. 55).. და ი გ ი ც რ ე მ ლ ი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის ჰლალდებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა (იქვე, გვ. 136)... ბძანა და მსწრაფლ დაიშალა დიდებულთა ი გ ი კ რ ე ბ ა (იქვე გვ. 189)...

ს ტ უ მ ა რ ი ი გ ი დანაცრულს ცეცხლსა ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი (გვ. 212)...

როს ი გ ი ტ ო მ ნ ი ცად მიღწეულ მძღავრ კაცასისა ერთისა-ზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან (გვ. 147)...

სახელობითს გარდა ნაწევარი გვხვდება მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში:

უპ, უპ, რა ცივა, — სთქვა მან ს ტ უ მ ა რ მ ა ნ (გვ. 212)... თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს დღეს მას საშინელს განკითხვისასა (გვ. 210)...

ინატრებს გ მ ი რ ი ს მის დიდებასა (გვ. 137)....

ნაწევრის ხმარების ერთი შემთხვევა უნდა გვქონდეს „გლახის ნაამბობშიც“: მას დღეს აქეთ ასე ვარ (II, გვ. 119).

ნაწევარი ილიას ენაში ერთგვარი მხატვრული ხერხია, რომელიც

აცხოველებს ინტერესს და ამახვილებს ყურადღებას ნაწევრით განსაზღვრული სიტყვისადმი.

ზმნის უღვლილებისას არქაულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ:

8. ზმნისწინები ძველი სახითაც გამოიყენება:

აკლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა და აღმეშალა დიდი ხნის წყლული... შევკენეს, შევსტირი მე იმა ზვირთთა, თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული (I, გვ. 48)... მართალი ბძანდები,—განაგრძელია უბედურმა (II, გვ. 36)... წამერთო ყველა დაწარვიდა ბედიც მღიმარი (I, გვ. 51)... ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო, რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია (I, გვ. 144)...

ზმნისწინების ამგვარი გამოყენება უფრო მეტად პოეტურ ენაში შეიმჩნევა. პროზაში ძველი სახით ნახმარი ზმნისწინები საძებარია.

9. აწმყო-მყოფადში დინამიკურ ენებზეებს მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში აქვთ -ს სუფიქსიც -ა-ს გვერდით:

კარგს მთქმელს ტყვედ რჩებიან ნატკივარი გული ჩავრული (I, გვ. 178)... მოვიდეს და წინ დახვდებიან შენი ერთგული ქართველი (იქვე, გვ. 184)...

არქაული ელფერი დაჰკრავს ასეთ წარმოებასაც:

გულზედ სისხლი გადამესხმის ხოლმე, როცა ამას ვიგონებ (II, გვ. 95)... თავი ვერ ედგმის კარგად (იქვე, გვ. 301)...

10. -ავ,-ამ სუფიქსები აწმყო-მყოფადში სუბიექტის მესამე პირის მრავლობით რიცხვში შეუკუმშავიც იხმარება და შეკუმშულიც, ძველი ქართულის მსგავსად:

ვაქვაცთ ცრემლსა რად უძრახვენ! რკინაც ტყდება, როს სცემს გრდემლი (I, გვ. 107)... ხატებს რომ ჰხატვენ, ის იყო (II, გვ. 55)... კაცი მოიღწეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო (იქვე, გვ. 312)...

პოეტურ ნაწარმოებთა ენაშიც იკუმშება -ავ,-ამ სუფიქსები და პროზის ენაშიც. ჩანს, ამ სუფიქსთა ხმოვნური ელემენტის დაკარგვას ლექსის საპირობება არ განსაზღვრავს.

11. გარჩენილია პოეტურ ნაწარმოებთა ენაში ხოლმეობითის ფორმაც: ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად და წრფელსა გულში დვარძლს ჩაასხმიან (I, გვ. 139).

12. -ავ-სუფიქსიანი ზმნების უწყვეტლის მესამე პირში არქაული გ-ი-ჯ ტიპიანი წარმოებაც შეიმჩნევა:

ერის მხავრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩვარებ ჰქელვიდა (I, გვ. 145)...

ძმა დასა და მამა შეილსა მამულს ხოლმე შესწირვიდნენ (იქვე, გვ. 179).

შესწირვიდნენ ძველი წარმოება, მხოლოდ მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად -ეს სუფიქსის ნაცვლად -ნენ გამოიყენება.

ვ-ი-დ ტიპიანი წარმოება კავშირებით პირველშიაც გვხვდება:

კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელსავით თვით დაიწვას და სხვას კი ვზას უნათვიდეს (I, გვ. 180).

13. გადმონაშთის სახით შემორჩენილია არქაული ნამყოფსრულიც¹: ლამის გუშავი, მუდამ მკმუნავი მთვარე მეფურად, მძლავრად ვიდოდა (I, გვ. 158)... ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი (იქვე, გვ. 208)...

ამ ზმნისათვის ამოსავალია ხოლმეობითის ფუძე ვიდ, რომელზედაც დაფუძნებულია უწყვეტელი².

14. გამოყენებულია წართქმითი ბრძანებითის ფორმები ძველი ქართულის მსგავსად: ამოვედ, ვინც ხარ! იყავნ ნება ღვთის (I, გვ. 211)...

ბრძანებითის ამგვარ წარმოებას ჩვენ „განდევილსა“ და ისეთ ლირიკულ ლექსებში ვხვდებით, სადაც ამას სათქმელი საჭიროებს.

მაგალითად, ლექსში „ლოცვა“ ვკითხულობთ:

განჰქრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი და იყავნ ნება, უფალო შენი (I, გვ. 25)... ორივეგან მესამე პირის ბრძანებითის ფორმებია, მაგრამ პირველ შემთხვევაში ზმნას განჰქრენ სუბიექტი მრავლობით რიცხვში შეეწყობა („სურვილნი“) და მისთვის მხოლოდობითის -ნ სუფიქსი არ გამოდგება.

ზოგჯერ მესამე პირის ბრძანებითი მეორე პირის მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც ამას დ. გურამიშვილის ენაშიც ვხვდებით:

¹ იხ. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1948, გვ. 58.

² ი-და ე-თავსართით ნაწარმოებ ვნებითებს წყვეტილში შენახული აქვთ -ენ სუფიქსი: ვარს ევხვიენით (II, გვ. 242)... დავკონეთ ერთმანეთი და გავიყარენით (იქვე, გვ. 79)... ამგვარი წარმოება კავშირებით მეორეშიც ვხვდებით: თუ ვეწვევით, ფრთხილათ უხდა ვიყვნეთ (II, გვ. 126)... თუ ვერა ვძლევთ, დავიხოცნეთ სახელითა და დიდებით (I, გვ. 194)...

ი-ენიანი ვნებითის ამგვარი წარმოება წყვეტილსა და კავშირებით მეორეში ძველი ქართულისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ აღმოსავლურ კილოებშიც ვხვდებით და, საფიქრებელია, ილიას ენაში კახურიდან იყოს შემოტანილი.

ნუთუ არ იცი, რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული, როს ბძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავნ შენც სრული“ (I, გვ. 24)...

15. გვხვდება ტმისის ერთი შემთხვევა **ცა** ნაწილაკის გამოყენებისას:

არ ხარ ისე მშვენიერი, რომე შენის ერთი ნახვით **განცაცვი ფრდეს უქმი ერა** (I, გვ. 65).

სინტაქსური მოვლენებიდან არქაიზმების სახით ყურადღებას იქცევს:

16. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ფუძის სახითაც იხმარება პოეტურ ენაში და ძირითადად ლექსისთვის არის საჭირო:

ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი (I, გვ. 49)...

— ბედნიერ ვარ: ამით ვბოვე ახალგაზრდათ თანაგრძნობა (იქვე, გვ. 114)... საოცარ იყო მიძინებული იგი სიტურფე, იგი შვინება (იქვე, გვ. 219).

17. მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია მიზნის გარემოებად:

აღუხსენ ხედვად მშიშარნი თვალნი (I, გვ. 76)... და, ვით თქმულა, მიანებოთ ჰკვდარნი და ფლვად მისთა მკვდართა (იქვე, ვვ. 93)*.

რაც შეეხება ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ლექსიკას, იმდენად მარტივია და ხალხური ილიას ენა, რომ პროზაში თითქმის ვერ ვხვდებით, ხოლო პოეზიაში იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება არქაული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სტილისტიკური კომპონენტის როლში გვევლინება მხოლოდ. მაგალითად:

ებანი (თუ გინდა, ძმავ, იგემო ამა ქვეყნისა შვიებანი, დიდთა საფეროდ მოჰმართე შენი გულ-სიტყვის ებანი, გვ. 100), **ზაკვა** (სად ცილი, ზაკვა ძულეზადა ჰხდის წმინდა სიყვარულს ნოყვასისასა, გვ. 207), **კირთება** (კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა, გვ. 30), **ლაღვა** (მაგრიამა ლაღვა, შური და მტრობა იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა, გვ. 138), **ლტობა** (ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის ხატსა, გვ. 210), **მოსავი, მუნ** (უწინდელს ღროში ღვთისა მოსავთა

* შეიძლებოდა არქაულად მიგვეჩინა და გვეფიქრა, სახელობითში დასმული ნ-სუფიქსიანი სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვშიო ასეთი ფორმების მიხედვით: მარჯვენა ხელით ეჩრდილნათვალნი (I, გვ. 133), რომ, აღმოსავლური ბარის კილოების მსგავსად, თურმეობითი მეორე ნარიანი არ გვხვდებოდეს ისეთ შემთხვევებშიაც, სადაც სახელობითში დასმული რეალური ობიექტი მხოლოდობით რიცხვშია.



გამოუქვამავთ მუნ მონასტერი, გვ. 205), **პატყი** (იკმარე საღმრთოდ მათ პატყნი და სისხლის ძღვენი, გვ. 149), **სადუკეველი** (ფარისეველთა, სადუკეველთა გამაიციხველი და გამდეველი (გვ. 97), **ძალ-დება** (გადარჩენა არ ძალ-ედვა, გვ. 195), **წარვლ-ტოლა** (მაგრამ წარვლტო წუთის შვება ჩვენის გულისა, გვ. 51), **ხადა** (სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად, მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი, გვ. 207) და ასე, გვხვდება: **ფერხი**, **ფრთე**, **გარნა** და სხვ.

საგულისხმოა, რომ ილიას მიერ ლექსის ორგანულ ქსოვილში შეტანილი არქაიზმები არაფერს ძალდატანებით არ შეიცავენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი თავისთავად გროვდებიან იქ, სადაც ყველაზე მეტად არიან საჭირო, რომ დაიცვან კოლორიტი, შეგვარძნობინონ გადმოსაცემი შინაარსის თავისებურებათა სურნელება.

სწორედ გადმოსაცემ შინაარსთან გადმომცემ საშუალებათა შეხამებით უნდა აიხსნას, რომ ილიას ზოგიერთ ლირიკულ ლექსსა და პოემა „განდეგის“, ან კიდევ ვთქვათ, „აჩრდილს“, რამდენიმედ „ქართველის დედას“ უფრო მეტად დაჰკრავს არქაულობის ელფერი (რითაც იქმნება ერთგვარად ზეაწეული, ამაღლებული ტონი, რაც თავისებურად ამშვენებს კიდევ მათ), ვიდრე პოემას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებლამ“ და სხვა ლექსებს.

ილიას მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში შემჩნეული არქაიზმები მხატვრულ-იდეური მიზანდასახულებით არის გამართლებული, თუმცა ძველი ქართულის ნიშანდობლივობანი აქა-იქ გარჩენილია იმ შემთხვევებშიც, როცა მათი საჭიროება არ იგრძნობა არც გადმოსაცემი შინაარსისა და არც ლექსთწყობის თვალსაზრისით. ეს არც არის გასაკვირი.

ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლის პროცესში ქართული სალიტერატურო ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ტრადიციებზე აღზრდილი მწერლისათვის ერთიანი გრამატიკული ნორმების არარსებობის პირობებში სალიტერატურო ენის უზუსტის განუზრგელი დაცვა შეუძლებელიც იქნებოდა.

ხაზგასასმელია, რომ ილია ჭავჭავაძის ენაში შენიშნული არქაიზმები სრულიადაც არ ასუსტებს მისი ენის დიდ გამომსახველობითს ძალას, ჩრდილს ვერ აყენებს ჭეშმარიტ მხატვრულ სიტყვას, რომელიც, — როგორც ამის შესახებ არნ. ჩიქობავა შენიშნავს, — „გრამატიკულ ნორმაზე ძლიერია“.

ბ. წულუკიძის სახელობის შუთაინის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958.
ТРУДЫ КУТАЙССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДЗЕ,
XVIII, 1958

ბ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე

ნაწევარი გურულსა და ძველმოკრულში

1. ზოგიერთი ცნობა ნაწევრების შესახებ ძველ ქართულში

ნაწევარი ძველი სალიტერატურო ქართულის გრამატიკული წყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ძველი ქართულის განსაზღვრული ნაწევრები **ესე**, **ეგე**, **იგი** სახელს განსაზღვრავდნენ ორი მხრით: არკვევდნენ საზოგადო სახელის რომელობას და გვიჩვენებდნენ პირებისადმი მათ მიმართებას სიახლოვესიშორის მიხედვით. „პირისადმი მიმართება — ეს დამახასიათებელია ქართული ნაწევრებისათვის“¹. I პირთან მიმართებით ნახმარსახელს **ესე** ნაწევარი განსაზღვრავდა (მიმართებასაც ის გამოხატავდა) II პირთან—**ეგე**, ხოლო III პირთან—**იგი**.

ძველი ქართულის ზოგ ძეგლში არის შემთხვევები, როცა **ესე** და **ეგე** ნაწევრები ერთი და იმავე მნიშვნელობითაც არის ნახმარი². I-II პირთა სიახლოვის გამო, უთუოდ, შესაძლებლად იყო მიჩნეული სახელთა აღნიშნულ პირებთან მიმართებისათვის **ესე**—**ეგე** ნაწევართა შენაცვლებით გამოყენებაც.

უნაწევროდ ნახმარი საზოგადო სახელი განუსაზღვრელი იყო. სწორედ ამ უნაწევრობით უპირისპირდებოდა იგი ნაწევრიანსახელს ანდა განუსაზღვრელობის უფრო გასახაზავად მას ერთვოდა განუსაზღვრელი ნაწევარი ერთი ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ვინმე³. ასეთ შემთხვევაში განსაზღვრულნაწევრიან

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 638—639.
ქ. ძოწენიძე, სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეთა ძველი რედაქციის ზღუნაწევრთა მიხედვით (სადისერტაციო შრომა), 1950, გვ. 241.

2 ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველ ქართულში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, გვ. 256.

3 იქვე, გვ. 253—54.

სახელს განუსაზღვრელნაწევრიანი („ერთი“ ან „ვინმე“ დართული) საზოგადო სახელი უპირისპირდებოდა.

სიტყვები **ეხე. ეგე. აგი** ძველ ქართულში გამოყენებული იყო ჩვენებით და პირის ნაცვალსახელებად, ნაწილაკებად და ნაწევრებად¹.

როგორც წესი, ნაწევარი ყოველთვის საზოგადო სახელის შემდეგ მოდიოდა. სახელის წინ იგი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დასმულიყო, როცა მას სხვა მსაზღვრელი უძღვოდა წინ (მაღალი **იგი** სახლი).

მრავლობითის სახელობითში დასმულ სახელს ნაწევარი მხოლოლობითის ფორმით ერთვოდა. დანარჩენ ბრუნვებში, თუ სახელი თანიანი მრავლობითით იყო წარმოდგენილი, ნაწევარიც მრავლობითში დაისმოდა.

ცნობილია, რომ ნაწევრები აღნიშნული წესით მხოლოდ ძველ ქართულს ჰქონდა. ოდნავი ცვლილებებით კარგა ხანს გაჰყვა იგი საშუალო ქართულსაც. თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში ნაწევარი არ იხმარება.

2. ნაწევარი გურულში

გურიის ყველა კუთხეში საზოგადო სახელი მეტწილად ნაწევრით იხმარება². როგორც ქვემოთაც დავინახავთ, გურულის ნაწევრები ძველი ქართულის ნაწევრების სულ იდენტური არაა, მაგრამ გადმონაშთის სახით ამ დიალექტში ნაწევრების არსებობა უდავო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

გურულში ორი განსაზღვრული ნაწევარი გვაქვს: **ეგი-აგი** და **იგი**. **ეგი-აგი** ერთი განსაზღვრული ნაწევრის **ეგე**-ს ორი სინონიმური სახეა³.

1 ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველ ქართულში, გვ. 255.

2 გურულში „განსაზღვრებითი ნაწილაკის“ არსებობას ს. ქლენტმა მიიქცია ყურადღება. მან აღნიშნა, რომ ამ დიალექტში „განსაზღვრებითი ნაწილაკი“ იგი/იი. მიუთითა იმაზეც, რომ მრავლობითში დასმულ სახელს ეს ნაწილაკი მხოლოლობითის ფორმით შეეწყობა: გურული კილო, თბილისი, 1936, გვ. 68.

გურულ დიალექტში **იგი**-ს მსაზღვრელად ხმარება აღნიშნული აქვს არნ. ჩიქობავას: „დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში““ ენიშნის მოამბე, III, 1938, გვ. 216.

3 შტრ. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 221.

რა მსგავსებაა ძველი ქართულისა და გურულის განსაზღვრულ ნაწევრებს შორის?

საყურადღებოდ მივაჩინა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საერთო კანონზომიერებისა, რომელიც მათში C ვიტამინის ლოკალიზაციაში გამოვლინდა, ეს ლოკალიზაცია სხვადასხვა ჯიშში მაინც ერთნაირად არ არის მოცემული.

წიწაკის ნაყოფებში, თესლის მიმაგრების ადგილზე, C ვიტამინის ასეთი თვალსაჩინო ნაკლებობა, ჩვენი აზრით, ქლოროფილის არარსებობით შეიძლება აიხსნას, რადგან, როგორც ცნობილია, მწვანე ნაწილები ასკორბინის მყავას უფრო მეტ რაოდენობას შეიცავს, ვიდრე უფრო ნაწილები. მაგრამ ამ ნაწილში C ვიტამინის მაინც საკმაო რაოდენობით არსებობა, შედარებით C ვიტამინით ღარიბ

მცენარეებთან, აიხსნება იმით, რომ თესლის მიმაგრების ადგილი— პლაცენტა ვიტამინით მდიდარი ნაყოფის კედლებს შუაა და, ცხადია, წვენის მოძრაობაში არის ჩართული.

ნაყოფის წვერში C ვიტამინის მეტი როდენობა ამ ნაწილში შესავილთა სხვაგვარი ფიზიოლოგიური აქტივობის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

ცხრილი 5

ბადრიჯნის ნაყოფის სხვადასხვა ადგილში C ვიტამინის შემცველობა მგ %-ით

ჯიშის დასახელება	სიგრძივ განაკვეთზე			განივ განაკვეთზე		
	ნაყოფის წვერი	ნაყოფის შუა ადგილი	ნაყოფის უწინის მიმართების ადგილი	ნაყოფის პერიფერიული ნაწილი	ნაყოფის შუა ნაწილი	ნაყოფის ცენტრალური ნაწილი
1. გარდაბნის	15,34	13,06	2,17	25,02	6,5	1,08
2. პიბრიდი 215	8,84	6,53	2,60	13,06	6,2	0,65

ცხრილი 6

წიწაკის ნაყოფის სხვადასხვა ადგილში C ვიტამინის შემცველობა მგ %-ით

ჯიშის დასახელება	ნაყოფის წვერი	ნაყოფის შუა ადგილი	ნაყოფის ყუბე	თესლების მიმაგრების ადგილი
1. ყუბანის ადრეული	82,30	154,89	157,76	32,67
2. კალინჯოვსკი	170,50	143,70	118,14	18,29
3. ცხარე მეგრული	221,76	171,07	53,22	25,30

ცხრილი 7

წიწაკის ფოთოლსა და ნაყოფში C ვიტამინის დღეღამური ცვალებადობა

მასალის აღების დრო	8 საათი	11 საათი	12 საათი	14 საათი	16 საათი	18 საათი	20 საათი	22 საათი
--------------------	---------	----------	----------	----------	----------	----------	----------	----------

ბულგარული 079

ფოთოლი	15/VIII	116,40	137,00	189,35	171,14	169,29	168,02	166,20	125,40
ნაყოფი	15/VIII	204,40	250,80	213,18	173,05	180,50	175,56	163,20	150,48

ტკბილი წიწაკებიდან ბულგარული 079-ის ფოთლებსა და ნაყოფებში შესწავლილ იქნა C ვიტამინის შემცველობა 8 საათიდან 22 საათამდე, ორ-ორი საათის შუალედით. შედეგები № 7 ცხრილშია მოცემული.

როგორც ცხრილიდან ჩანს, C ვიტამინის დაგროვების მაქსიმუმი ნაყოფებში დილის 10 საათზეა, ხოლო შემდეგ საათებში თანდათანობით კლებულობს. ფოთლებში C ვიტამინის დაგროვების მაქსიმუმი 12 საათზეა, ხოლო შემდეგ საათებში აქაც თანდათანობით კლებულობს და საღამოს საათებში იგი მინიმუმს აღწევს.

ჩატარებული მუშაობის საფუძველზე გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

1. ბადრიჯანისა და წიწაკის ფოთლებსა და ნაყოფებში C ვიტამინის შემცველობა ვეგეტაციის სხვადასხვა ფაზაში დინამიკურია და აქლავნებს ჯიშურ თავისებურებებს.

2. ბადრიჯანის სხვადასხვა ჯიში განსხვავდება ფოთლებში C ვიტამინის შემცველობის მაქსიმუმით: ჰიბრიდ 10-სა და ცილინდრულ 132-ში მაქსიმალური დაგროვება დარგვის წინა ვადაშია, ყირიმის 7/14-ში, დონის 0/14-სა და ჰიბრიდ 215-ში—პირველი ყვავილის გამოღების დროს, ხოლო სიმფეროპოლის 12/105-სა და გარდაბნის ჯიშში — პირველი ნაყოფის გამოღებისას.

3. წიწაკის ფოთლებში C ვიტამინის შემცველობა მომდევნო ფაზებში მატულობს, დაგროვების მაქსიმუმი ტექნიკური სიმწიფის დროსაა. C ვიტამინის შემცველობის მატება პირველი ყვავილის გამოღებასა და პირველი ნაყოფის გამოღების ფაზებს შორის მეტია, ვიდრე პირველი ნაყოფის გამოღებასა და ტექნიკურ სიმწიფეს შორის.

4. ბადრიჯანისა და წიწაკის ზრდადაუმთავრებელ ნაყოფებში C ვიტამინი ნაკლები რაოდენობითაა, ტექნიკური სიმწიფისას მატულობს.

ქუთაისის პირობებში წიწაკის შესწავლილი ჯიშებიდან C ვიტამინს ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავს ბულგარული 079 ტკბილი წიწაკებიდან, ხოლო ცხარე მეგრულში C ვიტამინი ამ ჯიშზე მეტია.

5. ფოთლებსა და ნაყოფებს შორის C ვიტამინის შემცველობის ურთიერთდამოკიდებულება განსხვავებულია.

წიწაკებში C ვიტამინის შემცველობა მომდევნო ფაზებში მატულობს როგორც ფოთლებში, ისე ნაყოფებში, ხოლო ბადრიჯანის

ფოთლებსა და ნაყოფებში ურთიერთდამოკიდებულება სხვაგვარადაა წარმოდგენილი: პირველი ნაყოფის გამოღებისას ფოთლებში C ვიტამინი მეტია, მომღვენო ფაზასთან (ტექნიკურ სიმწიფესთან) შედარებით, ხოლო ზრდადამთავრებელ პირველ ნაყოფებში ნაკლებია ვიდრე ტექნიკური სიმწიფის ნაყოფში, რაც მათ გვარულ განსხვავებას უნდა მიეწეროს.

6. ბაღრიჯნისა და წიწაკის ნაყოფის სხვადასხვა ადგილს C ვიტამინის რაოდენობა განსხვავებულია. ყველაზე მეტია ნაყოფის წვერში, ხოლო ნაყოფის ფუძეში ნაკლებია.

7. წიწაკის ფოთლებსა და ნაყოფებში C ვიტამინის შემცველობა დღე-ღამის განმავლობაში დინამიკურია, ნაყოფში და ფოთოლში დაგროვების მაქსიმუმი ერთმანეთს არ ემთხვევა, ნაყოფში მაქსიმუმი დილის 10 საათზეა, ხოლო ფოთოლში — 12 საათზე (აგვისტოს შუა რიცხვებში).

ლიტერატურა

1. ვ. ასათიანი, ვიტამინები და მისი მნიშვნელობა, 1949, თბილისი.
2. ტ. დ. ლისენკო, იაროვიზაციის თეორიული საფუძვლები: აგრობიოლოგია, თბილისი, 1951.
3. მ. ჯაფარიძე და გ. კვაჭაძე, მებოსტნეობა, თბილისი, 1951.
4. В. Н. Букин, Витамины и их значение для здоровья человека: Стенограмма публичной лекции, 1952.
5. В. Н. Букин, Витамины, 1942.
6. В. А. Девятнин, Витамины, 1948.
7. П. Жигалов, Влияние аскорбиновой кислоты и тиамина на активность пепсина, ДАН СССР, т. XIX, № 3, 1949.
8. А. В. Милованова, Биохимия перца: Биохимия культурных растений, т. IV, 1938.
9. Министерство здравоохранения СССР, Методическое руководство по определению витаминов С, В, Д, А и каротина в пищевых продуктах и витаминных препаратах, 1950.
10. И. К. Мурри, Проблема витаминов в растениеводстве: Биохимия культурных растений, т. VIII, 1948.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958
ТРУДЫ КУТАЙСКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДZE,
XVIII, 1958

ლ. ზ ე ლ ი ძ ე

ამბროლაურის რაიონის ბენტონიტური თიხები

საქ. სსრ განსაკუთრებით მდიდარია მათეთრა თიხების საბადოებით, მაგრამ დღემდე მხოლოდ ზოგიერთი საბადოს თიხაა შესწავლილი დეტალურად. მათ რიცხვს ეკუთვნის პირველ რიგში გუმბრისა და ასკანის მათეთრა თიხები, რომლებიც ტუტემიწიან ბენტონიტებს მიეკუთვნება. მათგან გუმბრინი ეკუთვნის ბენტონიტების იმ სახესხვაობას, რომელთაც ბუნებრივ მდგომარეობაში ძლიერ კარგი გამაუფერულებელი თვისება აქვთ, ხოლო ასკანის თიხა კი — ისეთებს, რომელთაც ბუნებრივ პირობებში სუსტი გამაუფერულებელი თვისება აქვთ, მაგრამ მძლავრად გამოხატულ ამ თვისებას იძენენ სათანადო მქავეებში დამუშავების, ანუ აქტივაციის შემდეგ.

იშვიათად გვხვდება მეორე ტიპის ტუტიანი, ანუ ქეშმარიტი ბენტონიტები, რომლებიც წმინდა დისპერსულობითა და ძლიერ კარგი გაჯირჯვების უნარით ხასიათდება. ამ ტიპის ბენტონიტებს მიეკუთვნება ასკანის თიხის მეორე სახეობა (ქვედა ფენები), რომლებიც ასკანგელის სახელწოდებით არის ცნობილი. საქართველოს ბენტონიტური თიხებიდან ჯერჯერობით გამოყენებულია გუმბრისა და ასკანის საბადოები. გუმბრინი უკვე გახდა საკმაოდ ცნობილი აღსორბენტი, რომელსაც ჯერჯერობით დიდი რაოდენობით იყენებს ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა [1]. ბენტონიტური თიხების ანვა საბადოებიდან ნაწილობრივ შესწავლილია წყალტუბოს რაიონის თიხები სოფ. ბანოჯის [2], ცხუცურის (ჯორმალა ბესიაური), მელაურის, წყალტუბოსა და ჩუენეშისა [3]. მათგან ყველაზე მეტი აღსორბციის უნარი ახასიათებს ჩუენეშის ბენტონიტურ თიხას. ბენტონიტური თიხების ახალი საბადოები აღმოჩენილია ტყიბულის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ჭიათურისა და ზესტაფონის რაიონებში [5].

ა. თვალპრელიძე მიუთითებს ქვემო რაჟის ამბროლაურის რაიონის ბენტონიტურ თიხებზე, რომელთა შორის აღწერილია სოფ.

ტბეთის საბადო. ამ საბადოს თიხების შეფერვა სხვადასხვანაირია, მათ აქვთ კარგი გასაპვნის უნარი.

გარდა ამისა დასახელებულია სოფ. ზნაკვის თიხა, რომლის არასრული ანალიზია მოცემული.

განსაზღვრულია SiO_2 , Al_2O_3 , Fe_2O_3 , FeO , MgO , CaO , H_2O

52,24 16,62 1,90 2,02 3,83 2,40 19,93

და აღნიშნულია, რომ, საერთოდ, სუბბენტონიტურ თიხებში რკინის უანგი ქარბობს ქვეყანგს, ამ თიხაში კი პირიქითი დამოკიდებულებაა. ქიმიური ანალიზის მიხედვით, ზნაკვის თიხა მიკუთვნებულია ბეიდელიტის ტიპის თიხებთან, ჩვენი მონაცემების მიხედვით, იგი უხდა მიეკუთვნოს მონტმორილონიტურ თიხებს.

აღნიშნულ საბადოებს გარდა მითითებულია სხვა თიხების გამოკვლივებიანი შემდეგ სოფლებში: პატარა ონი, ცახი, ღვარდია, ტოლა, კვაცხუთი, კვირიკე-წმინდა, კრიხი, თლუხი და სხვა. მათი შესწავლა არ მომხდარა და ცნობები მარაგის შესახებ არაა მოცემული.

ჩვენ განვიზრახეთ ამ რაიონის ზოგიერთი თიხის გამაუფერულებელი თვისებების შესწავლა. ბენტონიტური თიხების ნიმუშები მიღებულ იქნა სტუდენტების მეშვეობით შემდეგი სოფლებიდან: ზნაკვა, ტოლა, პატარა ონი, ღვარდია, ცახი, ტბეთი (№ 1, № 2).

სოფ. ზნაკვის თიხა წარმოადგენს გარეგანი შეხედულებით მკვრივ მტრედისფერ ქანს, რომელიც დარტყმით ძნელად იმსხვრევა და წარმოიქმნება უსწორმასწორო ზედაპირი. წყალში ძლიერ ნელა ჯირჯვდება, დიდხანს ინარჩუნებს (რამდენიმე საათს) პირვანდელ ფორმას, შემდეგ კი იშლება წვრილ ფხვნილად.

სოფ. ტოლის თიხა წარმოადგენს მოყვითალო ფერის მკვრივ ქანს, რომელიც შედარებით ადვილად იმსხვრევა და ქმნის უსწორმასწორო ზედაპირს. წყალში სწრაფად (რამდენიმე წუთში) იშლება და წარმოქმნის წვრილ ფხვნილს, რომელიც მალე ილექება.

სოფ. პატარა ონის თიხა რუხი ფერის მკვრივი ქანია, რომელიც ადვილად იმსხვრევა და წარმოიქმნება უსწორმასწორო ზედაპირი. წყალში სწრაფად იჯირჯვება, მალე იქცევა წვრილ ფხვნილად და ილექება.

სოფ. ღვარდიის თიხა წარმოადგენს ოდნავ მოყვითალო მკვრივ ქანს, რომელიც ადვილად იმსხვრევა და უსწორმასწორო ზედაპირი იქმნება. წყალში სწრაფად იჯირჯვება, მკვრივ ხნით ინარჩუნებს პირვანდელ ფორმას და შემდეგ იშლება წვრილ ფხვნილად.

სოფ. ცახის თიხა არის მორუხო ფერის მკვრივი კრისტა-

ლური ქანი, რომელიც ძნელად იმსხვრევა და იქმნება ნიქარისებური ზედაპირი. წყალში მალე იჯირჯევა, რამდენიმე წუთს ინარჩუნებს პირვანდელ ფორმას, შემდეგ კი იშლება წვრილ ფხვნილად.

სოფ. ტბეთის № 1 თიხა მუქი მტრედისფერი მკვრივი ქანია, რომელიც ადვილად იმსხვრევა და წარმოიქმნება უსწორმასწორო ზედაპირი. წყლის მოქმედებით მალე იჯირჯევა, რამდენიმე წუთს ინარჩუნებს პირვანდელ ფორმას და შემდეგ იშლება წვრილ ფხვნილად.

სოფ. ტბეთის № 2 თიხა ღია ყვითელი ფერის მკვრივი ქანია, რომელიც ადვილად იმსხვრევა. ჩნდება უსწორმასწორო ზედაპირი. წყალში მალე იჯირჯევა, რამდენიმე წუთს ინარჩუნებს პირვანდელ ფორმას და შემდეგ იშლება წვრილ ფხვნილად.

ამბროლაურის რაიონის ბენტონიტური თიხების ყველა ნიმუში შემოწმებულ იქნა განზავებული მარილმყავას მოქმედებით მათ შემადგენლობაში კარბონატების არსებობის გამოსარკვევად. გამოირკვა, რომ ყველა მათგანი მეტნაკლები რაოდენობით შეიცავს კარბონატებს. მათ შორის გამოირჩევა სოფ. ზნაკვისა და ცახის თიხები, რომლებიც მარილმყავას მოქმედებით ენერგიულად გამოყოფენ ნახშირორჟანგს. შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავს კარბონატებს დანარჩენი სოფლების თიხების ნიმუშები.

ბენტონიტური თიხების გამაუფერულებელი უნარი უკავშირდება მათში მინერალ მონტმორილონიტის რაოდენობას, რომლის შემცველობა მათეთრა თიხებში ცვალებადია. უკანასკნელ ხანებში ამ მინერალის არსებობას თიხებში ამოწმებენ ფერადი რეაქციებით. უმთავრესად გამოყენებულია ბენზიდინის ხსნარი, რომელიც მონტმორილონიტთან იძლევა ლურჯ ან მომწვანო-მტრედისფერ შეფერვას [6]. ჩვენ მიერ აღებული თიხების ნიმუშები შემოწმებულ იქნა ბენზიდინის ხსნარით. ისე, როგორც საქართველოს სსრ სხვა ბენტონიტური თიხები, ამბროლაურის რაიონის ბენტონიტური თიხებიც მეტნაკლები ინტენსივობით იძლევა მონტმორილონიტისათვის დამახასიათებელ შეფერვას.

შედარებისათვის აღებული იყო გუმბრინი, რომლის შემდეგ ლურჯად შეფერვის ინტენსივობით გამოირჩევა სოფ. ზნაკვის, ცახის, პატარა ონისა და ტბეთის თიხები. მომწვანო მტრედისფერ შეფერვას იძლევა ტბეთის № 1 და ღვარდიის თიხები.

ფერადი რეაქციების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღებული ნიმუშები ეკუთვნის მონტმორილონიტიან ბენტონიტურ თიხებს.

ბენტონიტური თიხების გამაუფერულებელი უნარი დაკავშირებულია წყალთან, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბენტონიტურ თიხებში. 150—250° ინტერვალში ბენტონიტური თიხები გამოყოფენ ადსორბციული წყლის მნიშვნელოვან რაოდენობას, რის შედეგად იზრდება მათი გამაუფერულებელი ეფექტი [7].

ბენტონიტური თიხების ფიზიკური და ქიმიური თვისებების დასასიათებისას მიუთითებენ მათ დამოკიდებულებაზე წყალთან.

ჰაერზე მშრალი თიხის ნიმუშები სხვადასხვა რაოდენობით შთანთქამს წყალს, ხოლო 110°-ზე მათი გახურების შემდეგ შთანთქმული წყლის რაოდენობა იზრდება. ჩვენ მიერ აღებული თიხების შეწოვა-გაჯირჯვის პროცესის შესწავლა წარმოებდა სპეციალურ ჰერმეტიკში [8], რომელიც საშუალებას იძლეოდა, დაგვედგინა თიხის გარკვეული წონაკის მიერ წყლის შთანთქმა დროის ერთეულში. ჩვენ მიერ აღებული ნიმუშები შემოწმებულ იქნა როგორც ჰაერზე მშრალ მდგომარეობაში, ისე 110°-ზე გახურების შემდეგ.

შეწოვა-გაჯირჯვის დასაწყისი სტადია ჰაერზე მშრალი ნიმუშებისათვის მოცემულია № 1 ცხრილში. ყველა შემთხვევაში თიხის წონა ერთნაირია (0,5 გრ).

ცხრილი 1

№№ თიხები	თიხის დასახელება	გაჯირჯების გარემო	გაჯირჯების დრო წამებში	შთანთქმული სითხე მლ-ში	დროის ერთნაირ მინაწეუში
1.	გუმბრინი	H ₂ O	17	0,52	0,52
2.	ზნაკვა	—	28	0,54	0,34
3.	ტოლა	—	22	0,60	0,46
4.	პატარა ონი	—	24	0,61	0,43
5.	ღვარდია	—	20	0,51	0,43
6.	ცახი	—	25	0,41	0,27
7.	ტბეთი № 1	—	27	0,60	0,43
8.	ტბეთი № 2	—	22	0,53	0,41

როგორც ცდის შედეგები გვიჩვენებს: გუმბრინი, ზნაკვის, ტოლის, პატარა ონის, ღვარდიისა და ცახის თიხები სწრაფად შთანთქამს წყალს (17—20 წამში), შემდეგ კი პროცესი ნელა მიმდინარეობს.

აღებული ნიმუშების შეწოვა-გაჯირჯვის პროცესი შემოწმებულ იქნა წინასწარ მათი გახურების შემდეგ (110°). თიხის ყველა ნიმუში აღებული იყო 0,5 გრ. რაოდენობით, ცდის შედეგები მოცემულია № 2 ცხრილში.

როგორც ცდების შედეგებიდან ჩანს, 110°-ზე თიხების გახურების შედეგად შესამჩნევად ჩქარდება შეწოვა-გაჯირჯვის პროცესი და შედეგებით მცირე დროში წყლს მეტი რაოდენობა შთანთქმება.

ბენტონიტური თიხების შესწავლის ერთ-ერთ მეთოდად გამოყენებულია თერმული ანალიზი.

ცხრილი 2

№ რიგზე	თიხის დასახელება	გაჯირჯვის ბის გაუმწი	გაჯირჯვის დრო წამებში	შთანთქმული სითხე მილში	დროის ერთ- ნაირ მინა- კმში
1	გუმბრინი	H ₂ O	14	0,53	0,53
2	ზნაკვა	"	23	0,70	0,42
3	ტოლა	"	15	0,63	0,59
4	პატარა ონი	"	20	0,63	0,44
5	ღვარდია	"	17	0,60	0,50
6	ცახი	"	14	0,44	0,44
7	ტბეთი № 1	"	20	0,63	0,44
8	ტბეთი № 2	"	18	0,63	0,49

გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში წარმატებით იყენებენ რენტგენოგრაფიულ, მიკროსკოპულ და ელექტრო-მიკროსკოპულ მეთოდებს [10]. თერმული ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ბენტონიტური თიხების მთავარი შემადგენელი ნაწილია მინერალი მონტმორილონიტი, რომლის გათბობის მრუდი ხასიათდება სამი ენდოთერმული (100—200°; — 550—760°; 800—900°) და ერთი ეგზოთერმული (900—1000°) შეჩერებით. თერმული ეფექტების ცვალებადობა დაკავშირებულია ნიმუშის გათბობის სიჩქარეზე, თიხის ბუნებაზე და მინარევებზე, რომლებიც მასში შედის [9].

პირველი ენდოთერმული ეფექტის დროს მინერალი მონტმორილონიტი კარგავს ჰიდროსკოპულ წყალს (110—150°). მეორე ენდოთერმულ ეფექტს ადგილი აქვს 550—570° ფარგლებში, რომელიც შეესაბამება კრისტალური წყლის მოშორებას. მესამე ენდოთერმული ეფექტისას 800—900°-ზე ხდება მონტმორილონიტის კრისტალური ცხაურის დაშლა.

ეგზოთერმული ეფექტები ყველა თიხისათვის არაა დამახასიათებელი და მრუდებზე გაურკვევლად აისახება.

ჩვენ მიერ აღებული თიხების ნიმუშების თერმომრუდეები მიღებული ოქნა სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ს. კურნაკოვის სახელობის ზოგად და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის თერმულ ლაბორატორიაში აკად. ნ. ს. კურნაკოვის სისტემის პირობებით [10, 11].


თერმომრუდეების დახასიათება მოცემულია № 3 ცხრილში.

ცხრილი 3

№№ რიგზე	ენდოთერმული შეჩერებები			ეგზოთერმული შეჩერებები	თიხის დასახელება
	I	II	III		
1.	150°	650°	860°	975°	გუმბრინი
2.	150°	590°	830°	950°	ზნაკეა
3.	140°	570°	820°	940°	ტოლა
4.	150°	580°	860°	960°	პატარა ონი
5.	130°	560°	850°	940°	ღვარდია
6.	140°	560°	870°	920°	ცახი
7.	150°	570°	840°	950°	ტბეთი № 1
8.	130°	560°	830°	920°	ტბეთი № 2

აღებული ბენტონიტური თიხების თერმომრუდეთა (სურ. № 1) მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს მონტმორილონიტურ თიხებთან. ყველა თიხის თერმომრუდეებზე გვაქვს სამი ენდოთერმული და ერთი ეგზოთერმული ეფექტი, რაც დამახასიათებელია მონტმორილონიტური ბენტონიტური თიხებისათვის.

ჩვენ მიერ აღებული ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა მოცემულია № 4 ცხრილში.



სურ. 1

შედარებისათვის აღებულია გუმბრინი.

ცხრილი 4

შემაღენ- ლობა	№ 1 გუმბრინი	№ 2 ხნაჯა	№ 3 ტოლა	№ 4 პატარა ონი	№ 5 ღკარდია	№ 6 ცახი	№ 7 ტბეთი № 1	№ 8 ტბეთი № 2	შ.ნ.შ.წ.წ.
SiO ₂	58,14	54,24	52,39	56,64	55,60	56,00	54,05	55,07	
TiO ₂	0,25	0,16	0,30	0,49	0,40	0,70	0,68	0,66	
Al ₂ O ₃	13,23	14,60	15,50	14,10	15,10	15,27	16,37	17,32	
Fe ₂ O ₃	2,58	2,20	3,05	3,88	2,88	2,44	3,46	3,50	
FeO	0,28	0,70	0,62	0,70	1,70	0,58	0,61	0,70	
MnO	კვალი	კვალი	კვალი	0,004	კვალი	კვალი	0,007	კვალი	
MgO	2,34	3,61	2,90	3,40	3,82	2,96	2,17	2,14	
CaO	2,44	2,40	2,27	2,82	3,45	2,80	2,60	2,40	
Na ₂ O	1,73	0,39	0,25	0,15	0,19	0,12	0,14	0,16	
K ₂ O	0,78	0,28	0,15	0,16	0,23	0,13	0,17	0,18	
SO ₂	0,35	0,05	0,53	0,60	0,50	0,48	0,40	0,40	
H ₂ O	14,71	18,01	14,06	12,33	12,40	11,57	13,28	13,20	
ბ. ზ. შ.	3,61	5,72	5,70	5,24	5,20	6,76	6,14	6,30	

ჯამი 100,34 100,26 100,20 100,50 100,10 99,42 100,38 100,20

შეფარდება SiO₂ ყველა ნიმუშისათვის
R₂O₃ აღმატება 3,5

როგორც ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, ყველა აღებული ნიმუში თავისი შემადგენლობით ახლოს დგას გუმბრინთან, მაგრამ განსხვავდება მისგან SiO₂-ის ნაკლები შემცველობით და Al₂O₃-ის მეტი რაოდენობით.

გუმბრინთან შედარებით, ჩვენ მიერ აღებული ბენტონიტური თიხები მეტი რაოდენობით შეიცავს აგრეთვე მაგნიუმისა და კალციუმის ქანებს, მაგრამ მიუხედავად ამ სხვაობისა, ყველა ნიმუშში შეფარდება $\frac{SiO_2}{R_2O_3}$ აღმატება 3,5-ს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მონტმორილონიტურ, ბენტონიტურ თიხებთან.

ამასვე ადასტურებს ფერადი რეაქციები ბენზიდინთან და თომპული ანალიზი. ზემოთ აღნიშნული შემადგენლობის თიხები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ბუნებრივი ადსორბენტები [12].

ჩვენ მიერ აღებული ნიმუშების გამაუფერულებელი უნარი შემოწმებულ იქნა ნავთობის პროდუქტების ხსნარებზე სუფთა ნავთში. გასაუფერულებლად აღებული იყო კონცენტრატის ხსნარი ნავთში.

იგი შემდეგნაირად მზადდებოდა: წინასწარ გოგირდმჟავაში დამუშავებული კონცენტრატის 50 გრამს ეხსნიდით 2 ლიტრ წყლში, $d=830$.

გასაუფერულებელი ხსნარის 10 სმ³ ეუმატებდით ჰაერზე მშრალ 1 გრ. თიხას, რომელიც დაფხვიერების შემდეგ გაცილი იყო საცერში (6.400 ნახვრეტი 1 კვ. სანტიმეტრზე, ანუ 200 მეში) და ვანჯღრევდით 5—10 წუთის განმავლობაში. გაუფერულებას ეამოწმებდით ღუბოსკას კალორიმეტრით გასაწმენდად აღებული ხსნარის ფერთან. გაუფერულებული ხსნარის ფერის შედარებით.

თუ გაუფერულების შემდეგ ღუბოსკას კალორიმეტრის ერთ ცილინდრში 75 მმ ხსნარი იგივე შეფერვისაა, როგორც აღებული ხსნარის 15 მმ ამავე აპარატის მეორე ცილინდრში, მაშინ შედეგი გამოისახება გაუფერულების კოეფიციენტით $75:15=5$ ან პროცენტებში: $\frac{75-15}{75} \cdot 100 = 80\%$. ოთახის ტემპერატურაზე ჩატარებულ

ცდების შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ № 5 ცხრილში. თიხების ნიმუშები აღებული იყო ჰაერზე მშრალ მდგომარეობაში.

ცხრილი 5

№№ რიგზე	თიხის დასახელება	წონა გრამებში	გაუფ. ხსნარის რაოდენობა სმ ³ -ში	გაუფერულების ფაქტორი
1.	გუმბრინი	1	10	1,6
2.	ზნაკვა	1	10	1,4
3.	ტოლა	1	10	1,2
4.	პატარა ონი	1	10	1,3
5.	ღვარდია	1	10	1,1
6.	ცახი	1	10	1,5
7.	ტბეთი № 1	1	10	1,2
8.	ტბეთი № 2	1	10	1,2

ჩატარებული ცდების შედეგების მიხედვით, გაუფერულების უკრგი ეფექტით გუმბრინის შემდეგ აღსანიშნავია ცახის, ზნაკვის, პატარა ონის თიხები. მათ შემდეგ მოდის ტოლის, ღვარდიისა და ტბეთის № 1 და № 2 თიხები. იგივე თანმიმდევრობით იზრდება გაუფერულების ეფექტი თიხების წინასწარ 110°-ზე გახურების შემდეგ. შესამოწმებლად აღებული ბენტონიტური თიხების გაუფერუ-

ბის ოპტიმალური ტემპერატურის დასადგენად გაუფერულების ცდებში ჩატარებულ იქნა 150°, 200°, 250°-ზე. ტემპერატურის აწვევის მიხედვით გაუფერულების ეფექტი შესამჩნევად იზრდება. ცდის შედეგები 250° ტემპერატურის პირობებში მოცემულია ქვემოთ მოყვანილ მე-6 ცხრილში.

ცხრილი 6

№№ რიგზე	თიხის დასახელება	წონა გრამებში	გასაუფრესნაოის რაოდენობა სმ ³ -ში	გაუფერულების ფაქტორი
1.	გუმბრინი	1 გრ.	10	1,9
2.	ზნაკვა	1	10	1,7
3.	ტოლა	1	10	1,5
4.	პატარა ონი	1	10	1,6
5.	ღვარდია	1	10	1,5
6.	ცახი	1	10	1,8
7.	ტბეთი № 1	1	10	1,3
8.	ტბეთი № 2	1	10	1,2

ჩატარებული ცდების შედეგების მიხედვით აღებული ნიმუშების გაუფერულების ოპტიმალურ ტემპერატურად უნდა მივიჩნიოთ 250°. აქტიურობის მიხედვით აღებული ნიმუშებიდან გამოირჩევა ცახისა და ზნაკვის თიხები. საერთოდ, ყველა ეს თიხა შეიძლება გამოყენებულ იქნას ნავთობის პროდუქტებისა და სხვა ხსნარების გასაუფერულებლად. აღნიშნული ბენტონიტური თიხების მარაგის დადგენის შემთხვევაში საჭირო იქნება მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების უფრო დეტალური შესწავლა.

ლიტერატურა

1. А. А. Твалчрелидзе, Бентонитовые глины Груз. ССР, вып. III, 1941.
2. А. А. Твалчрелидзе, и С. С. Филатов, Бентониты: Заря Востока, 4. VIII. 1953.
3. М. Л. Роква, и Л. А. Челидзе, Баноджская бентонитовая глина: Труды Кутаисского госпединститута, IX, 1942.
4. Л. А. Челидзе, Бентонитовые глины Цхалтубского района: Труды Кутаисского госпединститута, XII, 1954.
5. Л. А. Челидзе, Бентонитовые глины Ткибульского района, Рукопись, 1953.
6. Н. Е. Веденеева, Изменение эффекта красителей при адсорбции на минералах глин, Ж. Ф. Х., XXI, вып. 8, 1947.
7. Г. Г. Уразов, Физико-химич. исследование отбеливающих земель Западной Грузии: Сборник отб. земель СССР, 1933.
8. Э. Г. Кистер, О набухании глин: Нефтяное хозяйство, № 12, 1947.
9. Н. И. Горбунов, И. Г. Цюрупа, Е. А. Шуригина, Рентгенограммы, термограммы и кривые обезвоживания минералов, встречающихся в почвах и глинах, Академия Наук СССР, 1952.
10. Н. С. Курнаков, Введение в физико-химический анализ, 1940.
11. Л. Г. Берг, А. В. Николаев, Е. Я. Робе, Термография, 1944.
12. С. С. Филатов, Оценка отбеливающих глин и истинных бентонитов для производственных целей, Бентонитовые глины Груз. ССР, вып. III, 1941.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტის ურომები, XVIII, 1958
ТРУДЫ КУТАЙССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДЗЕ,
XVIII, 1958

მ. სულაგა, თ. მფრამიძე

**საბჭოთა ფიზიკოსების გამოკვლევები
სპექტრულ ხაზთა სიგანეების შესახებ**

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იწყება ფიზიკური მეცნიერების სწრაფი განვითარება. შეიქმნა მრავალი ფიზიკური სკოლა, რომლებიც კვლევით მუშაობას აწარმოებენ მრავალრიცხოვან საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებსა და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკის კათედრებზე. საბჭოთა კავშირს ამჟამად ჰყავს ფიზიკოსთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელთა ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ და არიან: პ. ლაზარევი, დ. როქდესტვენსკი, ს. ვავილოვი, ლ. მანდელშტამი, ა. იოფე, ვ. ფოკი, ლ. ლანდაუ, ი. ფრენკელი, ი. ტამი, მ. ლეონტოვიჩი და სხვები. მათ მიერ ფიზიკის სხვადასხვა დარგში შექმნილია კლასიკური მნიშვნელობის თეორიული და ექსპერიმენტული შრომები. დიდად გაფართოვდა საბჭოთა ფიზიკოსების კვლევის თემატიკა; მათი კვლევის სფერო მოიცავს ფიზიკის ყველა დარგს.

ფიზიკის მთელ რიგ დარგებში მეცნიერული მუშაობა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ დაიწყო. მათ შორის სპექტრული ხაზების განიერების პრობლემის შესახებ საბჭოთა ფიზიკოსების კვლევა XX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ იწყება მაშინ, როცა უცხოეთში აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობა გ. ლორენცისა და სხვათა მიერ დაწყებული იყო XX საუკუნის დასაწყისში. საბჭოთა ფიზიკოსების: ი. ფრენკელის, მ. ლეონტოვიჩის, ა. ვლასოვის, ვ. ფურსოვის, ს. მანდელშტამის, ი. სობელმანისა და სხვათა მიერ უცხოეთის ფიზიკოსთა საშრომების კრიტიკულად შესწავლისა და შემდეგი განზოგადების საფუძველზე მიღებულია სპექტრულ ხაზთა გაგანიერების შესახებ მთელი რიგი ახალი, მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. სპექტრულ ხაზთა და ენერჯიის დონეთა ბუნებრივი ფორმისა და სიგანეთა შესახებ ე. ფოკისა და ნ. კრილოვის [1], ბ. სტეპანოვისა და ლ. აფანასევიჩის [2], დ. ბლოხინცევის [3], ა. სოკოლოვის [4], ფ. ფედოროვისა [5] და სხვათა შრომები.

2. ერთგვაროვან ვაზებში მარტივ და მულტიპლექტურ რეზონანსულ ხაზთა სიგანეების (კავშირის სიგანე) შესახებ ა. ვლასოვისა და ფურსოვის [6, 7, 8], ვ. სულავას [10, 11, 12] და სხვათა შრომები.

3. სპექტრულ ხაზთა გაგანიერების სტატისტიკური და შეჯახებითი თეორიის გამოყენების საზღვრების შესახებ ს. მანდელშტამისა და ნ. სობოლევის [13, 34], ი. სობელმანის [14, 15, 16], ე. კოზირევას [17], ვ. დანილოვას [18] და სხვების გამოკვლევები.

4. სპექტრულ ხაზთა გაგანიერებაზე ველის არაერთგვაროვნების გავლენის შესახებ ი. სობელმანისა და ლ. ვაინშტეინის [14, 19], ს. მანდელშტამისა [20, 21] და სხვათა შრომები.

5. რელის გაბნევით მიღებულ ხაზთა გაგანიერების მიზეზების შესახებ მ. ლეონტოვიჩის [22, 23], ე. გინზბურგის [24], ლ. ლანდაუს [25], ი. სობელმანის [14, 26] შრომები.

6. ხაზთა გაგანიერებაზე დობლერისა და ვანდერვალსის ძალების როლის შესახებ ი. სობელმანის [27], ს. მანდელშტამ-მაზინგის [20], ნ. სობოლევისა [28, 29] და სხვების გამოკვლევები.

7. ხაზთა გაგანიერების თეორიის ქვანტურმექანიკური დაფუძნების შესახებ ი. ფრენკელის [30], ი. სობელმანის [31, 32, 33] და სხვათა შრომები.

1. სპექტრულ ხაზთა ბუნებრივი გაგანიერებისა და გამოსხივების ინტენსივობის განაწილების ფორმის შესწავლა წარმოადგენს ელექტრონული თეორიის ცენტრალურ საკითხს. აღნიშნული თეორიით, სპექტრულ ხაზს არ შეიძლება ჰქონდეს უსასრულოდ მცირე სიგანე. მას უნდა ჰქონდეს მცირე, მაგრამ მაინც სასრულო სიგანე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჰარმონიულ ოსცილატორს უნდა გამოესხივებინა მკაცრად განსაზღვრული სიხშირის ტალღა, რაც ექსპერიმენტულ მონაცემებს ეწინააღმდეგება. ცდებით ირკვევა, რომ ატომი ასხივებს სხვადასხვა სიხშირის ტალღებს, რაც გამოწვეულია აგზნებულ ატომზე ელექტრული ველის რადიაციული მოქმედებით, რომელიც იწვევს ოსცილატორის აგზნებული მდგომარეობის სიცოცხლის ხანგრძლიობის შემცირებას და შესაბამისად სპექტრული ხაზის გაგანიერებას.

ამ შემთხვევაში გამოსხივების $J(\omega)$ ინტენსივობისათვის კლასიკური და ქვანტური თეორია იძლევა თითქმის ერთსა და იმავე შედეგს $J(\omega) = \frac{J_0 \gamma}{\pi (\omega - \omega_0)^2 + \left(\frac{\gamma}{2}\right)^2}$, (1)

სადაც $\gamma = \frac{1}{\tau}$ არის სპექტრული ხაზის ნახევარსიგანე, ω — გამოსხივების სიხშირე, ხოლო ω_0 — სიხშირე, რომელზედაც გამოსხივება მაქ-

სიმალურია. კლასიკური თეორიით $J_0 = \frac{1}{4\pi} \int_{-\infty}^{+\infty} E^2 dv$; ქვანტური თეო-

რიით კი $J_0 = \frac{h}{2\pi} \omega_{12}$. თეორიულად მიღებულია [3, 4], რომ ბუნებრივი ნახევარსიგანე

$$\gamma = \frac{2}{3} \frac{e^2 \omega_0^2}{mc^2} \quad (2)$$

სადაც m და e ელექტრონის მასა და მუხტია, c — სინათლის გავრცელების სიჩქარე სივარცელში.

კლასიკური თეორიისაგან განსხვავებით, ქვანტურ თეორიაში სპექტრული ხაზის სიგანისა და ფორმის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ენერგეტიკული დონის ფორმისა და სიგანის საკითხთან. ვ. ვაისკოფისა და ვ. ვიგნერის მიერ ჯერ კიდევ 1930 წელს აღნიშნული იყო სპექტრულ ხაზთა სიგანეების კავშირი ენერგეტიკული დონის სიგანესთან [2]. შემდეგში ეს კავშირი უფრო სრულად დასაბუთებული იყო ნ. კრილოვისა და ვ. ფოკის [1] მიერ ქვანტაციონალური ენერგეტიკული დონის დაშლის განხილვის საფუძველზე და ბ. სტეპანოვისა და აფანასევიჩის [2] მიერ ქვანტური ელექტროდინამიკის მეთოდებზე დაყრდნობით. მათ მიერ მიღებული იყო აღნიშნული კავშირისათვის ფორმულა:

$$\gamma = \frac{\beta}{h}, \quad (3)$$

სადაც β ენერგეტიკული დონის სიგანეა და h — პლანკის მუდმივი, ხოლო კავშირი ატომის აგზნების სიციცხლის ხანგრძლიობისა τ და ΔE -ს შორის გამოისახება ფორმულით:

$$\Delta E \cdot \tau \geq h, \quad (4)$$

სადაც $\tau = \frac{1}{\beta}$ და $\Delta E = E_2 - E_1$ არის გამოსხივებული ენერგია ელექტრონის აგზნებული მდგომარეობიდან ნორმალურში გადასვლისას.

ფ. ფედოროვის [5] მიერ ფოკის ფუნქციონალური მეთოდის გამოყენებით, სპექტრულ ხაზთა ბუნებრივი სიგანის თეორიის ზოგი-

ერთი საკითხის გადაწყვეტის საქმეში მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები.

2. სპექტრული ხაზების გაგანიერების საინტერესო სახე ვეაქვს ერთგვაროვანი ვაზების, განსაკუთრებით ტუტე მეტალური და კეთილშობილი ვაზების, სპექტრში. ერთგვაროვანი ვაზის სიმკვრივის გაზრდით განსაკუთრებულ გაგანიერებას განიცდის რეზონანსული დონე. ეს გაგანიერება არ არის დამოკიდებული გარეშე ნაწილაკების კონცენტრაციაზე. აღნიშნული გაგანიერების გამომწვევი მიზეზები შესწავლილი იყო ა. ვლასოვისა და ვ. ფურსოვის მიერ დიდი და მცირე სიმკვრივიანი ვაზების შემთხვევაში [7, 8]. აღმოჩნდა, რომ ერთგვაროვანი ატომების დაჯახების დროს ადგილი აქვს ავზნების ქვანტის ენერჯის განაწილებას ურთიერთმიქმედ ნაწილაკებს შორის, — გამოსხივების კლასიკური თეორიის ტერმინოლოგიით, — ენერჯის გადასვლას (გადაქაჩვას) ავზნებულ ოსცილატორიდან აუვზნებულ ოსცილატორებზე, რომლის გამო ირღვევა გამოსხივების კოაერენტობა და შესაბამისად ადგილი აქვს ხაზთა გაგანიერებას. ავზნებული ოსცილატორიდან გარემომცველ ოსცილატორებზე განაწილებული ენერჯის სიდიდე დამოკიდებულია დაჯახების p -ეფექტურ რადიუსზე. p -ს მნიშვნელობის გამოთვლით ა. ვლასოვი და ვ. ფურსოვი მცირე სიმკვრივიანი ვაზებში გაგანიერებისათვის იძლევიან შემდეგ ფორმულას:

$$\gamma = \gamma^I + \gamma^{II} = 2\pi \frac{e^2}{m\omega_0} fN + \frac{2\pi}{3} \frac{e^2}{m\omega_0} fN = \frac{8\pi}{3} \frac{e^2}{m\omega_0} Nf, \quad (5)$$

სადაც N ატომების რიცხვია 1 სმ^3 და ρ — ოსცილატორის ძალა.

ვლასოვ-ფურსოვის ეს თეორია დასაბუთდა შემდგომი ექსპერიმენტული გამოკვლევებით. აქვე აღსანიშნავია შემდეგი: უკანასკნელ პერიოდში ლანგეს მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების შესამოწმებლად \mathbf{Ar} — არგონისათვის ვ. ფურსოვის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ლანგეს მიერ სპექტრულ ხაზთა სიგანეთათვის ცდით მიღებული დიდი მნიშვნელობა საესებით დამაკმაყოფილებლად აიხსნება ვლასოვ-ფურსოვის თეორიით [9].

ვლასოვ-ფურსოვის თეორიის განზოგადება მულტიპლექტური ხაზებისათვის პირველად მოცემული იყო ამერიკელი ვ. ჰუსტონის მიერ, რომლის მიხედვით მულტიპლექტის ყველა წევრს უნდა ჰქონოდა ერთი და იგივე სიგანე, რასაც ეწინააღმდეგება შემდგომში ჩატარებული ცდების მონაცემები, რომელთა მიხედვით მულტიპლე-



ტის სხვადასხვა წვერს სხვადასხვა სიგანე აქვს. აღნიშნული წინააღმდეგობა თეორიასა და ცდებს შორის ახსნა 1941 წ. ვ. სულავამ [10], რომელმაც მოახდინა რა ვლასოვისა და ფურსოვის მეთოდის განზოგადება მულტიპლეტური ხაზებისათვის, აღნიშნა, რომ გადასვლის ალბათობათა გასაშუალოება ყველა საწყისი და საბოლოო მდგომარეობის მიხედვით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ საწყის მდგომარეობათა მიხედვით, ხოლო საბოლოო მდგომარეობათა მიხედვით კი — აჯამვა. ამ განზოგადებით თეორიულად მიღებულ იქნა [10, 12], რომ მულტიპლეტის სხვადასხვა წვერს აქვს სხვადასხვა სიგანე:

$$\gamma(S^1/2 - P^3/2) : \gamma(S^1/2 - P^1/2) = b = \sqrt{2} = 1.4 \quad (6) *$$

მაშინ, როცა ცდები ნატრიუმისა, კალიუმისა და რუბიდისათვის იძლევა: $b_{Na} = 1,55$, $b_K = 1,00$ და $b_{Rb} = 1,75$ (7)

თეორიისა [6] და ცდების შედეგების [7] შედარება ცხადს ხდის, რომ თანხედრა შედარებით კარგია. მაგრამ მაინც ადვილი აქვს მნიშვნელოვან განსხვავებას, რაც გამოწვეული უნდა იყოს ცდის პირობების სხვადასხვაობით [14].

3. რკალური, ნაპერწყლური და გაზგაცილით განმუხტვის პლაზმაში ატმოსფერული წნევის დროს მიღებულ სპექტრულ ხაზთა სიგანეებს აქვთ რამდენიმე ანგისტრემის რიგის სიდიდე, რაც, როგორც პირველად ხოლცმარკმა გამოარკვია, გამოწვეულია გამომსხივებელ ატომზე ელექტრონებისა და იონების ურთიერთმოქმედებით. აღნიშნული ურთიერთმოქმედების გათვალისწინებით დამუშავებული იყო გაგანიერებისათვის ხოლცმარკის მიერ სტატისტიკური, ხოლო მარგენაუს მიერ — დაჯახებითი თეორია. აღნიშნულთაგან პირველის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა იონიზირებული გაზის სიმკვრივე დიდია, ხოლო მეორისა, როცა იონებისა და ელექტრონების სიმკვრივე მცირეა და მათი სიჩქარე კი დიდი [18]. ამ გამოკვლევათა ნაკლია, რომ ისინი არ არკვევენ, რა პირობებში მოგვეცემა სხვისმიერი ურთიერთმოქმედების შემთხვევაში ესა თუ ის მექანიზმი გაგანიერებისათვის სასურველ შედეგს.

ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით ს. მანდელშტამმა და ნ. სობოლევა პირველად 1947 წ. [34] და უფრო ზოგადად 1950 წელს [13] დასვეს და გადაჭრეს საკითხი შტარკის ეფექტით მიღებულ გადაინაცვლებულ ხაზთა სიგანის განსაზღვრის საქმეში სტატისტიკური

* ასეთივე შედეგები მიღებული იყო ფოლის მიერ 1946 წ. იხილეთ ამის შესახებ ს. ბ. ე. ლ. მანის სტატია [14].

და შეჯახებითი თეორიის გამოყენების საზღვრების შესახებ. ნებაზ-
 მიერ ურთიერთქმედებისას უფრო ზოგადი პირობები დადგენილი
 იყო სობელმანის მიერ 1954 წ. [15].

მანდელშტამ-სობოლევის მიხედვით, დარტყმითი თეორიის გამო-
 ყენების კრიტერიუმია [13]

$$\pi p^3 N \ll 1, \quad (8)$$

ხოლო სტატისტიკური თეორიის გამოყენების კრიტერიუმია
 $\Delta \omega \cdot \Delta \tau \gg 1$, (9)

სადაც $\Delta \tau = \frac{\bar{r}}{v} = \frac{1}{N^{1/2} v}$ დაჯახებისათვის საპირო დროა, ხოლო $\Delta \omega$ ხა-

ზოგან შტარკ-ეფექტისათვის ტოლია $\frac{\alpha}{r^2} = \alpha N^{2/3}$ და კვადრატულ

შტარკ-ეფექტისათვის კი ტოლია $\frac{\beta}{r^4} = \beta N^{4/3}$, α და β შტარკის

ხაზოვანი და კვადრატული ეფექტის მუდმივებია.

სასაზღვრო პირობებიდან ცხადია, რომ შეჯახებითი თეორიის
 გადასვლა სტატისტიკურში ხორციელდება ელექტრონების კონცენ-
 ტრაციის გაზრდით, ვინაიდან ისინი დამოკიდებული არიან N -ზე.
 მაგრამ აღნიშნული კრიტერიუმები, როგორც უნზოლდის მიერ იქ-
 ნა შენიშნული, სასეებით ზუსტი არ უნდა იყოს, რომ სტატისტიკუ-
 რი თეორიის გამოყენების შემთხვევაში ინტენსივობის განაწილება-
 ში გარკვეული როლი ენიჭება დარტყმითს თეორიასაც. ეს საკითხი
 დეტალურად იქნა შესწავლილი ი. სობელმანის მიერ [14,15]. მან
 აღნიშნა: უნზოლდის დაშვება იმის შესახებ, რომ ოსცილატორის

სიხშირის ძვრა $\frac{\rho}{v}$ სიდიდით ტოლია $\frac{Cn}{p^n}$ -ის დაჯახების განმავლო-
 ბაში, ხოლო ნულისა ორ მეზობელ დაჯახებათა შორის, არასაკმარი-
 სად დამაჯერებელია. იმავე დროს სობელმანმა უჩვენა [15], რომ
 $x(t)$ სიხშირის მოდულაციისათვის სტატისტიკური თეორიის გამო-
 ყენების ზოგადი პირობა მდგომარეობს შემდეგში:

$$\left(\frac{d^2x}{dt^2}\right)_{t_x} \cdot \left(\frac{dx}{dt}\right)^{-2/3} \ll 1, \quad (10)$$

სადაც მცირე N -ისათვის თუ მივიღებთ $x(t) = \frac{Cn}{[\rho^2 + v^2 (t-t_0)^2]^{n/2}}$,
 მაშინ გვექნება:

$$\frac{Cn}{v\rho^{n-1}} \gg 1, \quad (11)$$

ხოლო თუ ვიგულისხმებთ, რომ $x(t)$ -ს შექმნაში მონაწილეობს ისეთი ნაწილაკები, რომელთათვის $\rho < \left(\frac{Cn}{\Delta\omega}\right)^{1/n}$,

$$\text{მაშინ საბოლოოდ მივიღებთ: } \Delta\omega \gg \frac{V n^{-1}}{C_n n^{-1}} = \Omega. \quad (12)$$

პირიქით, სტატისტიკური ფრთის ცენტრისათვის (ე. ი. $\Delta\omega \ll \Omega$) ადგილი აქვს დარტყმითს მექანიზმს და ირღვევა სიგანის ნაწილაკთა რიცხვზე დამოკიდებულების $N^{2/3}$ -კანონი. (11) პირობით განსაზღვრულ უტოლობაში $\frac{Cn}{V \cdot \rho^{n-1}}$ სიდიდე კოეფიციენტის სიზუსტით გამოსახავს დაჯახების დროს ფაზის სრულ ცვლილებას. მაშასადამე, ინტენსივობის განაწილების სტატისტიკური ფრთის შექმნაში ძირითად როლს თამაშობს ძლიერი დაჯახების დროს წარმოებული გამოსხივება, ე. ი. ვაისკოფის ρ რადიუსის შიგნით გავლილი ნაწილაკები. ეს გარემოება მიგვიითთებს, რომ სტატისტიკური პირობები სამართლიანია მანამ, სანამ საშუალო მანძილი ნაწილაკებს შორის

$$\bar{R} = \left(\frac{3}{4\pi N}\right)^{1/3} \gg \rho_0, \text{ საიდანაც ვლებულობთ}$$

$$k_0 N^{1/3} \ll 1 \quad (8^1)$$

პირობას, რომელიც კოეფიციენტის სიზუსტით ემთხვევა მანდელშტამ-სობოლევის (8) კრიტერიუმს იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში (8¹) პირობა გამოხატავს ურთიერთქმედების ინტეგრალურ შედეგს. ცალკეული ხაზების ინტენსივობაში სტატისტიკური და დარტყმითი მექანიზმის როლის გარკვევის დროს კი უნდა ვისარგებლოთ უფრო ზოგადი (11) პირობით.

საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს $\Delta\omega \approx \Omega$ სასაზღვრო პირობა, როცა ნაწილაკთა რიცხვი საკმაოდ იზრდება, ისე რომ $N \approx \frac{1}{\rho_0^3}$.

ამ შემთხვევაში თეორია ჯერ კიდევ ვერ იძლევა პასუხს. ექსპერიმენტული გამოკვლევები ამ მიმართულებით ხაზთა სიგანეების შესახებ ატმოსფერული და დაბალი წნევის დროს რკალურ და გაზგაცლით პლაზმაში ეკუთვნის ს. მანდელშტამსა და მ. მაზინგს [20, 21], ე. კოზირევას [17] და ნ. სობოლევს [29]. როგორც ნაჩვენებია იყო [17], ამ შემთხვევაში საკითხი შეიძლება გაირკვეს შემდეგი ორი გზით: 1. გამოვიკვლიოთ ელექტრონების კონცენტრაციის განსაზღვ-

რულ პირობებში სპექტრული ხაზის ფორმა და სიგანე და შევადაროთ ის თეორიულ შედეგს; 2. მოვახდინოთ ნახევარსიგანის შესწავლა აღმგზნებ ნაწილაკთა კონცენტრაციაზე დამოკიდებულების თვალსაზრისით და, თუ აღმოჩნდება მათ შორის ხაზოვანი დამოკიდებულება, მაშინ ადგილი ექნება შეგახებითს გაგანიერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი — სტატისტიკურს. კოზირევას მიერ შესწავლილი იყო ატმოსფერული წნევის დროს რკალური განცლის პლაზმაში $\lambda_{Na} = 4982,8 \text{ \AA} (2^2 P^3/2 - 5^2 D^1/2)$, $\lambda_{Na} = 4668, 6 \text{ \AA} (3^2 P^3/2 - 6^2 D^1/2)$ და $\lambda_{Li} = 4603 \text{ \AA} (2^2 P - 4 D)$ ხაზთა სიგანეების დამოკიდებულება ელექტრონების კონცენტრაციაზე (28). ცდების შედეგად აღმოჩნდა, რომ გაგანიერებაში ძირითად როლს თამაშობს დარტყმითი მექანიზმი, როცა ელექტრონების კონცენტრაცია $n_e \approx (1 \div 10) \cdot 10^{16} \text{ სმ}^{-3}$, ხოლო სტატისტიკური მექანიზმი, როცა $n_e > 10 \cdot 10^{16} \text{ სმ}^{-3}$, ეს აიხსნება იმით, რომ პირველ შემთხვევაში სიგანის ნაწილაკთა რიცხვისაგან დამოკიდებულებას აქვს წრფივი ხასიათი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი — არაწრფივი.

4. ატმოსფერული წნევის პირობებში რკალური და ნაპერწყალური განმუხტვის პლაზმაში ცვლადი დენის დროს გამომსხივებელი ატომი ხვდება გარემომცველ ატომთა (იონთა) ელექტრულ ველში — $E = \frac{q}{r^2}$ (აქ q — მუხტის სიდიდეა). თუ ატომის საზღვრებში ველი მნიშვნელოვნად არ იცვლება, მაშინ იგი ერთგვაროვანია. ასეთ ელექტრულ ველში ატომთა ყოფაქცევა კარგადაა შესწავლილი: ატომის ენერგეტიკული დონე განიცდის გადანაცვლებას წყალბადისათვის E -ს პროპორციულად, ხოლო დანარჩენი ატომებისათვის E^2 -ის პროპორციულად (ხაზოვანი და კვადრატული შტარკ-ეფექტის შესაბამისად); გადანაცვლებული ენერგეტიკული დონე კი განიცდის გაგანიერებას.

გაგანიერების აღნიშნულ ტიპს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმიტომ, რომ ვარსკვლავთ შორის ატომები რამდენამე ათას გრადუს ტემპერატურაზე ისეთ პირობებში იმყოფება, როცა ამგზნებ ელექტრონთა და იონთა რიცხვი საგრძნობლად დიდია. ხაზოვანი შტარკ-ეფექტის შემთხვევაში ელექტრონები იწვევენ დარტყმითს სიგანეს, ხოლო იონები — სტატისტიკურს. ამ შემთხვევაში თეორიული გაანგარიშება იძლევა $\gamma \ll \Delta \omega_0$, ე. ი. ელექტრონების გავლენა უმნიშვნელოა. მაგრამ, როცა საქმე გვაქვს კვარა-

ტულ შტრაკ-ეფექტთან, მაშინ ძირითად როლს თამაშობს ელექტრონების მიერ შექმნილი დარტყმითი გაგანიერება [14]. შესაბამისი გამოთვლები ერთგვაროვანი ველის შემთხვევაში ჩატარებული იყო ვეისკოფისა და უნზოლდის მიერ და მათ მიერვე ახსნილ იქნა მთელ რიგ ატომთა ხაზების სიგანის საკითხი [35, 36].

ველის არაერთგვაროვნებით გამოწვეული ეფექტები ხაზთა გაგანიერებაზე პირველად შეისწავლა მილიანჩუკმა 1947 წ. [37] და შემდგომ—სობელმანმა და ვაინშტეინმა 1953 წ. [14, 19].

მილიანჩუკის გამოსავალ დებულებას წარმოადგენს იონთა შორის შექმნილი ველის ენერგიის გაშლა მწკრივად, საიდანაც მას შემოკცავს ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი წევრი; ამის შედეგად მან შემფოთების ენერგიისათვის მიიღო:

$$\varphi = - \sum_{i=2}^{2n} \frac{q_i q_i}{d_i^2} + \frac{1}{2} \sum \frac{q_i q_i}{d_i^5} \left[r^2 d_i^2 - 3(\vec{r} \vec{d}) \right] + \dots, (13)$$

სადაც $2n$ დამუხტულ ნაწილაკთა რიცხვია, რომელთა ურთიერთ-დებარეობას განსაზღვრავს d_i . (13)-დან, ცხადია, თუ დამუხტულ ნაწილაკები სიმეტრიულადაა განლაგებული ($\vec{d}_\kappa = -\vec{d}_i$), მაშინ ერთნაირნიშნის მუხტებისათვის ($q_\kappa = q_i$) ნულის ტოლია ენერგიის ერთგვაროვანი ნაწილი, ხოლო სხვა შემთხვევაში (როცა $q_\kappa = -q_i$) კი — ენერგიის არაერთგვაროვანი ნაწილი. ავტორმა უჩვენა, რომ აღნიშნული თვალსაზრისით შეიძლება ახსნილ იქნას Na-ის თერმის „ანომალური“ გადანაცვლება რკალის პლაზმის სპექტრში.

სობელმანისა და ვაინშტეინის გამოკვლევებში, მილიანჩუკის გამოკვლევასთან შედარებით, ურთიერთქმედების ფუნქციაში დიპოლური და კვადრუპოლური წევრის შესახებ შეტანილია უფრო მეტი გარკვეულობა, სახელდობრ, მათ უჩვენეს, რომ სერიული ნომრის n -ის მცირე მნიშვნელობისათვის კვადრატული წევრის უგულვებელყოფა სამართლიანია მხოლოდ წყალბადის ატომისათვის და სხვა ატომებისათვის კი — არასამართლიანი. სობელმანმა და ვაინშტეინმა კვადრუპოლური ურთიერთქმედებისათვის მიიღეს ფორმულა [19]:

$$\Delta E_{njm} = - \frac{eq}{r^3} \rho_{nl} \frac{j(j+1) - 3m^2}{4j(j+1)}, \quad (14)$$

სადაც $\rho_{nl} = \int R^2_{nl}(r) r^4 dr$; j და m შინაგანი და მაგნიტური

ქვანტური რიცხვია. (14) ფორმულით გამოთვლილი ხაზის სიგანე

$$\lambda_{ca} = 4227 \text{ \AA} - \text{სათვის გვაძლევს} \quad \gamma = 4 \cdot 10^{-6} \text{ N}, \quad (15)$$

რაც მეტია იმავე ხაზისათვის დარტყმითი გაგანიერების ფორმულით მიღებულ მნიშვნელობაზე

$$\gamma_4 = \gamma_{4e} + \gamma_{4i} = 4,4 \cdot 10^{-7} \text{ N} \quad (16)$$

(როცა გვაქვს პირობები: $T = 5000^\circ \text{K}$ და $N = N_e = N_i$).

აღნიშნული თეორიის განზოგადება იძლევა კარგ შედეგს, როცა განიხილება ნეიტრალური წყალბადის ატომის ხაზის გაგანიერება. ამ მიმართულებით საინტერესო ექსპერიმენტული გამოკვლევები ეკუთვნის მანდელშტამსა და მაზნიცს [21], რომელთა მიერ ჩატარებული იყო ცდა ვაზგაციით პლაზმაში C α -ის ხაზებისათვის

$\lambda_{ca} = 5198 \text{ \AA}$ და $\lambda_{ca} = 4878 \text{ \AA}$, რომლისათვის შემჩნეული იყო ანოდურ ნაწილში უფრო მეტი გაგანიერება ხაზებისა და წანაცვლება, ვიდრე კათოდურ ნაწილში. ამას ისინი ხსნიან იმით, რომ ანოდურ ნაწილში თავს იყრის ელექტრონების მეტი რაოდენობა, ვიდრე მისი საშუალო განაწილება მთელს მოცულობაში, ამიტომ ანოდურ ნაწილში ადგილი უნდა ჰქონდეს ველის არაერთგვაროვნებას და ამით კი შტარკის ეფექტიდან გადახრას. ეს მოსაზრება ეთანხმება სობელმანისა და ვაინშტეინის თეორიულ შედეგებს.

5. სპექტრულ ხაზთა სიგანის თეორიაში რელის გაბნევით მიღებულ ხაზთა სიგანისა და ფორმის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. იგი არა ერთხელ იყო მწვავე დისკუსიის ობიექტი. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს ლანდაუს შრომა [26] სინათლის რელის გაბნევით მიღებული სპექტრის ფორმისა და გაგანიერების მიზეზების შესწავლის საქმეში, რომელმაც შემდგომ დასრულებული სახე მიიღო მ. ლეონტოვიჩის [22, 23], გ. გინზბურგის [25], ი. სობელმანისა [27, 28] და სხვათა შრომებში.

ცდების შედეგებმა — რომ დიდი წნევის დროს ვაზზე წარმოებული გაბნეული სინათლის სპექტრის ფორმა მსგავსია სითხეზე წარმოებული გაბნეული სინათლის სპექტრის ფორმისა — მ. ლეონტოვიჩი, გინზბურგი და სხვები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ რელის გაბნევისას სპექტრში ხაზთა სიგანე და ინტენსივობის პროფილი განისაზღვრება ვაზის შინაგანი წნევით. ლეონტოვიჩის მიერ სიმკვრივის ფლუქტუაციისათვის კინეტიკური განტოლების ამოხსნის შე-

დეგად მიღებულ იქნა ხაზთა გაგანიერების წნევისაგან დამოკიდებულიებისათვის შემდეგი ფორმულა:

$$\delta = \frac{c}{p}, \quad (17)$$

სადაც C მუდმივია. ანალოგიური შედეგები მიიღო გინზბურგმა კლასიკური ელექტრონული თეორიის ჩარჩოებში, რომლის თანახმად, ხაზთა სიგანე განისაზღვრება ვაზის წნევით, რომელიც გენეტიკურადაა დაკავშირებული დოპლერის ეფექტთან და არ არის დამოკიდებული ლორენცულ და ურთიერთქმედებით გამოწვეულ გაგანიერებაზე. ლეონტოვიჩისა და გინზბურგის მიერ დადგენილი იყო, რომ აღნიშნულ დამოკიდებულებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ვაზში წნევა რამდენიმე ათეული ატმოსფეროს რიგისაა, ე. ი. როცა $l \ll \lambda$ (სადაც l ნაწილაკთა თავისუფალი განარბენია და λ ტალღის სიგრძეა), მაგრამ, როცა $l > \lambda$ და $l \approx \lambda$, მაშინ გაბნეული სინათლის ტალღის ფორმა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ცალკეულ ატომებზე წარმოებული გაბნეული სინათლის ინტენსივობისაგან და ზევით აღნიშნული მიახლოება არააზუსტი ხდება.

მცირე წნევის დროს ვაზში გაბნეულ ხაზთა სიგანისა და ფორმის საკითხი ქვანტური გზით განხილული იყო სობელმანის [27] მიერ, რომლის თანახმად, არაკოგერენტული გაბნევისას სპექტრის ფორმა და შესაბამისი სიგანე განისაზღვრება ერთდროულად სტატისტიკური და შეჯახებითი ფაქტორების მოქმედებით, ხოლო კოგერენტული გაბნევისათვის კი ძალაში რჩება ლეონტოვიჩისა და გინზბურგის შედეგები.

6. მთელი რიგი ფიზიკური და ასტროფიზიკური პრობლემების განხილვის დროს სპექტრული ხაზების ფორმისა და სიგანეთა ექსპერიმენტული განსაზღვრისას ხშირად რამდენიმე ეფექტი ერთდროულად მოქმედებს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაგანიერების თითოეული მიზეზის ფარდობითი როლისა და გამოყენების საზღვრების დადგენას [28, 29]. ხშირად სპექტრული ხაზების სიგანეები შედეგია ერთდროულად ლორენცული შეჯახებისა, ხოლოცმარკის ურთიერთქმედებისა და დოპლერის გაგანიერებისა. ამ შემთხვევაში [14]

$$J(\omega) = \frac{\gamma}{2\pi^{3/2}V_0} \int_{-\infty}^{+\infty} \frac{e^{-\frac{V^2}{V_0^2}} dV}{(\omega - \omega_0 - \Delta - \Delta\omega\mathbb{I})^2 + \left(\frac{\gamma}{2}\right)^2}, \quad (18)$$

სადაც V_0 ატომის წონასწორული განაწილების სიჩქარეა, $\frac{\omega_0 V}{c} = \Delta \omega$ დოპლერის სიგანეა და Δ — სპექტრული ხაზის წანაცვლება. თუ შეჯახებითი სიგანე $\gamma \ll \Delta \omega$, მაშინ, $(\omega - \omega_0 - \Delta) \ll \Delta \omega$ და ინტენსივობის განაწილებაში მონაწილეობს მხოლოდ დოპლერ-ეფექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა $\gamma \gg \Delta \omega$, მაშინ $(\omega - \omega_0 - \Delta) \gg \Delta \omega$ და (18) ვეძღვევს შეჯახებითი გაგანიერების შესაბამის ინტენსივობას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სობელმანის მიერ დადგენილი იყო საზღვრები დოპლერული გაგანიერებისათვის [14]

$$\frac{\omega_0 V}{c} \gg \frac{1}{\gamma}, \text{ ანუ } l \gg \lambda \quad (19)$$

ხოლო, როცა $l \ll \lambda$, მაშინ ადგილი აქვს შეჯახებითს გაგანიერებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ვანდერვალსის ძალებით გამოწვეული გაგანიერების შესახებ. როგორც ცნობილია, ვანდერვალსის ძალა პროპორციულია r^{-6} -ისა და, მაშასადამე, შესაბამისი ფაზის ცვლილება

$$\Delta \omega = \frac{C}{r^6}. \quad (20)$$

აღნიშნული ეფექტით გამოწვეული გაგანიერება შესამჩნევია $N \approx 10^{21} \text{ სმ}^{-3}$ -ის დროს, როცა შესაბამისი წნევა 40-50 ატმოსფეროს ტოლია [14]. ამ შემთხვევაში თეორია შეჯახებითი სიგანის γ და შესაბამისი ხაზის Δ -გადანაცვლების შეფარდებისათვის იძლევა $\frac{\gamma}{\Delta} = 2,8$. მანდელშტამისა და სხვათა ექსპერიმენტული შედეგები გვარწმუნებს, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს $\frac{\gamma}{\Delta} = 2,8$ მნიშვნელობიდან გადახრას [20, 21], რაც გამოწვეული უნდა იყოს შტარკის ეფექტის, ვანდერვალსის ძალებით მიღებული გაგანიერებისა და წანაცვლების ერთდროული მოქმედებით.

7. სპექტრულ ხაზთა სიგანის თეორიის ქვანტურმექანიკური დასაბუთება წარმოადგენდა და წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან თეორიულ პრობლემას, რომელსაც მიეძღვნა უცხოელი და საბჭოთა ფიზიკოსების მრავალი შრომა, მაგრამ ჯერჯერობით მინც გადაუჭრელი რჩება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგმული იყო სხვებთან ერთად ი. ფრენკელის მიერ [30], რომელიც შეეცადა მიეცა ლორენცის გაგანიერებისათვის ქვანტურმექანიკუ-

რი დასაბუთება. შემდეგში ვაისკობის, იაბლონსკის, მარგენაუსა და და სხვათა მიერ განხილულ იქნა თეორიის განზოგადების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა საშუალებით ცხალი გახდა ხაზთა გაგანიერების ქვანტურმექანიკური ახსნა, შემამფოთებელი ნაწილაკის ტალღური ფუნქციისათვის განსაკუთრებული ქვანტიკლასიკური პირობის დადება და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. სობელმანის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ამ მიმართულებით. მან დაასაბუთა, რომ ქვანტიკლასიკური და ბორნის მიახლოება შემამფოთებელი ნაწილაკის ტალღური ფუნქციისა და ურთიერთქმედების შერჩევის დროს სამართლიანია, სანამ შემამფოთებელი ნაწილაკები ატომები ან იონები, ხოლო, როცა უკანასკნელი ელექტრონებია, მაშინ ქვანტიკლასიკური მიახლოება არასამართლიანია. ამ შემთხვევისათვის სობელმანის მიერ განვითარებულ იქნა ელექტრონების შეჯახებითი გაგანიერების თეორია, რომელიც დამაკმაყოფილებელ შედეგებს გვაძლევს სპექტრულ ხაზთა სიგანეების წანაცვლების სიდიდისა და ქვანტურმექანიკური ფაზის ცვლილებისათვის.

ლიტერატურა

1. В. А. Фок, Н. С. Крылов, ЖЭТФ, 17, 93 (1947).
2. Б. Степанов, Л. Афанасевич, ДАН, 115, 313 (1957).
3. Д. И. Блохинцев, ЖЭТФ, 16, 294 (1946).
4. А. Соколов, Д. Иваненко, Квантовая теория поля, ГТТИ, 1952.
5. Ф. Федоров, Уч. зап. ЛГУ, 146, вып. 8, (1942).
6. А. А. Власов, ЖЭТФ, 4, 24 (1934).
7. А. А. Власов и В. С. Фурсов, ЖЭТФ, 6, 378 (1936).
8. А. А. Власов и В. С. Фурсов, ЖЭТФ, 9, 783 (1939).
9. В. С. Фурсов и др., ДАН, 101, 453 (1955).
10. В. А. Сулава, Канд. диссертация, МГУ, физ. фак., 1941 г.
В. А. Сулава, Тр. Кут. пединст., XII, 237 (1954).
11. ვ. სულავა, ქუთ. პედინსტ. შრ., XII, 247 (1954)
12. ვ. სულავა, ქუთ. პედინსტ. შრ., XIV, 259 (1955)
13. С. Л. Манделъштам и Н. Н. Соболев, ЖЭТФ, 20, 323 (1950).

14. И. И. Собельман, УФН, 54, 551 (1954).
15. И. И. Собельман, ДАН, 98, 384 (1954).
16. И. И. Собельман, Изв. АН, (сер. физическая) 17, 554 (1953).
17. Е. Козирева, Опт. и Спект., 2, 43 (1957).
18. В. Данилова, Изв. АН, (сер. физическая), 11, 252 (1947).
19. И. И. Собельман и Л. А. Вайнштейн, ДАН, 90, 767 (1953).
20. С. Л. Мандельштам и М. Мазинг, Опт. и Спект., 2, 257 (1957).
21. С. Л. Мандельштам и Г. Дольгов, ЖЭТФ, 23, 691 (1953).
22. М. А. Леонтович, Zs f. Ph. 72, 247 (1931).
23. М. А. Леонтович, Изв. АН ОМЭН, 633 (1936).
24. В. Л. Гинзбург ДАН, 30, 397 (1941).
25. Л. Д. Ландау и Г. Плачек, Sov. Ph. 5, 172 (1934).
26. И. И. Собельман, ДАН, 88, 653 (1953).
27. И. И. Собельман, Изв. АН, (сер. физическая), 17, 554 (1953).
28. Н. Н. Соболев, Тр. ФИИЛ, VII, 186 (1956).
29. Н. Н. Соболев, и др., ЖЭТФ, 20, 805 (1950).
30. Я. И. Френкель, Zs f. Ph. 59, 189 (1930).
31. И. И. Собельман, ЖЭТФ, 27, 519 (1957).
32. И. И. Собельман, Опт. и Спект., 1, 617 (1956).
33. И. И. Собельман, For. der Ph. 5, 175 (1957).
34. С. Л. Мандельштам и Н. Н. Соболев, Изв. АН, (сер. физическая), 11, 258 (1947).
35. В. Ф. Вейскопф, УФН, 13, 596 (1933).
36. А. Унзольд, Сбор. стат. СПАФС, ИЛ, 1951.
37. В. Милянчук, ДАН, 59, 671 (1948).



Г. Я. ХАЖАЛИЯ

ОБ ОДНОЙ ТЕОРЕМЕ ПОКРЫТИЯ ДЛЯ ФУНКЦИИ РЕГУЛЯРНЫХ В ДВУСВЯЗНЫХ ОБЛАСТЯХ

